პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექტ, № 84, ტელეფონი № 8 81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებელთათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი. გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- — კომუნისტური გამოცემების რედაქტორების დევნა საფრანგეთში
- — საფრანგეთის კომპარტია 1930 წ. აწყობს ლენინის კვირეულს პარტიაში ახალი წევრების მისაღებად
- — რეპრესიები საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციის წევრების წინააღმდეგ
- — პოლიტპატიმრების ცემა სოფიას სასამართლოში
- — ზომები ამერიკელი მფრინავების მოსაძებნად
- — ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის ვადა სოფლად გაგრძელებულია 1-ლ თებერვლამდე
- — გეოლოგიური გამოკვლევებისათვის ამიერ-კავკასიაში გადადებულია 1.720.000 მანეთი

შაბათი, 28 დეკემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 300 (2646)

ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

პარტიის წინაშე სოფლად უდიდესი ამოცანები დგას. სოფლის სამეურნეო ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნა შეუძლებელია, თუ პროლეტარულ სახელმწიფოს ღონისძიებებს არ დაუჭირა აქტიურად მხარი ჩვენი სოფლის პროლეტარულმა და ნახევრად პროლეტარულმა ელემენტებმა, თუ მოჯამაგირეობა, ღარიბი და საშუალო გლეხობა არ ამოუდგა გვერდით სოციალისტური წყობილების ორგანიზატორს და შეერთებული ძალით არ დასძლია კაპიტალისტური ელემენტები.

ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფი პარტიის საუკეთესო დასაყრდენია სოფლად და ამიტომ ჩვენი ყურადღება ერთი-ორად უნდა გაიზარდოს ღარიბთა ჯგუფებისადმი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დღევანდელ პერიოდში, როდესაც საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების სწრაფ ტემპს სასტიკ წინააღმდეგობას უწევს კულაკობა და ცდილობს დიად სოციალისტური მშენებლობის შეფერხებას. ბრძოლა პარტიის დირექტივების ურყევლად გატარებისათვის სოფლად, საჭიროებს ღარიბთა და მოჯამაგირეთა უკეთ დარაზმვას და მათ შორის მუშაობის მეტ გაცხოველებას.

ღარიბთა ჯგუფების მუშაობის გაძლიერება აუცილებელი პირობაა საბჭოების, კოოპერაციის, კოლექტივების, გლეხკომების და სხვა ორგანიზაციებში კლასიური ხაზის სისწორით გასატარებლად. ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების აქტიური მონაწილეობის გარეშე ძნელია ძირითად-სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიების ჩატარება, პროლეტარულ ელემენტების დარაზმვის და მათი ფართე ამოძრავების გარეშე შეუძლებელია მოწინააღმდეგე კლასიურ ელემენტების დამარცხება.

ღარიბთა შორის მუშაობის დარგში პარტიამ უარყო ტროცკისტული მოთხოვნილება ღარიბთა განსაკუთრებული ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რადგან ეს არსებითად ანტილენინური ლოზუნგია, რომელიც არღვევს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს. პარტია მომავალშიაც უკუაგდებს ყოველგვარ აზრს ღარიბთა რაიმე განცალკევებული, მშრომელი გლეხობის მთელი მასიდან გათიშულ ორგანიზაციის დაარსების შესახებ და ამასთანავე ის შეებრძოლება ღარიბთა შორის მუშაობის დაუფასებლობის ყოველგვარ ცდას. „ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის არასაკმაოდ შეფასება, პასივობა ამ მუშაობაში, რომელიც ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, — ვკითხულობთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელ დადგენილებაში ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ, არის ერთ-ერთი უაღრესად მავნე პრაქტიკული გამოხატულება მემარჯვენე გადახრისა, რომელიც გამოსახავს წვრილბურჟუაზიულ სტიქიისა და კულაკობის იდეოლოგიის ზემოქმედებას პარტიის ზოგიერთ ფენებზე; ამიტომ ცეკა მოითხოვს გაძლიერებულ ბრძოლას ამ მუშაობის მიფუჩეჩების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რადგან ეს ცდა განსაკუთრებით მავნეა მემარჯვენე ოპორტუნიზმის დღევანდელ პირობებში".

ღარიბთა ჯგუფები, როგორც ნათქვამია საკ. კომპ. (ბ) ცეკას ახალ დადგენილებაში, არსდება იმ სოფლებშიაც (განსაკუთრებით ნაც-უმცირესობათა რაიონებში), სადაც პარტიული უჯრედები არ არსებობს, მაგრამ სადაც შესაძლებელია ღარიბთა ჯგუფებზე ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მიერ სპეციალურად მიმაგრებულ პარტხელმძღვანელების ან საიმედო, პარტიასთან ახლოს მყოფ უპარტიოების მიერ. ღარიბთა ჯგუფები დღემდე, როგორც ვიცით, არსდება ყველა არჩევით საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (როგორიცაა საბჭოები, კოოპერაცია, გლეხკომები და სხვა). ცეკას ახალი დადგენილება კი შესაძლებლად სცნობს, რათა ღარიბთა ჯგუფები შექნეს ამა თუ იმ სოფელში ყველა ხსენებულ ორგანიზაციებისათვის გაერთიანებულად, თუ ყოველ ცალკე ორგანიზაციაში შემავალ წევრთა შორის ღარიბთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ მათგან ცალკე ჯგუფის შექმნა მოცემულ მომენტში შეუძლებელია.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად უნდა იწვევდენ ღარიბთა ჯგუფების სასოფლო, სარაიონო და საოლქო თათბირებს და კონფერენციებს. ამ თათბირებზე და კონფერენციებზე უნდა ისმებოდეს პარტიის ამოცანები სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში და უნდა გამოიძებნოს კონკრეტული ფორმები სოფლის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ელემენტების მონაწილეობას მისაღებად ამ ღონისძიებათა ღირსეულად გატარებისათვის. ცეკას დადგენილება მიზანშეწონილად სცნობს, რათა მოწვეულ იქნას მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა სარაიონო და საოლქო თათბირები ორგანიზაციის ცალკე სახეთა (მ. გ. საბჭოების, კოლმეურნეობების, სამომხმარებლო კოოპერაციის და სხვა) მიხედვით. ამას უდიდეს მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რათა ღარიბთა ჯგუფების თათბირებზე, თუ კონფერენციებზე ისმებოდეს არა საერთო საკითხები სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად მუშაობაზე, არამედ ირჩეოდეს ღარიბთა მუშაობის კონკრეტული ამოცანები სოფლის ყოველი ცალკე ორგანიზაციის მიხედვით.

ღარიბთა შორის მუშაობაში, ნათქვამია ცეკას დადგენილებაში, საბჭოებმა, სარაიონო აღმასკომებმა და აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა და გლეხკომთა გამგეობებმა უნდა მოახდინონ ძირითადი გარდატეხა. ამ მიზნით, ცეკას დადგენილება საჭიროდ სცნობს, კოლექტიურ ორგანოებში სპეციალურ ინსტრუქტორების გამოყოფას ღარიბთა შორის მასიური მუშაობის საწარმოებლად.

მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მოწინავე რაზმია, ისინი კოლექტივიზაციის საუკეთესო ორგანიზატორებია. ამიტომ იმისათვის, რათა მათ ღირსეული დახმარება გაუწიონ პარტიას სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის უდიდეს ამოცანათა გადასაჭრელად, საჭიროა მათი, რაც შეიძლება მეტი გათვითცნობიერება, პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლება, ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მოჯამაგირეობაში და ღარიბ გლეხობაში კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობის გაძლიერებას.

ღარიბთა შორის მუშაობის გაუმჯობესება, ამ მუშაობის შეფარდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დღევანდელ ამოცანებთან პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და სწორედ ამიტომ არის ნათქვამი ს. კ. პ. (ბ) ცეკას ხსენებულ დადგენილებაში, რომ „პარტკომები უნდა გადაიქცნენ ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების ორგანიზაციის მთელი საქმის ხელმძღვანელობის ნამდვილ ცენტრებად".

ავამოძრაოთ მასები, მოვახდინოთ ძალთა და საშუალებათა მობილიზაცია

სახკომსაბჭოს დადგენილება უდიდეს დავალებებს აკისრებს საბჭოთა ორგანოებს გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად. ეს დავალებებია: ნათესი სივრცის გაფართოება 11 პროცენტით, მოსავლიანობის გადიდება 8 პროცენტით, კოლექტიური მეურნეობების მიერ გაზაფხულის ნათესის მთელი ფართობის ერთი მესამედის (30 მილიონ ჰექტარზე მეტის) დამუშავება, 104 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა ნახნავის 2 მილიონი ჰექტარის ფართობზედ და ნათესის 1 მილიონ ჰექტარზე, კოოპერატიული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვის აყვანა 100-მდე მაინც, საბჭოთა მეურნეობებში გაზაფხულის პურეულით 3 მილიონი ჰექტარის დათესვა, ძველ საბჭოთა მეურნეობებში თვითღირებულების შემცირება 20 პროცენტით მაინც და შრომის ნაყოფიერების გადიდება 30 პროცენტით მაინც (ხოლო „ზერნოტრესტ"-ში — თვითღირებულების შემცირება 22, ხოლო ნაყოფიერების გადიდება 60 პროცენტით).

ეს უაღრესად სერიოზული დავალებები უნდა შესრულდეს სოფლის მეურნეობის ფართო სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე. ახლანდელი თესვის კამპანიის სტიმული უნდა მივცეთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს—გააფართოონ თავიანთი ნათესი სივრცე; ამით უნდა ავანაზღაუროთ კულაკის მიერ ნათესის შემცირება და განვახორციელოთ უფართოესი საწარმოო ტეხნიკური ოპერაციები განსაზოგადოებულ სექტორში, რომლის წილადაც მოდის მთელი ნათესის 30—40 პროცენტი. როგორც საწარმოო საშუალებანი, ისე ფინანსების მიწოდების საქმე იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ ადგილობრივი რესურსების საშუალებების და კოლ და საბჭოთა მეურნეობების მუშა ხელის მობილიზაციის საფუძველზე, არა მარტო რაოდენობით შევასრულოთ დასახული დავალებანი, არამედ ხარისხობრივადაც განვახორციელოთ ეს ოპერაცია, ამასთან განვახორციელოთ ისე, რომ იგი სანიმუშოდ გადაიქცეს იმ ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ არ შესულან კოლმეურნეობებში. ახლანდელი გაზაფხულის თესვის კამპანიის ეს თავისებურობა განსაკუთრებით მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, იგი ბევრ რამეს გვავალებს. ის გარდატეხა ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომელიც ხასიათდება უდიდესი, თანდათან გაფართოებული ლტოლვით კოლექტივიზაციისაკენ, ლტოლვით, რომელიც ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასებს მოიცავს, ამ კამპანიის დროს უნდა განვამტკიცოთ სათანადო ხარისხობრივი და ორგანიზაციულ-ტეხნიკური მიღწევებით.

ახლანდელი კამპანიის მეორე თავისებურობა იქნება ის, რომ იგი ჩაივლის სოფლის მეურნეობის მატერიალური და ტეხნიკური ბაზის უძლიერესი დაჭიმვის პირობებში. უდიდეს დავალებას ახალი საბჭოთა მეურნეობების გაშლისა და ძველი საბჭოთა მეურნეობების გამოკვეთა, კოლმეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის უფართოესი გაშლის საქმეში აუცილებლად გადალახავს, პირველ ყოვლისა ტრაქტორების და მათზე მისაბმელ იარაღის, რთული მანქანების, მინერალური სასუქის, მოსავლის მავნებლებთან საბრძოლველი საშუალებების, საშენებლო მასალის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვათა ნაკლებობას.

რაოდენობითი ნაკლებობა ამ მხრივ აუცილებლად უნდა ავანაზღაუროთ არსებული მოწყობილების გამოყენების ხარისხით. ყოველი საშუალება უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ გავადიდოთ სოფლად არსებული საწარმოო იარაღებისა და საშუალებების ექსპლოატაციის ნორმები. ტრაქტორების საფუძვლად მუშაობა, არსებულ ტრაქტორების, აშკარად უვარგისების გარდა, ასი პროცენტით შეკეთება, აგრეთვე ყველა დანარჩენი იარაღ-მანქანების სრული შეკეთება, მანქანებისა და ტრაქტორების უზრუნველყოფა სათადარიგო ნაწილებით, საწვავი მასალით, მომზადება შეკეთება, მანქანების სწრაფად გადატან-გადმოტანა ერთი ადგილიდან მეორეში, თესლის გაწმენდისა და წამალში გატარების დაუყოვნებლივ დაწყება,—ყოველივე ეს უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ არსებული საწარმოო საშუალებებიდან. ამასთან ერთად საჭიროა მოვახდინოთ თვით სოფელში არსებულ საწარმოო საშუალებათა ფართო მობილიზაცია. კოლექტივიზაცია უნდა ვაიშალოთ არა მარტო მთელი არსებული საწარმოო საშუალებებისა და მუშა საქონლის ბაზაზე. არ უნდა ვუცადოთ იმ დროს, როცა ჩვენი სატრაქტორო და მანქანათმშენებლობა ქარხნებიდან ახალი ტრაქტორებისა და მანქანების ფართო კოლონებს მივიღებთ. კოლმეურნეობებში შესვლისას გლეხებმა უნდა შეიტანონ თავიანთი საწარმოო საშუალებანი, მაქსიმალურად მოახდინონ ამ საშუალებათა განსაზოგადოება იმისათვის, რომ მეტი ეფექტიურობით გამოიყენონ ისინი წარმოების პროცესში. დაუღალავად უნდა განვუმარტოთ გლეხობის ფართო მასებს, რომ კოლმეურნეობა, კიდევაც რომ მას ტრაქტორი არ ჰქონდეს, მაინც სჯობია განცალკევებულ ინდივიდუალურ მეურნეობებს, ვინაიდან კოლმეურნეობაში ხდება არსებულ საშუალებათა უკეთ გამოყენება, წარმოების უკეთესი ორგანიზაცია, აგრონომიული თვალსაზრისით უფრო სწორი მიდგომა თესვასთან და სხვ. უფრო ნაყოფიერი იქნება იგივე კოლმეურნეობა, თუ მას გაძლიერებულად მივაწვდით თუნდაც არა ძალიან რთულ და გაუმჯობესებულ მანქანებს. მანქანების გამოყენების ეფექტიურობა კოლმეურნეობაში რამდენჯერმე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობაში, ამიტომაც ახლანდელი კამპანიის ერთ-ერთ ამოცანას უნდა შეადგენდეს კოლექტივიზაციაში შემავალ გლეხურ მეურნეობათა საწარმოო საშუალებების, წევის ძალის მობილიზაცია და განსაზოგადოება, ისევე, როგორც საბჭოთა მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების საწარმოო საშუალებათა მობილიზაცია. ყოველივე ნათქვამი თანაბარი ზომით ეხება ფინანსიურ რესურსებსაც.

კამპანიის მესამე თავისებურება—მისი განსაკუთრებული სიძნელე—იქნება ორგანიზატორული და ტეხნიკური კადრების ნაკლებობა.

კოლექტივიზაციის ბუმბერაზული გაქანება, ახალ-ახალი საბჭოთა მეურნეობების გაშლა და ძველების გაფართოება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, გამქირავებელი პუნქტებისა და შემკეთებელი სახელოსნოების ქსელის გადიდება და კამპანიის დასაწყისისათვის დაახლოებით 25.000 ახალი ტრაქტორის გატანა სოფლად,—ყოველივე ეს მეტის-მეტად აძლიერებს ტრაქტორისტების, მოტორისტების, ტეხნიკოსების, აგრონომების, ინჟენრების ორგანიზატორებისა და ადმინისტრატორების საჭიროებას. კამპანიას დასჭირდება აგრეთვე მრავალი ათი ათასი და ასი ათასი მუშაკი—ორგანიზატორი და პროპაგანდისტი. მთელი ეს არმია უნდა ამოქმედდეს ფრიად მოკლე პერიოდის განმავლობაში. სახკომსაბჭოს დავალებით, ყველა რაიონებში უკვე იანვრის განმავლობაში უნდა იქნას ჩატარებული სარაიონო აღმასკომების გაფართოებული პლენუმები; ამ პლენუმებში მონაწილეობა უნდა მიიღონ სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოო თათბირების წარმომადგენლებმა, აგრეთვე აგრორწმუნებულებმა. პლენუმებმა უნდა განიხილონ თვითეული ცალკე რაიონის კამპანიის კონკრეტული გეგმები და საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, აგრეთვე კოლმეურნეობების ოპერატიული გეგმები. ყველგან ამორჩეულ უნდა იქნან აგრორწმუნებულნი და ზოორწმუნებულნი. უნდა მოხდეს 6 მილიონი გლეხის აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაცია (მაშინ, როცა ხუთწლედი 1932—33 წლისათვის ითვალისწინებდა სულ 5 მილიონი გლეხის აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაციას). ყოველივე ეს მოითხოვს უდიდეს, არაჩვეულებრივად ენერგიულ და ამავე დროს დიდად მოწესრიგებულ საზოგადოებრივ მუშაობას.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი შედარებით მცირე კადრები მაქსიმალური ეფექტით უნდა გამოვიყენოთ და მოვახდინოთ მათი მთლიანი მობილიზაცია. რაიონებში უნდა გავგზავნოთ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მოსწავლეები. ფეხზე უნდა დავაყენოთ სოფლის მთელი პარტიული და საბჭოთა აქტივი. საჭიროა, არა უგვიანეს შუა თებერვლისა დავამთავროთ 25.000 მუშის გაგზავნა (რაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა გაითვალისწინა და რასაც საკავშირო პროფსაბჭო ანხორციელებს) სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის სამუშაოდ. პროფკავშირებმა სოფელში გასაგზავნად უნდა შეარჩიონ თავიანთი საუკეთესო წევრები, საუკეთესო მუშა ორგანიზატორები, რომლებიც სოფლის მეურნეობას იცნობენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, როგორც ქალაქისა, ისე სოფლის, როგორც პარტიულმა, ისე კოოპერატიულმა, პროფესიონალურმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაცია, რათა აამოძრაონ მშრომელთა უფართოესი მასები, მიმართონ მათი აქტივობა გაზაფხულის თესვის სიძნელეთა გადასალახავად, გაშალონ და განავითარონ მასებში სოციალისტური შეჯიბრება. თესვის კამპანია, საერთოდ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც მუშათა და გლეხთა მასიური კამპანია. თუ ამ მოთხოვნის წამოყენება საჭირო იყო წინა კამპანიების მიმართ, მით უფრო საჭიროა იგი ახლანდელ კამპანიაში. მასიურობა—კამპანიის წარმატების აუცილებელი პირობაა.

საჭიროა მთელ კამპანიას მიეცეს მკაფიოდ გამოსახული პოლიტიკური ხასიათი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ახლანდელ კამპანიაში კულაკი შეგვებრძოლება, აამუშავებს მთელ თავის ძალასა და საშუალებას მის ჩასაშლელად. კამპანიის წარმატება ლახვარის ჩაცემა იქნება კულაკისათვის. ამიტომ საჭიროა მკაფიო, ნათელი გეზი კამპანიის გატარების დროს და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უაღრესად ენერგიული ხელმძღვანელი მონაწილეობა მასში. რაც უფრო მეტ ჯიუტობას იჩენს კულაკი და ეურჩება სოფლის სოციალისტურ გარდაქმნას, მით უფრო დაჟინებით უნდა ვაწარმოოთ ჩვენი კლასობრივი შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ. გაზაფხულის თესვის კამპანია დიდ კლასობრივ ბრძოლას წარმოადგენს, რომლის შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სოციალიზმის შემდგომს მშენებლობაში უნდა მოვახდინოთ მთელი ჩვენი ძალღონისა და სახსრების მობილიზაცია, რომ ეს ბრძოლა უდიდესი წარმატებით მოვიგოთ.

„პრავდა"
27 დეკემბერი.

თეთრგვარდიელები გარბიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზიდან

გლეხთა აჯანყებები იტალიაში—გლეხების სისხლისმღვრელი ბრძოლა ჯართან

სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესი მოითხოვს სრულ დამოუკიდებლობას ინგლისისაგან

პანიკა თეთრგვარდიელებს შორის მანჯურიაში

გარბიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზიდან

ტოკიო, 26 დეკემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ხაბაროვსკის ხელშეკრულების დადებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ხარბინში. თეთრგვარდიელთა გაზეთებმა ხელშეკრულების ტექსტი არ გამოაქვეყნეს. ისინი, პირიქით, სწერენ, რომ ცნობები ხელშეკრულების დადების შესახებ „მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდას წარმოადგენს"-ო.

თეთრგვარდიელი ემიგრანტები პანიკამ მოიცვა. ის თეთრგვარდიელები, რომლებიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამსახურში იმყოფებიან, სამხრეთისაკენ გარბიან (ადს).

ამხ. კაშენის სიტყვა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა თავისი ერთგულება მშვიდობიანობის პრინციპებისადმი

პარიზი, 26 დეკემბერი. პარლამენტში კაშენს ადგილიდან სიტყვა შეაწყვეტინა ერიომ, რომელმაც განაცხადა, რომ „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ის სურათი, რომელიც კაშენმა დახატა, მას მეტად იდეალისტურად მიაჩნია".

ერიოს საპასუხოდ—კაშენმა აღნიშნა, რომ მას სრულიადაც არ უარყვია სოციალისტური მშენებლობის სიძნელეები, მან პირიქით, ხაზი გაუსვა ამ სიძნელეებს სოფლად, სადაც ღარიბი და საშუალო გლეხობა კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს კულაკის წინააღმდეგ. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის ყოველი წარმატება აუცილებლად იწვევს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა უსათუოდ დაძლეული იქნება. დღითი-დღე მაგრდება მუშათა და გლეხთა კავშირი, რომელიც ბოლშევიკებმა განახორციელეს.

შემდეგ კაშენი შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, მან დაწვრილებით აწერა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი და აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება უკვე უზრუნველყოფილი იყო, დიდმა სახელმწიფოებმა კოლექტიურად მიმართეს საბჭოთა კავშირს და ჩინეთს და მოითხოვეს კელოგის პაქტის შესრულება.

ბრიანი აწყვეტინებს: „ნება მომეცით შეგნიშნოთ, რომ სათანადო მეგობრული მითითებანი კონფლიქტის დასაწყისშივე მიეცა ორივე სახელმწიფოს".

კაშენი: „მხოლოდ კონფლიქტის დასასრულს, ჩინელ გენერალთა ხროვის დამარცხების შემდეგ, გავიგეთ გაზეთებიდან, რომ ხელმწიფოებმა გაიხსენეს საბჭოთა კავშირს და ჩინეთს კელოგის პაქტი—მაშინ ეს უსარგებლო იყო. ეგრედწოდებული „მითითებანი", რომლებიც მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული, მიცემული იყო კონფლიქტის დამთავრების მომენტში, მას შემდეგ, როცა დამარცხდა ჩინელი გენერლების წინააღმდეგობა. საბჭოთა კავშირმა ამ კონფლიქტში დაამტკიცა მთელი თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის პრინციპებისადმი ერთგულება".

კაშენმა გაიხსენა ჟორესის სიტყვები, რომლებიც მან ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დასწერა: „მარტო ბრმას ან მოღალატეს შეუძლია იფიქროს, რომ სოციალიზმის განხორციელება მოხერხდება მშვიდობიანის გზით. ის ხალხი, რომელიც პირველი დაიწყებს სოციალიზმის შენებას, თავის წინააღმდეგ აიმხედრებს ბრაზმორეული მსოფლიო რეაქციის ყველა ძალებს. ეს ხალხი დაიღუპება, თუ მან არ მიმართა იარაღს იმისათვის, რომ დაირაზმოს საბრძოლველად".

კაშენის სიტყვამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სოციალისტებიც კი, რომლებმაც პირველ ხანებში სცადეს მისი შეჩერება ჩვეულებრივი ანტიკომუნისტური ობსტრუქციით, ბოლოს იძულებული გახდნენ დადუმებულიყვნენ. (ადს).

ინდოეთის ეროვნული კონგრესი

დამოუკიდებლობას მოითხოვს ინდოეთისათვის

ლონდონი, 26 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო ლაგორიდან იუწყება: „განდიმ და ნერუმ შეიმუშავეს სხვადასხვა რეზოლიუციები, რომლებსაც იხილავს სრულიად ინდოეთის ეროვნული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტი. ერთ-ერთი რეზოლიუცია ჰგმობს მეფის მოადგილეზე თავდასხმის ორგანიზატორებს, რომელთაც მეფის მოადგილის მატარებელს ყუმბარა ესროლეს. სხვა რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ კონგრესი შეზღუდულად არა სთვლის თავს ნერუს მოხსენებით (გაკეთებულ იქნა კონგრესის შარშანდელ ყრილობაზე, როცა ნერუმ უარჰყო ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა) და სვარაჯის პროგრამას განსაზღვრავს, როგორც ინდოეთის სრული დამოუკიდებლობის განხორციელების პროგრამას.

რეზოლიუციები მოუწოდებენ კონგრესის ყველა წევრებს—ბოიკოტი გამოუცხადონ ცენტრალურ და პროვინციალურ საკანონმდებლო კრებებს, და ავალებენ სრულიად ინდოეთის კონგრესის კომიტეტს—როცა ის საჭიროდ დაინახავს, დაიწყოს კამპანია იმ მიზნით, რომ მოსახლეობა არ დაემორჩილოს სამოქალაქო ხელისუფლებას და არ გაიღოს გადასახადები. (ადს).

კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე

მაღაროს მუშაკთა სასტიკი დარბევა

პარიზი, 27 დეკემბერი. 12 დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ პიენის რკინის სამადნოების მაღაროს მუშების გაფიცვა დაამარცხა დამქირავებლების, პოლიციის და რეფორმისტების შეერთებულმა ძალამ.

მუშებს წაართვეს სადუქნო კრედიტი და საქონლო დახმარება. იდევნებოდა ყველა ის, ვინც გაფიცულებს უთმობდა ბინას კრებისათვის. ჟანდარმერია ერეკებოდა დემონსტრაციებს. გაფიცულ უცხოელ მუშებს ემუქრებოდნენ მასიური გადასახლებით. რეფორმისტები ყოველგვარი საშუალებით უწყობდნენ ხელს გაფიცვის ჩაშლას.

მუშაობის განახლების პირველსავე დღეს დაითხოვეს 200 პოლონელი და იტალიელი მუშა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვაში (ადს).

ერბეტის „შუამავლობის" გარშემო

საფრანგეთის პრესის კომენტარიები

პარიზი, 26 დეკემბერი. მთელი პრესა ეხება „ლიტვინოვსა და ერბეტს შორის მომხდარ ინციდენტს". ოფიციოზური პრესა აღნიშნავს, რომ „ლიტვინოვის არათავაზიანი მოპყრობა ერბეტისადმი" და, განსაკუთრებით, „მთელი ამ ინციდენტის საქვეყნოდ გამოტანა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დეპეშათა სააგენტოს მიერ და ამ ინციდენტის შესახებ უაღრესად არაკეთილგანწყობილი ცნობის გადაცემა", მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს ერბეტს.

„ევრ"-ი პირდაპირ ბრალსა სდებს ერბეტს, რომ მან „გადამეტებული და სრულიად უადგილო დაჟინება გამოიჩინა იმ დავალების შესრულებაში, რომელიც მას საფრანგეთის მთავრობამ დააკისრა".

„ომლიბრ"-ი უადგილოდ სთვლის ერბეტის გამოსვლას. გაზეთის სიტყვით, გასაკვირველი არ არის, რომ ლიტვინოვი აბუჩად ამგდები ირონიით შეხვდა საფრანგეთის ელჩს, რამდენადაც ამ უკანასკნელის გამოსვლა მოხდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა სავსებით გაიმარჯვა ჩინეთზე.

გაზეთი ირონიულად აქებს „ერბეტის სპორტიულ სიმარჯვეს", რომელმაც საშუალება მისცა მას ჰაერშივე დაეჭირა ლიტვინოვის მიერ გადაგდებული რუმინეთის ნოტა (ადს).

გლეხთა აჯანყებები იტალიაში

გლეხების წინააღმდეგ გაიგზავნა ჯარი

პარიზი, 26 დეკემბერი. იტალიიდან მიღებული მოკლე ცნობის მიხედვით, იმ სამრეწველო სასოფლო-სამეურნეო მუშათა და მშრომელ გლეხთა გამოსვლებს, რომლებიც რომანიის სხვადასხვა ადგილას მოხდა, უფრო მასიური ანტიფაშისტური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე გლეხთა იმ ანტიფაშისტურ მღელვარებას, რომელიც მოხდა ნოემბრის დამდეგს სოლმონაში, აპულიაში, აბრუცაში და კალაბრიაში.

ფაენცაში (რომანია) გამოსვლები დაიწყო იმით, რომ მუშამ რიკარდო დონატიმ მოჰკლა ფაშისტი სილვანი, რომელიც წარსულში სისხლის სამართლის დამნაშავე იყო. დონატიმ სილვანი მოჰკლა მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა გამოიწვია პროვოკაციული შეტაკება. დონატი იძულებული გახდა თავი დაეცვა. მკვლელობას მოჰყვა შეტაკება ფაშისტურ მილიციასა და სოფელ სანტა - ლუჩიოს გლეხებს შორის, რაც ნამდვილ ომად გადაიქცა და რამაც ექვს საათს გასტანა. დაიჭრა რამოდენიმე ფაშისტი. მილიციამ მხოლოდ დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ შესძლო დაეპატიმრებინა დონატი, რომელსაც თავგამეტებით იცავდენ გლეხები და მოჯამაგირეები.

ფაენცაში მომხდარი ამბები ელვის სისწრაფით მოედო მთელ რომანიას. სანადირო თოფებით, ცელებით და ჩაქუჩებით შეიარაღებული ღარიბი გლეხები და სასოფლო - სამეურნეო მუშები ყველგან ამხედრდნენ, როგორც ადგილობრივი კულაკებისა და ფაშისტების, ისე ფაშისტური მილიციის წინააღმდეგ. მარტო ფაენცაში დაჭრილი ფაშისტების, მილიციელების და კარაბინერების რაოდენობა 60 კაცს აღემატება.

მხოლოდ მილანიდან და ტურინიდან ფაშისტური მილიციის ძლიერი რაზმების მოწვევის შემდეგ, ჯარმა, კულაკების დახმარებით, შესძლო მუშების, მოჯამაგირეების და მშრომელი გლეხობის გამოსვლის დაძლევა. დაპატიმრებულთა რიცხვი ასობით ითვლება.

სოციალისტ - მაქსიმალისტების ორგანო „ავანტი", რომელიც პარიზში გამოდის, იძულებულია აღიაროს იტალიის მშრომელთა გამემარცხენების უდაო ფაქტი და ბრძოლის უნარის ზრდა. გაზეთი იუწყება: „ფაენცაში მომხდარი ეგრედწოდებული უწესოება ნამდვილი აჯანყება იყო"-ო.

იანიში და სალვესტროში უკიდურეს სიღატაკემდე მისული მუშები აშკარად ლაპარაკობენ გაფიცვისთვის მომზადების შესახებ. მრავალი ქარხანა ჯარმა დაიჭირა. არის ცნობები, რომ „ფიატ"-ის საწარმოებში (ტურინში) მუშების სერიოზული მღელვარებაა.

გლეხებსა და ფაშისტებს შორის მომხდარ შეტაკებათა შესახებ იუწყებიან სხვა ადგილებიდანაც (ადს).

სიმართლეს უამბობენ ლატვიის მუშებს საბჭოთა კავშირის შესახებ

რიგა, 26 დეკემბერი. ლატვიის მუშათა დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის 12 წლის თავის ზეიმში, რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა ლატვიაში დაბრუნების შემდეგ. დელეგაციის ოთხი წევრი დააპატიმრეს. დელეგაციის თავმჯდომარე პუკერი გადაურჩა დაპატიმრებას როგორც პარლამენტის წევრი.

რეპრესიების მიუხედავად, დელეგაციის წევრები ანგარიშს აბარებენ მუშათა მასიურ კრებებს თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ საბჭოთა კავშირში. მუშებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომელშიც ფიცს სდებენ, რომ დაიცვან საბჭოთა კავშირი. (ადს).

კომპარტიის გაზეთების რედაქტორთა დევნა

პარიზი, 27 დეკემბერი. „ლუმანიტე"-ში გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომპარტიის 12 ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორების დევნის შედეგი. ამჟამად 20 რედაქტორი საპყრობილეშია. მათ საერთოდ 21 წლის და 11 თვის სასჯელი აქვთ მისჯილი (ადს).

ამერიკელი მფრინავების ძებნა

საუბარი ამხ. ჩუხნოვსკისთან

მოსკოვი, 27 დეკემბერი. მფრინავმა ჩუხნოვსკიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ამერიკელთა აეროპლანი დაეშვა ჩრდილოეთის კონცხის რაიონში. ამერიკელ მფრინავებს უნდა აღმოეჩინოს სასწრაფო დახმარება. საბჭოთა იმ აეროპლანს, რომლებიც პროვიდენიის ყურეში იმყოფებიან, გაუჭირდება ამ ამოცანის გადაწყვეტა.

აი რატომ ვემზადებით ძლიერი აეროპლანების ექსპედიციას. ამ ექსპედიციის მოწყობა მუშაობა პოლიარული ღამის მძიმე პირობებში. მეტად ძნელია აეროპლანისათვის პოლიარულ სიბნელეში ფრენა. საბჭოთა მფრინავებს მოუხდებათ არქტიკული ფრენის დაძლევა ზამთრის პირობებში, რაც პირველი შემთხვევაა ისტორიაში.

დამოუკიდებელი მუშაობის გეგმაში შეტანილია აგრეთვე მარხილების გამოყენება. ჩვენს აეროპლანებს მოუხდებათ დიდი მანძილის გავლა, სადაც ტემპერატურა აღწევს 70 გრადუსს ნოლს ქვეით".

მალინოვსკის რადიოგრამა

მოსკოვი, 27 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის გენერალურმა მდივანმა ამხ. მალინოვსკიმ ჩრდილო-აღმოსავლეთის რადიოსადგურებსა და იაკუტიისა და კამჩატკის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს გაუგზავნა რადიოგრამები აღმოუჩინონ სრული დახმარება საბჭოთა ექსპედიციას, რომელიც ამერიკელ მფრინავთა დასახმარებლად მიემგზავრება (ადს).

2.000 მანეთი ჯილდო მფრინავების აღმომჩენს

მოსკოვი, 27 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმმა აცნობა საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის სანაპიროების მცხოვრებლებს—მიიღონ ზომები ამერიკელ მფრინავთა აღმოსაჩენად და მათთვის დახმარების გასაწევად. მპოვნელს საჩუქრად მიეცემა 2.000 მანეთი (ადს).

საბჭოთა საინფ. ბიუროს ცნობა

ვაშინგტონი, 26 დეკემბერი. შეერთ. კავშირში საბჭოთა საინფორმაციო განყოფილების გამგემ სკვირსკიმ აცნობა შეერთ. შტატების შინაგან საქმეთა მინისტრს ვილბერს, რომ საბჭოთა აეროპლანები იგზავნება ამერიკელი მფრინავების საძებნად.

სენატორმა ბორამ პრესაში გამოაქვეყნა ტექსტი ლიტვინოვის დეპეშის, რომელშიც ნათქვამია, რომ ეიელსონის საძებრად იგზავნებიან საბჭოთა მფრინავები. (ადს).

ბესარაბიელთა საზოგადოება ესალმება უარის თქმას რუმინეთის ნოტის მიღებაზე

მოსკოვი, 27 დეკემბერი. ბესარაბიელთა საზ-ბის ცენტრალურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატს ბესარაბიის ნოტის მიღებაზე უარის თქმისათვის.

„მხოლოდ პოლიტიკურ შულერების ჩვეული თავხედობა აძლევს უფლებას რუმინეთის მმართველ კლასებს, —ნათქვამია რეზოლიუციაში,— ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ფარისევლური ჩარევის ცდა შეათავსონ ბესარაბიის იძულებითი ოკუპაციასთან, რომელიც 14 წელიწადია გრძელდება.

ჩვენ, როგორც მშრომელთა ბესარაბიის წარმომადგენლები, რომლებიც ვებრძვით ოკუპაციას პროტესტს ვაცხადებთ ბუქარესტელ სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობა და მოთმინება გამოიყენონ იმისათვის, რომ ამით დაადასტურონ თავიანთი ერთგულება ეგრეთ-წოდებული „საერთაშორისო უფლებისადმი". უარის თქმა ნოტის მიღებაზე, ბუქარესტელ დიპლომატების და მათი მფარველების გამოსვლის სამარცხვინო მარცხი ერთხელ კიდევ დაანახვებს პოლიტიკანებს, მოძალადეებსა და ყველა იმათ, ვინც მათ უჭერს მხარს, რომ ისინი ვერავითარი მახინაციებით ვერ შესძლებენ ბესარაბიის საკითხის მიჩქმალვას.

მათი თითეული ნაბიჯი მოაგონებს ქვეყნიერებას ბესარაბიის ტრაგიკულ ბედს და ბესარაბიის მუშებისა და გლეხების შეუჩერებელ ლტოლვას— თავი დააღწიონ კლასობრივ და ნაციონალურ მონობას".

რევოლიუციონური შეჯიბრება

ბერლინისა და პარიზის კომუნისტურ ორგანიზაციებს შორის

პარიზი, 27 დეკემბერი. ბერლინის და პარიზის კომპარტიის ორგანიზაციებს შორის გამართულმა რევოლიუციონურმა შეჯიბრებამ საფრანგეთის კომპარტიის პროვინციალური ორგანიზაციები წაახალისა იმისათვის, რომ გამართონ ერთმანეთ შორის რევოლიუციონური შეჯიბრება. შეჯიბრების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ვალდებულებებია: ფულის შეგროვება „ლუმანიტე"-ს სასარგებლოდ, ახალი წევრების მიღება პარტიაში, საწარმოო უჯრედებისა და საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების დაარსება (ადს).

პატიმრების ცემა

ვენა, 26 დეკემბერი. სოფიიდან მიღებული ცნობით, 52 საქმეზე მსჯავრდადებულები განაჩენს შეხვდნენ ძახილით: „ძირს ფაშისტური იუსტიცია" და იმღერეს ინტერნაციონალი. პოლიციები ეცნენ ბრალდებულებს, დაუწყეს მათ ცემა და სროლა ასტეხეს სასამართლოს დარბაზში. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

ჰელსინგფორსი, 24 დეკემბერი. დააპატიმრეს პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის მდივანი, მისი ცოლი, ფინლიანდიის კომკავშირის მდივანი და რამდენიმე სხვა კომუნისტი (ადს).

ა. ფურკადის დაკრძალვა

მოსკოვი, 27 დეკემბერი. დაკრძალეს პარიზის კომუნის მონაწილე ფურკადი. კრემატორიუმში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. განსვენებულის უკანასკნელი სურვილი იყო: მისი კუბო არ შეემკოთ გვირგვინებით და ყველა თანხები ვადაედოთ „ლიუმანიტე"-ს რკინის ფონდში (ადს).

სხვადასხვა

● „შობასთან" დაკავშირებით, შანხაის სხვადასხვა ნაწილში გაიმართა კომკავშირელთა და სტუდენტთა ანტირელიგიური დემონსტრაციები. მოხდა რამდენიმე შეტაკება პოლიციასთან. დააპატიმრეს ექვსი დემონსტრანტი (ადს).

● პარიზში გაიმართა რემედსის მიერ მოწყობილი ანტირელიგიური კრება „კომკავშირული შობა". კრებამ დიდი წარმატებით ჩაიარა (ადს).

● რუმინეთის მთავრობამ გადასწყვიტა შექმნას „გაზებით თავდასხმისაგან თავდაცვის კომიტეტი, მუშათა პრესა აღნიშნავს, რომ ეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომარი სამზადისის ერთ-ერთ ზომას.

● ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, შეერთებული შტატების პრეზიდენტის კანცელარიაში გაჩნდა ცეცხლი. დაიღუპა ბევრი სახელმწიფო დოკუმენტი.

● საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა 19-21 იანვარს მოაწყოს კამპანია პარტიაში ახალი წევრების მიღებისათვის (ადს).

● საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დანიშნა დელეგაცია ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე. დელეგაციაში შედიან ტარდიე, ბრიანი და სხვები (ადს).

ლითონის ნამსხვრევების შეგროვების ორკვირეული

მოსკოვი, 27 დეკემბერი. მელითონეთა კავშირის ც. კ-ის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა —1930 წლის იანვარ-თებერვალში ჩაატაროს ლითონის ნამტვრევების გაძლიერებული შეგროვების ორთვიური. ნამტვრევი ლითონი უნდა შეგროვდეს საწარმოებში და სოფლად.

ამხ. სტალინის სახელობის სტიპენდია

მოსკოვი, 27 დეკემბერი. მოსკოვის საოლქო აღმასკომის და მოსკოვის საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა მისალმება გაუგზავნა ამხ. სტალინს და დაადგინა 200.000 მანეთი გადასდოს ამხ. სტალინის სახელობის სტიპენდიის ფონდში (ადს).

1.720.000 მანეთი

გეოლოგიური გამოკვლევებისათვის ამ.-კავკასიაში

მოსკოვი, 27 დეკემბერი. გეოლოგიურმა კომიტეტმა საბოლოოდ დაამტკიცა 1929—30 წლისათვის გეოლოგიურ სამუშაოთათვის გადადებული თანხების საკონტროლო ციფრები. გეოლოგიური გამოკვლევებისათვის ა.-კავკასიაში გადადებულია 1.720.000 მანეთი.

გეოლოგიური გამოკვლევები საქართველოში ჩატარებული იქნება: სამხრეთ-ოსეთის რაიონებში, ქვემო სვანეთში და აჭარისტანში; სომხეთში: ლორი—ბამბაკის რაიონში: აზერბეიჯანში: მეხმანისა და გიუმუშლუკის რაიონში. სპილენძის საბადოები გამოკვლეული იქნება ლაგოდეხის, დელიჟანის და ბელოქანის რაიონებში (ადს).

კიცხავენ გალაშქრებას გორკის წინააღმდეგ

ლენინგრადი, 27 დეკემბერი. ლენინგრადელმა მწერლებმა გაკიცხეს ციმბირის ლიტერატორების გალაშქრება მ. გორკის წინააღმდეგ.

ნოვოსიბირსკი, 27 დეკემბერი. ციმბირის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოიწონა საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება ციმბირის ლიტერატორების მაქსიმ გორკის წინააღმდეგ გალაშქრების გამო (ადს).

ამხ. ლიუბიმოვის დანიშვნა

მოსკოვი, 27 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა დაამტკიცოს ამხ. ლიუბიმოვი საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

დიდი მიღწევა აღმშენებლობის ფრონტზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ბაქო-ბათომის ახალი ნავთსადენი უკვე მესამე დღეა, დაუბრკოლებლივ მუშაობს სად. მენგეჩაურიდან სად. მცხეთამდე. ბაქოდან მენგეჩაურამდე ყოველდღიურათ მოაქვთ 2.500 ტონა ნავთი, რომელთაც ცისტერნებიდან ასხამენ დიდ რეზერვუარებში, საიდანაც შემდეგ ნავთის საქაჩი სადგურის საშუალებით ნავთი მოდის მცხეთისაკენ. მენგეჩაურიდან ხაშურამდე 5 საქაჩი სადგურია— მენგეჩაურში, დალ-მა-მატლიში, ფოილოში, მცხეთაში და ხაშურში.

ახალი ნავთსადენის უფროსად დანიშნულმა ამხ. ა. სევასტიანოვმა, რომელიც მონაწილეობას იღებს ნავთსადენის მდგომარეობის შემმოწმებელი კომისიის მუშაობაში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს განუცხადა:

— ახალი ნავთსადენის მოწყობა ბაქოდან—ბათომამდე დაჯდება 50 მილიონი მანეთი. ამჟამად, როგორც უკვე საბოლოოთ გამოცდით გამოირკვა, ნავთსადენის ხაზი სავსებით მზადაა მენგეჩაურიდან მცხეთამდე. ნავთი დაუბრკოლებლივ მიედინება ამ მანძილზე და არ ყოფილა მილებიდან ნავთის დაღვრის არც ერთი შემთხვევა. ეს გარემოება, სხვათა შორის, მეტად იშვიათია ახალი ნავთსადენების გახსნის ისტორიაში და თუ ხაშურამდე ნავთსადენი ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც მცხეთამდე, მაშინ ნავთის გადაქაჩვა აღარ შეწყდება და მენგეჩაურიდან ბათომამდე ყოველდღიურათ გადავქაჩავთ 3.000 ტონა ნავთს.

ამგვარად ახალი ნავთსადენი იმუშავებს 576 კილომეტრის მანძილზე და განთავისუფლებული იქნება ნავთის გადაზიდვისაგან 8 საცისტერნო მატარებელი ყოველდღიურათ.

მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში გამზადებული იქნება საბოლოოთ მენგეჩაურ-ბაქოს უბნის ნავთსადენი, რაზედაც დაიხარჯება სამი მილიონი მანეთი. ახალი ნავთსადენის მილის ამუშავებით ბაქოდან ბათომამდე ნავთის გადაქაჩვა გაიაფდება ორჯერ. ბაქოდან ბათომამდე ერთი ტონა ნავთის გადაზიდვა ცისტერნებით ღირს 8 მანეთი, ხოლო ნავთსადენის საშუალებით კი ერთი ტონა ნავთის გადაზიდვა დაჯდება არა უმეტეს 4 მანეთისა.

ამგვარად ნავთსადენზე გაწეული ხარჯები ანაზღაურებული იქნება რამოდენიმე წლის განმავლობაში. ნავთსადენის გაყვანაზე მუშაობდნენ მხოლოდ საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც დიდი აღფრთოვანებით ეპყრობოდნენ ნაკისრ მოვალეობას. ბაქოდან ბათომამდე აგებულ 13 გადასაქაჩი სადგურიდან, 10 სადგური მოწყობილია საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებით, ხოლო 3 სადგური— ინგლისური მანქანებით.

პირველმა ცდამ ჩვენი კომისია დაარწმუნა, რომ საბჭოთა მანქანები უკეთესი თვისების არიან, ვიდრე ინგლისური და მოვლა-პატრონობის მხრივაც საბჭოთა მანქანები უფრო შესაფერისნი აღმოჩნდენ ჩვენი პირობებისათვის.

დ. ლომთაძე.

მცხეთა

ნავთი გასცილდა მცხეთას

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

აზნავთის სპეციალისტთა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალი ნავთსადენის უფროსი ა. სევასტიანოვი, დღეს ჩამოვიდა გორში.

კომისიამ დაადასტურა, რომ მცხეთის საქაჩავი სადგური უდეფექტოდ მუშაობს და წესიერად ქაჩავს ნავთს ხიდისთავამდე.

მცხეთიდან ხაშურამდე ნავთის დინება შედარებით უფრო ნელია, ვიდრე მცხეთამდე, მაგრამ ეს კომისიის აზრით სავსებით ნორმალურია.

27 დეკემბერს საღამოს ნავთი მიაღწევს ხიდისთავის საქაჩავ სადგურამდე. ხაშურში კი ნავთს მოელიან 28 დეკემბერს, საღამოს 6—7 საათისათვის.

გორიდან კომისია ხაშურისაკენ გაემგზავრა. ხაშურის მთავარი საქაჩავი სადგური კომისიას მზად დახვდა ნავთის მისაღებად და ბათომისაკენ გადასაქაჩავად. ხაშურის სადგურში მუშაობს ორი (საბჭოთა ქარხნებში დამზადებული) დიზელი. მანქანებით სწარმოებს იმ წყალის გადაქაჩვა, რომელიც ნავთის წინ მოდის მილში.

ხაშურში ნავთის მიღების მომენტისათვის გაიმართება დიდი მიტინგი. ახალი ნავთსადენის გამოცდა დამთავრებულია. სადგური ნორმალურ მდგომარეობაშია.

დ. ლომთაძე.

ხაშური, 27 დეკემბერი.

გლეხკორების მდევნელები

სტეპანაკერტი, 28 დეკემბერი. არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული ცნობა სომხური გაზეთის „კომუნისტი"-ს გლეხკორების დევნის შესახებ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მარტუნის რაიონში. აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) რაიკომის ყოფ. პასუხისმგებელმა მდივანმა ისრაელ არუტამოვმა და სარაიონო აღმასკომის თავმჯდომარემ ოვანეს ბეგლიაროვმა სოფ. ტოგოვერტში, მარტუნში და სხვ. დაარბიეს გლეხკორთა ჯგუფები და აიძულეს ისინი დაეწყოთ არალეგალური მუშაობა. დევნა გამოიწვია ზემოთ-დასახელებული გახრწნილი მუშაკების მოქმედების გამოაშკარავებამ პრესაში. ა. ბეგლიაროვი სოფ. ტაგოვერტში კოოპერატივის თავმჯდომარედ ყოფნის დროს საქონელს ურიგებდა კერძო ვაჭრებს, აძლევდა მათ კასრობით ერბოს, ტანისამოსს და სხვ. რაიკომის მდივანი ი. არუტამოვი ყოველმხრივ ფარავდა მის მოქმედებას, რადგან თითონაც მრავალი ბოროტმოქმედება ჩაიდინა და სხვათა შორის, გააუპატიურა რაიკომში ცნობის მისაღებად მისული კომკავშირელი ქალი.

საქმეს მსვლელობა მიეცა მას შემდეგ, რაც არუტამოვმა და ბეგლიაროვმა მოაწყეს გლეხკორთა წრეზე თავდასხმა. საოლქო სასამართლოს სესიამ საქმე ადგილობრივ გაარჩია და გლეხკორთა ორივე მდევნელს მიუსაჯა 4 წლით დაპატიმრება გამასახლში. მაგრამ მარტუნის რაიონის მუშაკებში მსჯავრდადებულებს ჰყავთ მრავალი მომხრე და მეგობარი, რომლებმაც მაშინვე დაიწყეს საზიზღარი აგიტაცია ბეგლიაროვის და არუტამოვის სასარგებლოდ. რაიონში მათ გაავრცელეს საზიზღარი ცილისწამება პროკურორის „ინტრიგებზე", სასამართლოს თავმჯდომარის პირად ინტერესებზე და სხვ.

იმეორებენ გლეხკორების მდევნელების ვერსიას იმის შესახებ, რომ ისინი გლეხკორები კი არ არიან, არამედ დაშნაკები, კონტრრევოლიუციონერები და სხ. სტეპანაკერტში „დემონსტრაციაც" კი მოეწყო დაპატიმრებულთა გასანთავისუფლებლად. გამოძიებამ გამოარკვია, რომ „დემონსტრაცია" შესდგებოდა კულაკებისა, ვაჭრებისა და მარტუნის რაიონის სხვა ხმის უფლება მოკლებულთაგან, აგრეთვე მსჯავრდადებულთა ნათესავებისაგან. ცილისმწამებელთა და სასამართლო ორგანოების სახელის გამტეხთა ამ კამპანიას მეთაურობდა მსჯავრდადებულთა მახლობელი მეგობარი, წითელი ბაზრის სპირტის ქარხნის გამგე, პარტიული უჯრედის მდივანი ხაჩატურ პეტროსოვი და ორი-სამი სხვა პარტიული.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეს ამბავი ოფიციალურად დადასტურდა, ზემოხსენებულ პირთა ასალაგმავად არც პარტიული და არც სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები ზომებს არ იღებენ. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა აჭარისტანში

ბათომი, 27 დეკემბერი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა აჭარისტანში წარმატებით მიმდინარეობს. ყველა მაზრაში 25 დეკემბრისათვის მთელი თანხიდან—30.000 მანეთიდან—შემოვიდა 24.000 მანეთი. გლეხობა ხალისიანად და თავის დროზე აბარებს გადასახადს. საჩივრები გადასახადის ვითომ და არასწორ შეწერაზე შემოაქვთ მხოლოდ კულაკურ ელემენტებს, რომელნიც სცდილობენ ხელი შეუშალონ წესიერ მუშაობას გადასახადის აკრეფის საქმეში. საგადასახადო აპარატმა მიიღო ზომები იმისათვის, რომ გადაახდევინოს გადასახადი კულაკებს, რომლებზედაც ირიცხება დარჩენილი 6.000 მანეთი. (ადს).

კომუნისტ - საზოგადოებრივი მუშაკის მკვლელების გასამართლება

ონი, 27 დეკემბერი. უზენაეს სასამართლოს სესია ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით შეუდგა ვაჭრების ძმების მოშე, ფილხაზ და სიმონ ქოსაშვილების საქმის განხილვას. ქოსაშვილებს ჰბრალდებათ კომუნისტ იასონ ხიტიბაშვილის მკვლელის წაქეზება. ბრალსა სდებს პროკურორი დევდარიანი. ბრალდებულთ იცავენ მესხიშვილი და არდიშვილი. საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოდის გეგეშიძე. გამოწვეულია 60 მოწმე. (ადს).

დაუთესელი მინდვრები

ონი, 26 დეკემბერი. ხანგრძლივი გვალვის შემდეგ მოულოდნელად თოვლი მოვიდა. წვიმის მოლოდინში გლეხებმა უკვე მოხნული მინდვრები ვერ დათესეს (ადს).

შეკეთდა რიონის ხიდი

ონი, 26 დეკემბერი. დამთავრდა რიონის ხიდის შეკეთება, რამაც მთელ წელიწადს გასტანა. უხიდობამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო როგორც მახლობელი სოფლების გლეხობა, ისე ონის მოსახლეობა, რომელსაც დიდი მანძილის გავლა უხდებოდა (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის თესვის კამპანია

დიდი კლასობრივი ბრძოლაა

ეს ბრძოლა უსათუოდ უნდა მოვიგოთ

მთელი სოფლები, რაიონები და ოლქები მთლიან კოლექტივიზაციაზე

საკ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება

11 პროცენტით უნდა გავადიდოთ ნათესების სივრცე. — მოსავლიანობა გადიდებული უნდა იქნას არა ნაკლებ 8 პროც-ით. — კოლექტივიზაცია უნდა გავრცელდეს გაზაფხულის ნათესების ფართობის არა ნაკლებ ერთ მესამედზე. — კოლ. მეურნეობებში მთელი სათესლე მასალა დახარისხებული უნდა იქნას. — ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ თესვის კამპანიის უზრუნველსაყოფად თანხების, სასოფლო - სამეურნეო მანქანებითა და ტეხნიკური კადრებით

მოსკოვი, 27 დეკემბერი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა:

1. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიაში ნათესის მოედანი გადიდებულ იქნას სულ ცოტა 11 პროცენტით. კოლმეურნეობრივ მოძრაობაში მომავალ გაზაფხულზე ჩაბმულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის გაზაფხულის მთელი ნათესის მესამედი მაინც.

2. ძველ და ახლად დაარსებულ კოლექტიურ მეურნეობების ამოცანად დავსახოთ: გამოუყენებელი მიწების ხარჯზე გააფართოონ ნათესის მოედანი 25 პროცენტზე არ ნაკლები რაოდენობით, განსაკუთრებით სწრაფად გააფართოონ პურის ნათესი, მოხდეს სრული გარდატეხა განსაზოგადოებული მესაქონლეობის საკვები ბაზის შესაქმნელად და ტეხნიკურ კულტურათა წილი აყვანილ იქნას 20 პროცენტამდე.

3. უნდა მოხდეს კოლექტიურ მეურნეობათა მთელი სათესლე მარცვლეულის დახარისხება.

4. ყველა ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა სავსებით უნდა დაუჭირონ მხარი კოლექტიურ მეურნეობებში შემსვლელ ღარიბ და საშუალო გლეხებს მათი კუთვნილი მუშა-საქონლის, ინვენტარისა და თესლეულის განსაზოგადოების საქმეში და განსაზოგადოებული მიწების განსაზოგადოებული საწარმოო საშუალებებით დამუშავების საქმეში.

5. კოლექტიური მეურნეობის ყოველი წევრი პასუხისმგებელი უნდა იყოს მასზე დაკისრებული მუშაობისათვის. ამასთან ერთად კოლექტიური მეურნეობის ყოველი მუშაკი დაინტერესებულ უნდა იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდებით. ამისთვის საჭიროა შემოღებული იქნას ხელფასის ნაჭრობით გასტუმრება, გამომუშავების დანორმვა და დაჯილდოვება. შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ყოველმხრივ გამოყენებულ უნდა იქნან სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოო თათბირები და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა.

6. იმ 104 სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა, რომლებიც 1930 წლის გაზაფხულისათვის უნდა მოეწყონ, 1930 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში უნდა დაამუშაონ სულ ცოტა 2 მილიონი ჰექტარი სახნავი და 1 მილიონი ჰექტარი ნათესი. ამავე დროს სამანქანო-სატრაქტორო კოოპერატიული სადგურების რიცხვი სულ ცოტა 100- მდე უნდა ავიდეს.

7. ამოცანად დაისახოს 1929-30 წლის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება 8 პროცენტით მაინც.

8. დაევალოს საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—გლეხის ჩვეულებრივ თესლზე გადასაცვლელად, გამოჰყოს მაღალხარისხოვანი თესლი არა ნაკლებ 10 მილიონი ცენტნერისა; გადაცვლა უნდა მოხდეს უსათუოდ შემდეგი პირობით: მაღალხარისხოვან თესლში მიღებულ უნდა იქნას თანაბარი რაოდენობის ჩვეულებრივი მარცვლეული, რასაც დაემატება ღირებულების განსხვავება ფულად.

9. გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის გადასადები ფინანსები განისაზღვროს 814 მილიონი მანეთით.

10. სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებათა მიწოდების წლიური გეგმა 1930 წლის გაზაფხულისათვის უნდა შესრულდეს შემდეგნაირად: ტრაქტორების მიმართ—49.800 ცალი ტრაქტორის რაოდენობით (10-ძალიანის ვარაუდით), ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიმართ—200 მილიონი მანეთის ფარგლებში.

11. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ თესვის კამპანიამ სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე მიაღწიოს 1929 წლის 15 იანვრამდე.

12. ზემოხსენებული ამოცანების შესრულება შეუძლებელი იქნება, თუ გაზაფხულის თესვის კამპანიის ირგვლივ არ დაირაზმებიან მუშათა და გლეხთა ფართო მასები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანოები.

ამისათვის ყველა რაიონებში 1930 წლის იანვარში მოწვეულ უნდა იქნას რაიაღმასკომის გაფართოებული პლენუმები სოფლის საბჭოების, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სოფლის საწარმოო თათბირების და აგრორწმუნებულების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ პლენუმებმა უნდა მოისმინონ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ და განიხილონ თავიანთ რაიონში გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების კონკრეტიული გეგმები, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გეგმები.

13. ამოცანად იქნას დასახული, რომ წელს მოხდეს 6 მილიონი გლეხის და კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმული ღარიბი და საშუალო აქტივის აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამისათვის ყოველ რაიონში, ყოველ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაში უნდა მოეწყოს აგრონომიული უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები.

საკავშირო სახკომსაბჭო მიმართავს კოლექტიურ მეურნეობების ყველა მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს და ღარიბი და საშუალო გლეხობის მშრომელ მასებს მოწოდებით—წაჰბაძონ ქალაქის მუშების მაგალითს და შრომის ნაყოფიერების რაც შეიძლება მეტი გადიდებისათვის დაადგნენ სოციალისტური შეჯიბრების გზას. (ადს).

გაზაფხულის თესვა კოლმეურნეობებში

გაზაფხულის თესვა და კოლმეურნეობათა ამოცანები

საქართველოს კოლმეურნეობათა მუშაკების და საოლქო, სამაზრო და ავტონომიურ რესპუბლიკების სამიწადმოქმედო განყოფილებათა გამგეების თათბირზე საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის თავმჯდომარემ ამხ. მ. ძამანაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ტემპი მწვავედ აყენებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის სწრაფი ამაღლების და სოციალისტურად გარდაქმნის აუცილებლობას. ამიტომ მომავალ გაზაფხულის თესვის კამპანიამ თესვის მეურნეობაში უნდა მოახდინოს რადიკალური გარდატეხა: დაუთესავი არ უნდა დარჩეს არც ერთი ნაკვეთი ვარგისი მიწა და მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს მიწის კოლექტიურად დამუშავების ფორმა. ამ ამოცანების განხორციელება აუცილებლად მოითხოვს ყველა ძალების მობილიზაციას და მათ მიზანშეწონილად გამოყენებას.

დასათესი მიწის სივრცე

კოლმეურნეობის ზრდის ფაქტიური ტემპი საქართველოში გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო: 1929 წლ. 1 აპრილისათვის საქართველოში ირიცხებოდა 648 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიან. იყო 11581 მეურნეობა და 20.921 ჰექტარი მიწა. ამავე წლის 1 ოქტომბრისათვის კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 923-მდე (16.180 მეურნეობათა და 30.212 ჰექტარი მიწით) და, 1 დეკემბრისათვის—1.398-მდე (28.806 მეურნეობით და 56.765 ჰექტარი მიწით). განვითარების ამ ტემპის მიხედვით 1930 წლის 1 მაისისთვის საქართველოში იქნება არა ნაკლებ 1922 კოლექტიური მეურნეობისა, რომლებშიაც გაერთიანებული იქნება 76.880 მეურნეობა და 203.782 ჰექტარი მიწა. სათესი მიწის ამ რაოდენობიდან შემოდგომაზე დათესილია 47.809 ჰექტარი, დაუთესავი (როგორც ანეული) დარჩება—25.445 ჰექტარი, ხოლო გაზაფხულის ნათესებისა და ნარგავებისათვის კი 130.528 ჰექტარი(წარსულ გაზაფხულზე კოლმეურნეობის მიერ დათესილი იქნა — 12.173,5 ჰექტარი), აქედან მარცვლეული კულტურა დაითესა 82.141 ჰექტარზე (სიმინდი 61.041, ქერი—10.900 და ხორბალი — 10.200 ჰექტარი), ტეხნიკური კულტურები 19.527 ჰექტარზე (ბამბა—5.000, თამბაქო — 3 850, შაქრის ჭარხალი—100, კენაფი—400, მზესუმზირა—617, სოია—7.500, რამი—1.800, არახისი—800, ლუფა—160 და ხელი—300 ჰექტარი), საკვები ბალახები—7.000 ჰექტარზე, მრავალწლიანი ნარგავები—6.078 ჰექტარზე (ჩაი—3.916, ვენახი—930, ბაღები—827, სუბტროპიკული კულტურები 300 და თხილი 100 ჰექტარზე), ბოსტანი—4.448, კართოფილი 4. 534, ლობიო—5.850 და ძირნაყოფა — 960 ჰექტარზე.

სათესლე მასალა

კოლექტიურ მეურნეობებში გაზაფხულის თესვისათვის საჭირო იქნება 148.474,5 ცენტნერი სათესლე მასალა (ხორბალი 15.300, ქერი—16.350, სიმინდი—25.998, სოია—4.668, საკვები ბალახი—4.666, არახისი—150, მზესუმზირა—206, კართოფილი 75.231, ლობიო —5.497, ძირნაყოფა—319, ბოსტნეული — 44.5 და ხელი 50 ცენტნერი) 1.530.014 მანეთის ღირებულებისა. აქედან კოლექტივებს უკვე აქვთ 14.407 ცენტნერი და უნდა მიეცეთ—134.067,5 ცენტნერი სათესლე მასალა და 962.140 მანეთის დასარგავი მასალა (ვენახის, ხეხილის და სუბტროპიკულ მცენარეთა ნამყენი).

იარაღ-მანქანები და მუშა-საქონელი

გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩასატარებლად კოლექტიურ მეურნეობებს გეგმის მიხედვით უნდა მიეცეს 668.545 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები: გუთანი—5.422 ცალი, ფარცხი—1.355, მათოხი—792, პურის სათესი მანქანა—107, სიმინდის სათესი—782, ტრიერი—115, სიმინდის საცეხვი მანქანა—614, სალეწი მანქანა—11, სამკალი და ამკონავი მანქანა—235, სათიბი—205, ფოცხი—268, თივის პრესი—19 და ხორბლის შესაწამვლის მანქანა—265 ცალი. გარდა ამისა საჭიროა 20 ტრაქტორი, 3.000 ხარი, 728 ცხენი, 209.282 მანეთის საქონლის საკვები (ქერი, თივა) და მინერალური სასუქი და 56.800 მანეთის საწვავი და საზეთი მასალა.

საკრედიტო გეგმა

ამრიგად კოლექტიურ მეურნეობათა გაზაფხულის თესვის კრედიტის ჯამი უდრის — 4.528.720 მანეთს. აქედან გრძელვადიანი სესხი—2.364.622 მანეთი და მოკლევადიანი — 1.774,098 მან.

ხსენებული საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულია სატრაქტორო კოლონების შემკეთებელი სახელოსნოების მოწყობა ცენტრში, რისთვისაც გადადებულია 110.000 მანეთი.

კომუნებსა და მსხვილ კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო შენობების აგება, რაზედაც დაიხარჯება — 160.000 მანეთი. თესვის პერიოდში ღარიბ გლეხობის დასახმარებლად გადადებულია — 120.000 მანეთი.

ღონისძიებები მოსავლიანობის გასადიდებლად

მოსავლიანობის გასადიდებლად განზრახულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიების გატარება, როგორიც არის ნიადაგის შემზადება (მშრალი ხვნა და ანეულები), მიწის დამუშავება გაუმჯობესებული იარაღით, თესლის დახარისხება—შეწამვლა, მწკრივში თესვა, ხარისხოვანი სიმინდის თესვა, მიწის განოყიერება, მავნებლებთან ბრძოლა და სხვ. ამჟამად კოლმეურნეობებში მუშაობს 178 ტრაქტორი, აქედან ნაწილი მოძველებულია და თესვის დროს მთლიანად გამოსადეგი იქნება დაახლოებით 150 ცალი, რომელიც მოხნავს 15.000 ჰექტარს. გარდა ამისა შემოზიდული იქნება 20 ახალი ტრაქტორი, რომელიც მოხნავს—2.000 ჰექტარს. გაზაფხულის თესვისათვის კოლმეურნეობებს ექნებათ სულ 7.422 გუთანი (2.000 ცალი ძველი და 5.422 ახლად შემოზიდული), რომლითაც მოხნული იქნება 112.500 ჰექტარი მიწა. ზემოხსენებული ზომების შედეგად მოსავლიანობის გადიდება ნავარაუდევია საშუალოდ 14,8 პროცენტით.

კონტრაქტაცია

კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებული იქნება ყველა ტეხნიკურ და მარცვლეულ კულტურების ნათესების მთელ 100 პროცენტზე.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და შემკეთებელი სახელოსნოები

გაზაფხულის თესვის პერიოდში განზრახულია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გახსნა ბორჩალო-ყარაიას რაიონებში (ბამბის რაიონები), აბაშაში (ტეხნიკურ და მარცვლეულ კულტურათა რაიონი) და ტირიფონის ველზე (შაქრის ჭარხლის რაიონი), ზემო-ქედის და მარტყოფის რაიონებში მოეწყობა სამანქანო-სატრაქტორო კოლონები. ამავე პერიოდში უმთავრესად სამანქანო-სატრაქტორო კოლონებთან მოეწყობა ოთხი შემკეთებელი სახელოსნო, რაზედაც დაიხარჯება — 108 მანეთი.

კადრები

გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარების და კოლმეურნეობათა განმტკიცების მიზნით მიმდინარე ზამთრის პერიოდში განზრახულია რეალური ზომების მიღება კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ შემადგენლობის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით მოეწყობა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კურსები ოლქებში, მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში, რომლებზედაც გატარებული იქნება 600 კაცი: თბილისის ოლქში—100 კაცი, კახეთში—100 კაცი, გორში—50, ქუთაისში—50, ზუგდ. და სენაკში 100 კ. ოზურგეთში—100, აჭარისტანში—50 და აფხაზეთში—50 კაცი. გარდა ამისა თბილისში მოეწყობა კოლმეურნეობათა მოანგარიშეების მოსამზადებელი კურსები 80 კაცისათვის. კურსებზე დაიხარჯება სულ 108.000 მანეთი.

—:—

ამხ. მ. ძამანაშვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის ფაქტიური ტემპი გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო კოლმეურნეობათა მშენებლობის გეგმით.

ამ გეგმით გათვალისწინებული იყო ცალკე კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა სოფლების შიგნით, ფაქტიურად კი მთელ რიგ სოფლების და რაიონების მშრომელ გლეხობას გამოაქვს დადგენილებები მთლიანი კოლექტივიზაციის შესახებ (24—25 დეკემბერს სოფ. დიდი ლილოს გლეხობამ დაადგინა სოფლის მთლიანად გაკოლექტივება, კულაკების გამოკლებით). ამჟამად უკვე შესრულებულია კოლმეურნეობათა მშენებლობის 5-წლიანი გეგმის დიდი ნაწილი და საჭიროა ამ გეგმის გადასინჯვა მისი გადიდების მიზნით.

ასევე ჩამორჩენილად მიაჩნიათ ამხანაგებს მომავალი გაზაფხულისთვის შემუშავებული თესვის კამპანიის გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მხოლოდ 17 პროც. კოლექტივიზაცია. ამის გამო ამხანაგები მოითხოვენ გეგმის გადიდებას.

კამათის დამთავრების შემდეგ თათბირმა გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის გადასინჯვა დაავალა კომისიას კოლმეურნეობათა ცენტრის, კოლმეურნეობათა სამაზრო კავშირების და სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილებათა გამგეების შემადგენლობით.

მუშები და სპეციალისტები ხელს უწყობენ კოლექტივიზაციას

სოხუმი, 27 დეკემბერი. გაგრის სახერხი ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტეხნიკოსთა პერსონალმა მიიღეს გამოწვევა კოდორის ქარხნის მუშების და ინჟინერებისა და იკისრეს შეფობა ქარხნის მახლობლად მდებარე ორ სოფელზე—ქვედა კოლხიდაზე და სომხეთა კალდახვარზე, ამასთან ისინი კისრულობენ 1930 წლის განმავლობაში გადაიყვანონ ეს სოფლები მთლიან კოლექტივიზაციაზე. ამ საქმის სახელმძღვანელოდ შესდგა ნებაყოფლობითი დამკვრელი ბრიგადა, რომელშიაც შედის 8 ამხანაგი. გაგრელებმა მიმართეს სოხუმის თამბაქოს ფაბრიკას, სტამბას და ჯიშიანი საქონლის საბჭოთა მეურნეობას „მე-3 ინტერნაციონალ“-ს მიბაძონ მათ მაგალითს. გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა იკისრეს შეფობა სოფელ ხალოდნაია რეჩკაზე, მათ მომავალ წელს ხსენებული სოფელი უნდა გადაიყვანონ მთლიან კოლექტივიზაციაზე. ამას გარდა მათ იკისრეს, იმუშაონ ერთი დღე „ხალოდნაია რეჩკას“ კოლექტივიზაციის ფონდის სასარგებლოდ. მოძრაობა სოფლების და რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციისთვის მთელ აფხაზეთს მოედო. სოფლებიდან ყოველ დღე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მუშები კისრულობენ შეფობას ცალკე სოფლებზე, აგრეთვე იმას, რომ იმუშაონ თითო დღე კოლექტივიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. (ადს).

თათბირი გაზაფხულის თესვის საკითხებზე

26 დეკემბერს, საღამოთი, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში გაიხსნა თათბირი გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ. თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) მოსავლიანობის გადიდება და ნათესების გაფართოვება, 2) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, 3) ფინანსების მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის, 4) ბრძოლა მავნებლებთან, 5) აგრო-დახმარება და აგრო-პროპაგანდა და სხვ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კაშარავამ.

გაზაფხულის თესვის წარსული გეგმა, სთქვა მომხსენებელმა, ხასიათდებოდა იმით, რომ მასში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მარცვლეულ კულტურას და ტეხნიკური კულტურების განვითარება ამ გეგმაში სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობდა. საგაზაფხულო თესვის ეხლანდელი გეგმით ეს ნაკლი გამოსწორებულია, ამ გეგმაში შეტანილია საორიენტაციო ციფრები, რომლებიც თათბირის შესწორებას საჭიროებენ. ჩვენს ამოცანას შეადგენს მომავალისათვის შევიმუშაოთ მთლიანი წლიური გეგმა, რომელშიაც შეტანილი უნდა იქნეს მესაქონლეობაც.

წარსულ წელში ბამბის ნათესებს საქართველოში ეკავა 8300 ჰექტარი მიწა, საგაზაფხულო თესვის ეხლანდელი გეგმით კი ნავარაუდევია 12500 ჰექტ., თამბაქოს ეკავა 14500 ჰექტ., ნავარაუდევია—22450 ჰექტარი, კანაფის ნათესების სივრცე უნდა გაიზარდოს 800 პროცენტით (200 ჰექტარიდან აყვანილი უნდა იქნეს 1800 ჰექტარამდე), ძაძას ნათესი 1000 ჰექტარიდან აყვანილი უნდა იქნეს 15000 ჰექტარამდე, შაქრის ჭარხლის ნათესის გადიდება ნავარაუდევია 50 ჰექტ. (200 ჰექტ. ნაცვლად 250), მზესუმზირას ნათესი 2500 ჰექტარიდან აყვანილი უნდა იქნეს 8000 ჰექტარამდე, მიწის თხილი, (რომელიც საქართველოში დიდ მოსავალს იძლევა) უნდა დაითესოს 400 ჰექტარზე (ნაცვლად 20-ისა). ჩაის მოედანი გაზაფხულის თესვის დროს გადიდებული უნდა იქნეს 89 პროცენტით, ვენახების სივრცე —900 ჰექტარით, კარტოფილის ნათესი სივრცე აყვანილი უნდა იქნეს 12000 ჰექტარამდე; გარდა ამისა განზრახულია ისეთი მცენარეების დათესვა, რომლებიც საქართველოში თითქმის არ ითესებოდნენ (იაპონის ჭინჭარი და სხვადასხვა ზეთიანი მცენარეები). მარცვლეულ კულტურებით დათესილი სივრცე 564.000 ჰექტარიდან აყვანილი უნდა იქნეს 586000 ჰექტარამდე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მირიანაშვილმა, სამადაშვილმა, ესართიამ. ჯიბლაძემ, ქურციკაშვილმა და გაბუნიამ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ გეგმა მევენახეობის განვითარებას ითვალისწინებს უმთავრესად კახეთის ოლქში, ამავე დროს დასავლეთ საქართველოს ბევრ ადგილებში მევენახეობის განვითარებისათვის არსებობს ფრიად ხელსაყრელი პირობები, მაგრამ გეგმაში ისინი ვერ პოულობენ სათანადო გამოხატულებას. კამათის დროს გამოირკვა, რომ კოლმეურნეობათა ცენტრი, მებამბეობის კომიტეტი, საზ-ბა „კენაფი“, „საქართველოს ჩაი“ და სხვ. თავიანთ გეგმებს არ უთანხმებენ მიწსახკომის გეგმას, რის გამო ეს გეგმები განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან და უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ როგორც მიწსახკომს, ისე ადგილობრივ მუშაკებს.

გუშინ, დილით თათბირის მონაწილეებმა შესწორებები შეიტანეს ცალკ-ცალკე მაზრების გეგმებში.

სახელმწიფო აპარატის წმენდის წინასწარი შედეგების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის დადგენილება

1. მე-16 პარტკონფერენციამ ანალიზი გაუკეთა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგებსა და უახლოეს ამოცანებს ახლანდელ პერიოდში და აღნიშნა, რომ „ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯებანი მთელ რიგ შემთხვევებში იქცევიან მუშათა კლასზე კულაკების, ქალაქის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის შემოტევის გამოხატულებად. პარტიისა და საბჭოების ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან, რომელნიც ფართო მშრომელი მასების თვალში ხშირად ჩრდილავენ პროლეტარულ სახელმწიფოს ნამდვილ ბუნებას, იქცევა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად“.

ამ მითითებათა მიხედვით, საბჭოთა აპარატის წმენდას გახრწნილი ელემენტებისაგან, იმ ელემენტებისაგან, რომელნიც ამახინჯებენ საბჭოთა კანონებს, რომელნიც უსისხლხორცდებიან კულაკსა და ნეპმანს, ხელს უშლიან საქმის გაჯანსაღებასთან ბრძოლას და ფარავენ საქმის გაჭიანურებას, მედიდურად, ჩინოვნიკურად, ბიუროკრატიულად ეპყრობიან მშრომელთა არსებით საჭიროებებს, აპარატის გაწმენდას მფლანგველებისა, მექრთამეებისა, სახაზინო გამწევებისა, მავნებლებისა და ზარმაცებისაგან — პირველხარისხოვანი როლი უნდა ეთამაშა გაშლილი სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან და საჭიროებებთან სახელმწიფო აპარატის შეფარდების საქმეში.

პარტიულ, პროფკავშირულ, საბჭოთა, კომკავშირულ, საზოგადოებრივ და სხვ. ორგანიზაციებს მთელი თავიანთი ყურადღება, მთელი თავიანთი ენერგია და ძალღონე უნდა დაერაზმათ პარტიის ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანის ირგვლივ“.

2. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო აპარატის წმენდის მიმდინარეობა და წინასწარი შედეგები ცხადჰყოფენ, რომ ადგილობრივი პარტიული და, განსაკუთრებით, პროფკავშირთა ორგანიზაციები საკმაო მუშაობას არ აწარმოებენ.

წმენდისათვის წარმოებული მუშაობის უმნიშვნელოვანეს დეფექტებს შეადგენენ:

ა) წმენდის ძირითადი პოლიტიკური ამოცანების ირგვლივ (განსაკუთრებით ადგილებზე) დარაზმულნი არ არიან მშრომელთა ფართო მასები და ამ ამოცანების ირგვლივ არ მომხდარა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია;

ბ) ოლქებსა და მაზრებში მუშათა მასები საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი, ხოლო გლეხები სრულებით არ ჯრიან ჩაბმულნი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საქმეში;

გ) აპარატიდან გაძევებულთა შესაცვლელად მუშების დაწინაურების საქმეს ცენტრში ნაკლები ყურადღება ექცევა, ხოლო ადგილებზე —სრულიად [illegible].

დ) პარტიულმა უჯრედებმა დაწესებულებებში, აგრეთვე ადგილკომებმა წმენდა არ მოაქციეს თავიანთი მოქმედების ცენტრში (რითაც თვალსაჩინოდ აიხსნება ურთიერთი გამოსარჩლება ზოგიერთ დაწესებულებებში) და წმენდასთან დაკავშირებით არ გაშალეს სახელმწიფო აპარატის საკმაოდ ღრმა შესწავლა;

ე) ზოგიერთ დაწესებულებებში თითქმის სრულებით არ იყო გაშლილი თვითკრიტიკა, ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი ჩქმალავდნენ თავიანთი აპარატის დეფექტებს და ფარავდნენ გახრწნილ და სოციალურად უცხო ელემენტებს (ახალქალაქის სამფინგანი და სადგილ-მამულო განყოფილება, საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, აფხაზეთის ფინსახკომი);

ვ) აპარატის წმენდის საქმეში სრულიად არასაკმაო მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი საბჭოები და მათი სექციები;

ზ) კომკავშირის ორგანიზაცია საერთოდ საკმაო მონაწილეობას არ იღებდა წმენდის საქმეში, თუმცა ეს ორგანიზაცია უფრო აქტიური იყო, ვიდრე სხვა ორგანიზაციები.

4. თვით წმენდის პროცესისადმი უკანასკნელ დროს მიღებული ზომების მეოხებით, დიდ ინტერესს იჩენდნენ მუშათა მასები, რომელთა აქტივობამაც საშუალება მოგვცა თვალსაჩინოდ გამოგვესწორებია მოსამზადებელ მუშაობაში არსებული დეფექტები.

ამასთან ერთად შეჩნეულია შემდეგი არანორმალური მოვლენები; წმენდის ტემპის დაჩქარება მისი ხარისხის ხარჯზე (ოზურგეთში ერთი დღის განმავლობაში დამთავრდა სადგილ-მამულო განყოფილების წმენდა); ურთიერთ გამოსარჩლება ზოგიერთ დაწესებულებაში; პირადი ანგარიშების გასწორების ცდები; ცალკე ნაციონალისტური გამოსვლები, რომლებსაც ზოგჯერ კომისია სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდა და სხვ.

5. გარდა ამისა, წმენდის ჩამტარებელი ზოგიერთი კომისიის მუშაობაში აღინიშნოს შემდეგი დეფექტები:

ა) თითქმის ყველა თანამშრომლის ერთბაშად მოხსნა საკმაო საფუძვლის უქონლად (ქუთაისის საოლქო ფინგანყოფილება და სამხრეთ-ოსეთი);

ბ) აშკარად კლასობრივად უცხო და კულაკებთან და ნეპმანებთან შეზრდილი ელემენტების აპარატში დატოვება (ახალქალაქი და სხვ.).

გ) კომისიები თავიანთ დასკვნებში უმრავლეს შემთხვევებში არ აღნიშნავენ ღონისძიებებს აპარატის გაუმჯობესებისა, შემცირებისა და გაიაფებისათვის.

დ) ხელისშემწყობი კომისიების ნაწილი, ისევე, როგორც წმენდის ჩამტარებელი კომისიები, გიტაცა მოსამსახურეთა წარსულმა და მათ სავსებით გაუშვეს მხედველობიდან აპარატის კლასობრივი სიფხიზლე, მისი მუშაობის სისტემის შესწავლა, აგრეთვე მოსამსახურეების მიერ შესრულებული მუშაობის ხარისხი (გორი, სამხრეთ-ოსეთი).

6. მიუხედავად აღნიშნული დეფექტებისა, (რომლებიც ამ ბოლო დროს თვალსაჩინოდ სწორდება), სახელმწიფო აპარატის წმენდამ უდიდესი სარგებლობა მოიტანა, გამოააშკარავა საბჭოთა აპარატის მთელი რიგი არსებითი მტკივნეული მოვლენები, გააჯანსაღა იგი, გააღვიძა მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გრძნობა, გააუმჯობესა სოციალური შემადგენლობა და სხვ.

სახელმწიფო აპარატის წმენდის პროცესში გამოაშკარავებულ მტკივნეულ მოვლენათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს;

ა) აპარატის შეუგუებლობა (უმთავრესად მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების) სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან.

ბ) სოციალურად უცხო ელემენტების (პოლიციელების, შავსიელების, ვაჭრების და სხვ.) სიმრავლე ზოგიერთ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ადგილობრივ ორგანიზაციებში (კახეთი, ახალქალაქი).

გ) მთელი რიგი ფაქტები კლასობრივი ხაზის გამრუდებისა (მიწათმოწყობის დროს კულაკებისათვის საუკეთესო მიწების მიზომვა, ინდივიდუალური წესით დაბეგვრა საშუალო გლეხებისა და ღარიბი გლეხებისაც კი, კულაკების განთავისუფლება ინდივიდუალურ დაბეგვრისაგან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამწერილებელ კომისიაში კულაკების შეყვანა და სხვ.).

დ) ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმაშფოთებელი შემთხვევები სადგილ მამულო ორგანოებში (გორის და სხვა სადგილ-მამულო განყოფილებებში დაგროვდა რამდენიმე ასი საჩქაროდ გადასაჭრელი საქმე).

ე) სადგილ-მამულო და საფინანსო ორგანოების მუშაკთა შეზრდა კულაკებთან და ნეპმანებთან.

7. აღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი ავალებს პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს:

ა) მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას სახელმწიფო აპარატის, მეტადრე საბჭოთა ქვედა აპარატის, წმენდის საქმეში და ყველა ორგანიზაციების მთავარ ამოცანად გამოაცხადონ საბჭოთა აპარატის საბოლოოდ გაწმენდა ჩვენი მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ხელშემშლელი ელემენტებისაგან.

ბ) დაწესებულებებში მუშათა შეფობის შემოღების იდეამ, რომელიც მუშათა მასებმა წამოაყენეს და რომელმაც სტიქიური ხასიათი მიიღო, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს თავისი ორგანიზაციული გამოხატულება. საჭიროა შეფსაწარმოებიდან უახლოეს ხანში გამოიყოს მუშგლეხინის მუშათა დამკვრელი ბრიგადები და დაწესდეს ამ ბრიგადების მუდმივი კონტროლი დაწესებულებებზე.

გ) სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას რიცხვობრივ ინტერესებიდან მუშაობის ხარისხობრივ მხარეზე (გაცნობა საბჭოთა, აპარატის მუშაობასთან, მის კლასობრივ სიფხიზლესთან);

დ) აპარატის მუშაობასთან გაცნობას, საერთოდ, თან უნდა სდევდეს კონკრეტული მითითება—თუ როგორ აღმოიფხვრას დეფექტები და გაუმჯობესდეს აპარატის მუშაობის სისტემა.

ე) ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ იმ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც საკმაოდ არ აფასებენ წმენდას და ხელს უშლიან მის ნორმალურ მიმდინარეობას; ასეთი კომუნისტების პარტიიდან გამორიცხვასაც კი არ უნდა მოერიდონ.

ვ) ამასთან ერთად „იმ კომუნისტების მიმართ, რომელთა მუშაობის შემოწმებამაც გამოარკვია მათი უვარგისობა სახელმწიფო მმართველობის საქმეში, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ამჟამად გავრცელებული გადაყვან-გადმოყვანა დაწესებულებებიდან დაწესებულებებში, რაიონიდან რაიონში. მუშაკების ასეთი გადაყვან-გადმოყვანა მხოლოდ საბოლოოდ დაღუპავს მათ და ამავე დროს ხელს შეუშლის აპარატის გაუმჯობესებას; ისინი აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ ხოლმე მუშაობას სპეციალობის მიხედვით“, (მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებიდან).

ზ) აპარატის მუშაობის შემოწმება უნდა მიმდინარეობდეს უმკაცრესი თვითკრიტიკის თვალსაზრისით; საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა იმ ელემენტებთან, რომლებიც ცდილობენ [illegible] მოსპონ მუშების კრიტიკა. ამავე დროს მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ ადგილი არ ჰქონდეს ბოროტ კრიტიკას, რომლის მიზანსაც შეადგენს არა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება, არამედ მისი სახელის გატეხა.

თ) მუშებისაგან, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფენებისაგან, ახალგაზრდობისა და დაბალი მოსამსახურეებისაგან რეზერვების მომზადების საქმეში მიღებულ იქნას გადამწყვეტი გარდატეხა იმ მიზნით, რომ ისინი სახელმწიფო აპარატში დაწინაურებულ და წინწაწეულ იქნან გამოძევებულთა ნაცვლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალების, ეროვნულ უმცირესობათა ელემენტების და მუშა-ახალგაზრდობის დაწინაურებას.

ი) დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, გამწმენდი კომისიის მონაწილეობით, უნდა მოაწყონ მოკლევადიანი კურსები საჭირო რეზერვების მოსამზადებლად; ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჯერდნენ, რომ მოსამზადებელმა პირებმა მხოლოდ კურსები გაიარონ,—ისინი უნდა ჩაბან პრაქტიკულ მუშაობაშიც. თანამდებობათა შევსებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ გამწმენდი კომისიის წარმომადგენლებმა, პროფესიონალურმა კავშირებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და იმ საწარმოების მუშათა მასამ, საიდანაც განზრახულია დაწინაურება.

კ) დაამყარონ მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა საბჭოებთან; აუცილებლად მიიღონ პრაქტიკული მონაწილეობა წმენდაში ცალკე დაწესებულებებმა და მათთან დაკავშირებულმა საბჭოების სექციებმა.

ლ) იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობათა მუშაკებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა მეტი მონაწილეობა მიიღონ ქვედა ორგანოების შემოწმებისა და წმენდის საქმეში, მოეწყოს საწარმოთა მსგავსად, კოლმეურნეობათა მუშაკების, მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხების და საბჭოთა მეურნეობების მუშების ბრიგადები. შემოღებულ იქნას მუშათა ბრიგადების გამგზავრება ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონებში პროლეტარული გავლენის უზრუნველსაყოფად და მათი მუშაობის გამოცდილების გასაცნობად.

მ) საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ქვედა ორგანოების წმენდის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ კულაკები ყოველნაირად ეცდებიან სახელი გაუტეხონ იმ მუშაკთა, რომლებიც კლასობრივ ხაზს ატარებენ და, პირიქით, დაიცვან მათ სასარგებლოდ მომუშავენი.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი ითვალისწინებს ამ გამოცდილებას და წინადადებას იძლევა—გადამწყვეტი ბრძოლა იქნას დაწყებული კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ.

ნ) მოხდეს მობილიზაცია სხვადასხვა პასუხისმგებელი მუშაკებისა, გამოყენებულ იქნან ისინი ხელისშემწყობ კომისიების შესაქმნელად და ქვედა ორგანოების წმენდასთან დაკავშირებულ სხვა მუშაობისათვის.

8. რესპუბლიკანურმა, საოლქო და სამაზრო გამწმენდმა კომისიებმა მიიღონ ზომები, რომ საუწყებო გამწმენდი კომისიების თავმჯდომარენი მაინც განთავისუფლდნენ სხვა მუშაობისაგან, რათა მათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა ბრიგადების და ხელისშემწყობ კომისიების ყოველმხრივი უზრუნველყოფის მიზნით.

9. ორი სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების წმენდის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა, რომ საჭიროა მთელი მუშაობის წარმოება დაწესებულებათა მინიმალური რაოდენობის გარეშეთ.

ამის გამო, საქართველოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი წინადადებას იძლევა, რომ მომავალ წლის პირველ ნახევარში წმენდა მოხდეს შემდეგ ორგანიზაციებში: იუსტიციის სახ. კომისარიატსა და მის ადგილობრივ ორგანოებში, მილიციაში (ცენტრსა, ოლქებსა და მაზრებში), ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამართველოსა და საქართველოს სახალხო ვაჭრობის საპაიო საზოგადოებაში, მუშკოოპსა და ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებებში (საოლქო და სამაზრო ცენტრებში).

ქვედა ორგანოების წმენდა უნდა დაიწყოს თებერვლის მეორე ნახევრიდან. დარჩენილი დრო მთლიანად უნდა მოხმარდეს წმენდის მოსამზადებელ მუშაობას და გაძევებულთა შეცვლის მზადებას.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ქვედა ორგანოების შემოწმებასა და წმენდას, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან. იგი საჭიროდ სცნობს, გადაჭრით გაიწმინდოს ეს ორგანოები მშრომელთა ფართო მასების მასიური ჩაბმის გზით.

10. ცენტ. საკონტრ. კომისიის პლენუმი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს—გაითვალისწინოს მთელ ამ მუშაობაში საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს ნოემბრის დადგენილება საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმის შემდგომი მუშაობის შესახებ.

დღეს შესდგება საკავშ. რადიო-კრება

მოსამზადებელი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა

დღეს, 28 დეკემბერს, საღამოს 7 საათიდან დაიწყება საკავშირო რადიო-კრება დამკვრელი ბრიგადების ყრილობის შედეგების განსახილველად. კრება გადაცემული იქნება საბჭოთა კავშირის ორმოცდაცამეტ რადიო-სადგურის საშუალებით.

„ამ კრებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ყოველი წერა-კითხვის თუნდაც მცირე მცოდნე მუშა იგრძნობს, რომ ის მარტო არ არის და მრავალ-ვერსიანი მანძილით არ არის მოწყვეტილი ცენტრს, რომ იგი მთელი მუშათა კლასთან ერთად ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში. მაგრამ ამ კრების ნაყოფიერად ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილებზე გულდასმით და ყოველმხრივ მოემზადებიან კრების ჩასატარებლად“—ნათქვამია საკავშირო პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და გაზ. „კომსომოლსკაია პრავდა“-ს მიმართვაში ადგილებისადმი.

რაში უნდა გამოხატულიყო ადგილებზე პროფესიონალურ და კომკავშირის ორგანიზაციების [illegible] რადიო-კრების ჩატარებაში, ეს დაწვრილებით იყო აღნიშნული მიმართვაში.

თუ რამდენად სუსტად იქნა შესრულებული ეს დირექტივა კერძოთ თბილისში, ეს ნათელჰყო ჩვენი რედაქციის თანამშრომლის მიერ ზოგიერთი წარმოებების შემოვლამ.

გამოირკვა, რომ ზოგ წარმოებებში არა თუ არ ჩაუტარებიათ მოსამზადებელი მუშაობა რადიო-კრებაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ მუშებმა და თვით ქარკომის კულტკომისიამ არც კი იცოდა არაფერი რადიო-კრების შესახებ.

ამხ. სტალინის სახ. ავტო-სახელოსნოებში არავითარი დირექტივები არ მიუღიათ მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად. სახელოსნოებში სულ ერთი თვეა, რაც დაუდგამთ რადიო—მიმღები. რადიო-წრე ჯერ-ჯერობით არ ჩამოუყალიბებიათ და ამ დარგში არავითარი მუშაობა სწარმოებს. სახელოსნოების ქარხკომიტეტის კულტკომისიის წევრებმა არაფერი იცოდნენ საკავშირო რადიო-კრების შესახებ.

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარში“, სადაც ჩამოყალიბებულია 18 დამკვრელი ბრიგადა არავითარი მოსამზადებელი მუშაობა არ არის ჩატარებული. ქარხანაში ერთი მოშლილი რადიო-მიმღები აპარატი მოიპოება. მის შეკეთებას მუშები დიდი ხანია მოითხოვენ, ამის შესახებ მიმართეს კავშირს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია, ეს იმ დროს, როცა დირექტივა იყო მიცემული, რომ 28 დეკემბრისათვის ყველგან შეკეთებული ყოფილიყო რადიო-მიმღები აპარატები წარმოებებში.

„მკერავი“-ს პირველ ქარხანაში თვით მუშებმა მიაკითხეს კავშირს კრების ჩატარების საკითხზე. ქარხანაში წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არ არის ჩატარებული.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანამ ჩაატარა ასეთი მოსამზადებელი „მუშაობა“! კედელზე გამოკრულია განცხადება, რომლითაც მუშებს აცნობებენ რადიო-კრების ჩატარებას 28 დეკემბერს. ასეთია მთელი მოსამზადებელი „მუშაობა“.

არაფერია გაკეთებული „ხის ნაწარმში“, სპილიძის სატყავე ქარხანაში და ალბად კიდევ ბევრგან.

რადიო-კრება ტარდება დღეს, საღამოს. კიდევ არის დარჩენილი მცირეოდენი დრო, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ფაბრიკა-ქარხნებში და მუშათა კლუბებში. რათა საკავშირო რადიო-კრებამ მოგვცეს ის ნაყოფი, რომელსაც მისგან მოველით.

ა. ბ.

საკავშირო რადიო-კრების პროგრამა

7 ს. იწყება დამკვრელი ბრიგადების საკავშირო რადიო-კრება. 7 საათიდან 8 ს. 6 წუთამდე ლაპარაკობს მოსკოვი; 8 ს. 7 წ.—8 ს. 13 წ—დე—ლენინგრადი; 8 ს. 14 წ.—8 ს. 20 წ. —ხარკოვი; 8ს. 21 წ.—8 ს. 27 წ.—თბილისი; 8 ს. 28 წ.—8 ს. 34 წ.—ბაქო; 8 ს. 35 წ.—8 ს. 41 წ.—მინსკი; 8 ს. 42 წ.—8 ს. 48 წ.—ვორონეჟი; 8 ს. 49 წ.—8 ს. 55 წ.—დონის როსტოვი; 8 ს. 55 წ. 9 ს. 02 წ.—დნეპროპეტროვსკი; 9 ს. 03 წ.—9 ს. 09 წ.—არტემოვსკი; 9 ს. 10 წ.—9 ს. 16 წ.—ივანოვო-ვოზნესენსკი; 9 ს. 17 წ.—9 ს. 23 წ.—ნიჟნი-ნოვგოროდი; 9 ს. 24 წ.—9 ს. 40 წ.—მოსკოვი; 9 ს. 40 წ.—10 ს. გადაცემა იწარმოებს სტუდიიდან, 10 საათიდან —12 ს. და 40 წუთამდე ტრანსლაცია-კონცერტი მოსკოვიდან, 12 ს. და 23 წ.—12 ს. 30 წ. შესვენება, 12 ს. 30 წუთიდან—1 საათამდე —მოსკოვიდან გადაცემული იქნება ახალი ამბები.

პარტიული მშენებლობა

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებები—მასებში

თვითეულმა კომუჯრედმა, პარტიის წევრმა უნდა შეისწავლოს ცეკას ნოემბრის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებანი, რათა ადვილად დასძლიოს მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა გატარება ცხოვრებაში უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას

კოლმეურნეობათა მშენებლობის ზოგიერთ საკითხებზე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მთელი თავისი სერიოზულობით დასვა საკითხი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპით განვითარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება მრეწველობის განვითარებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა თითქოს ინგრევა და ნადგურდება. მემარჯვენე ოპორტუნისტები თავიანთ თეზისებში ამტკიცებდენ, რომ ვითომც ჩვენი სოფლის მეურნეობა განიცდის დეგრადაციას, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება გაყინული იყოს ერთ წერტილზე.

ხუთწლიანი გეგმის პირველმა წელმა დაგვანახვა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება არამც თუ ერთ წერტილზეა გაყინული, არამედ ის ჩქარი ტემპით იზრდება, რასაც ამტკიცებს პარტიის მიერ აღებული ხაზი კაპიტალისტური ელემენტების შევიწროებისა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების გაძლიერებულ მშენებლობისაკენ. აღსანიშნავი ის არის, რომ მემარჯვენე გადახრის ბელადებმა მაშინ დაიწყეს ყვირილი სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ, როდესაც კოლმეურნეობათა მშენებლობაში ძირითადი გარდატეხა მოხდა, როდესაც სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობა მასიურად ჩაება სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

კოლექტიური მეურნეობის სწრაფი ტემპით ზრდას გადაეღობა მთელი რიგი სიძნელეები, რომელთა დაძლევა პარტიის გადაუდებელი ამოცანაა. კოლექტიური მეურნეობისაკენ სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხების მასიურ ლტოლვას აქვს ადგილი. წვრილი მესაკუთრე-მეურნე, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში ახლად გაერთიანებულია, ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული კერძო მესაკუთრეობრივი ტრადიციებიდან. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს შორის კულტურულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. ცეკას ნოემბრის პლენუმმა თავის რეზოლიუციაში კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის შესახებ აღნიშნა, რომ საბჭოთა ორგანოებმა და საბჭოთა საზოგადოებრივობამ ფართო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა უნდა გაადრმავონ იმ სოფლებსა და რაიონებში, სადაც კოლექტიური მეურნეობები არსდება.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენში არსებულ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, დავინახავთ, რომ მათი კულტურულ მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული. კოლექტივის ბევრი წევრი ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარია, მათი შვილები ასი პროცენტით არ არიან ჩაბმული სასწავლებლებში. ამიტომ განათლების ორგანოებმა, იმ სოფლებსა და რაიონებში, სადაც არსებობს კოლექტიური მეურნეობები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. უნდა გაიზარდოს კოლექტიურ მეურნეობის წევრთა კულტურული და პოლიტიკური მომზადების დონე, რადგან სოციალიზმის ზრდა, როგორც იტყოდა ლენინი—წარმოუდგენელია მოსახლეობის კულტურული დონის მაქსიმალურად აწევის გარეშე. კოლექტიური მეურნეობები უნდა გადაიქცეს კულტურულ კერებად, კულტურული მუშაობის ცენტრებათ მთელ სოფელში.

ცეკას ნოემბრის პლენუმმა ჩვენი მუშაობის ყურადღების ცენტრში დააყენა საკითხი კოლექტიური მეურნეობების ტეხნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ. ამ მიმართულებით პარტიისა და ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენი ქვეყნის მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ფართე ქსელის გაშლა. კერძოდ გორის ოლქში აგებული მიმდინარე წელსვე აოსდება სატრაქტორო სადგური, რომელიც სოფლის მეურნეობიდან გამოდევნის მამაპაპურ ქართულ გუთანს.

მეორე საკითხი—კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია. კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმულ მასების სწორად გამოყენებას და შრომის ორგანიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. შრომის ორგანიზაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაზე დამოკიდებული იმ სიძნელეების გადალახვა, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას—კერძოდ კოლმეურნეობათა მშენებლობაში. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ შრომის ორგანიზაცია კოლექტიურ მეურნეობებში დღემდე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, სოფლის განსაზოგადოებულ სექტორში არ არის მიღწეული შრომის უდიდესი ეკონომია.

საბჭოთა და კოლმეურნეობები კადრების შიმშილს განიცდიან. ჩვენ არ გვყავს სპეციალისტების საკმაო რაოდენობა, რომ მასიურად ჩავაბათ კოლმეურნეობათა მშენებლობაში. თუ ჩვენ არ მოვამზადეთ კვალიფიციური მუშა-ხელი, თუ ჩვენ არ შევქმენით საკმაო რიცხვი კოლმეურნეობათა მშენებლობის ორგანიზატორებისა, ისე ძნელია ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. ამიტომ კოლმეურნეობისათვის ახალი კადრების მომზადება პარტიის დამკვრელი ამოცანაა.

საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიულ ხელმძღვანელობის და მუშაობის გაძლიერებას. სოფლად გამწვავებულია კლასიური ბრძოლა. კულაკი აშკარა შეტევაზე გადმოდის სოციალისტური სექტორის წინააღმდეგ. ის სოფლად ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს. კულაკები ახერხებენ კოლექტიურ მეურნეობებში შეპარვას და [illegible] მუშაობის წარმოებას, ისინი ახერხებენ ცრუ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობას და სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, რომელიც მიკუთვნებული აქვთ კოლექტიურ მეურნეობებს. სწორედ ამიტომ არის საჭირო პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება კოლმეურნეობებზე. ზოგიერთი პარტუჯრედები ადგილებზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში პარტიულ მუშაობის გაღრმავებას. კიდევ მეტი. არიან პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც კოლექტივებში გამხრწნელ მუშაობას აწარმოებენ, ისინი კულაკების მსგავსად ილაშქრებენ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ და ყოველმხრივ გაურბიან მათ. ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებების სწორად გატარებისათვის საჭიროა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში პარტიული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. პარტიულ კომიტეტმა ადგილებზე მეტი ცოცხალი კავშირი უნდა დაიჭირონ იმ უჯრედებთან, რომლებიც პრაქტიკულ ხელმძღვანელობას უწევენ კოლექტიურ მეურნეობების მშენებლობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ენტუზიაზმი, რომელიც თბილისის პროლეტარიატსა გამოიჩინა სოფლის კოლექტივიზაციისათვის ხელის შესაწყობად.

ასეული მუშა მიემგზავრება საქართველოს სოფლებში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად და განსაკუთრებით კოლექტივიზაციისათვის ხელის შესაწყობად. თბილისის პროლეტარიატმა [illegible] დეკემბერი, „შობის“ დღე გამოაცხადეს შრომის დღეთ და ამ დღის ხელფასი გადასდო სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ მუშათა კლასი დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნით.

ა. შ.

მეტი ყურადღება კადრების მომზადებას

ლენინის რაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის ღია კრებაზე ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ფაჩულიამ.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობას, სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებს და ახალი კადრების მომზადებას.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში გამოსული ორატორები — ამხ. პ. ლეჟავა, ჩხაიძე და ბურჭულაძე უმთავრესად ეხებოდნენ კადრების მომზადების მტკივნეულ საკითხებს.

—ჩვენ, განათლების მუშაკები, რომლებსაც დავალებული გვაქვს მოზარდი თაობის—მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა, მთელი ჩვენი ენერგიით ჩავებმებით ახალი კადრების მომზადების საქმეში. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია და ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელეების დაძლევა შესაძლებელია ახალი, წითელი სპეციალისტების მომზადებით. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

— ახალი კადრების მომზადების საქმეში უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად დიდ როლს თამაშობს სპეციალური ტეხნიკუმები. ჩვენ ტეხნიკუმებში კვალიფიკაციური მუშა ხელი ნაკლებათ გვყავს. ვინც არის მათ საკმაო განათლება და სპეციალური მომზადება არა აქვთ. განსახკომმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ტეხნიკუმებში შესაფერი—მომზადებული პედაგოგების შერჩევას.

გარდა ამისა კამათში გამოსული ორატორები მოითხოვდნენ, რომ განათლების კომისარიატმა უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით სპეციალურ დარგებზე გაადიდოს სტიპენდიანტთა რიცხვი; მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა სტაჟისა და პრაქტიკის საკითხს.

კრება, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში მთლიანად და სავსებით იწონებს ცეკას ნოემბრის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ პარტიის თვითეული წევრი და მშრომელი მასწავლებელი აქტიურად ჩაებმებიან ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების საქმეში.

იწონებენ ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს

თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გუშინ, 27 დეკემბერს, შესდგა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ალ. ერქომაიშვილის მოხსენება კადრების მომზადების შესახებ.

— ჩვენი სოფლის მეურნეობა სათანადოთ მომზადებული სპეციალისტებით—აგრონომებით და სხვა მხოლოდ 22 პროც. არის უზრუნველყოფილი. ჩვენში ინჟენერების რაოდენობა, 0,93 პროც. აღწევს. ეს მაშინ, როდესაც ამერიკაში მცხოვრებლების 4,4 პროცენტი ინჟენერია.

ამასთან ერთად,—ამბობს მომხსენებელი,—იმ სპეციალისტების ერთი ნაწილი, რომლებიც ჩვენ გვყავს, ვერ გამოადგებიან ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ, როდესაც პარტია შეუდგა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, დიდ საჭიროებას წარმოადგენს ახალი სპეციალისტების მომზადება, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. საბჭოთა კავშირში უნდა აღვზარდოთ 80.000 ინჟენერი, რომელსთვისაც დაიხარჯება 241 მილიონი მანეთი.

ცეკას ნოემბრის პლენუმმა ხაზი გაუსვა ახალი კადრების მომზადების საჭიროებას, იმისათვის, რომ „დავეწიოთ და გავუსწროთ“ ტეხნიკურად განვითარებულ ქვეყნებს. ამასთან ერთად კადრების მომზადების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში გადაჭარბებით შესრულებასთან; მხოლოდ ის, ვინც ვერ ამჩნევს კლასთა ბრძოლის გამწვავებას სოფლად და ქალაქად, ის ვერ აფასებს კადრების მომზადების საჭიროებას. ოპორტუნისტული შეხედულებები პარტიის მიერ ერთსულოვნად დაგმობილ იქნა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად შეეხენ სპეციალისტების საწარმოო პრაქტიკას; ორატორები აღნიშნავდენ, რომ სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას არ ექცევა სათანადო ყურადღება. საჭიროა სტუდენტობა თეორიულ სწავლასთან ერთად დაკავშირებული იყვნენ წარმოებებთან—პრაქტიკის მიღების მიზნით.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც კრება მთლიანად და სავსებით იწონებს ცეკას ნოემბრის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს.

გოზალაშვილის „გულუბრყვილობა“

27 დეკემბერს, ოპერის თეატრში შესდგა ოპერისა და რუსთაველის თეატრების კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება. ნოემბრის პლენუმის შედეგებზე კადრების მომზადების შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. გ. კვიცარიძემ.

— კადრების მომზადების საკითხი,—სთქვა მომხსენებელმა,—მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთის მხრივ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის განვითარებასთან და მეორეს მხრივ კი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან, რადგანაც ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ნიშნავს ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყნის კულტურულად და ტეხნიკურად გარდაქმნას, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს ახალი კადრების აღზრდას.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის განვითარება, ისე, რომ „დავეწიოთ და გავუსწროთ“, ტეხნიკურად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს, საჭიროებს ახალ კადრებს —რომელიც უნდა მოგვცეს ჩვენმა უმაღლესმა და საშუალო ტეხნიკურმა სასწავლებლებმა; ამიტომ ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ სასწავლებლების გეგმიან მუშაობას.

ამასთან ერთად განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა გააძლიეროს თავისი ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებზე და სპეციალურ ტეხნიკუმებზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები იწონებდენ რა ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს, აღნიშნავდენ განსახკომის სუსტ მუშაობას კადრების მომზადების საკითხში. ორატორები ამბობდენ, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ტეხნიკურ ხელმძღვანელოების გამოცემას.

კამათში გამოსულ ამხანაგებს შორის აღსანიშნავი იყო ამხ. გოზალაშვილის სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლექტიური მეურნეობები სოფლად სტიქიურად და უგეგმოთ იზრდებაო. ამასთან ერთად გოზალაშვილმა უტიფრად განაცხადა: მემარჯვენე ოპოზიციონერი არ გეგონოთ. გოზალაშვილის გამოსვლა უჯრედმა დაგმო.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

მივდივართ სოფლის დასახმარებლად

გუშინ, საღამოს 8 საათზე, მეხუთე სტამბასთან არსებულ კომუჯრედის ღია კრებამ მოისმინა საინფორმაციო მოხსენება ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგებზე—სოფლად მუშაობის შესახებ.

მოხსენებისა და კამათის დასრულების შემდეგ სტამბის მუშებმა მოითხოვეს სოფლად, კოლექტიურ მეურნეობების დასახმარებლად გასაგზავნ მუშების სიის შედგენა.

სოფლად მუდმივ სამუშაოზე წასვლის სურვილი განაცხადეს ამხ. ზუმბაძემ, გოხუამ, კუზნეცოვამ, მხატვარმა და ტარასოვამ. დროებით სამუშაოზე წასასვლელად ჩაეწერენ ამხ. სამუნჯიანი, საინოვა, სააკოვი, ნიკიტინი, ბარდაველიძე, სხირტლაძე, ოსეფაშვილი და დონდუა.

ბრძოლა მემარჯვენეების წინააღმდეგ

გუშინ, 27 დეკემბერს პროფკავშირთა საბჭოს პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე დამუშავებულ იქნა ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები და ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის შედეგები ნათელყოფენ პარტიის ხაზის სისწორეს, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარების დღევანდელი ტემპი უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებას.

1929-30 წლის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები, რომელიც მიღებული და დამტკიცებული იქნა პარტიის ცეკას პლენუმის მიერ, სრულიად უზრუნველყოფს პარტიის ლენინურ პოლიტიკას მძიმე ინდუსტრიის და სოფლის ინდივიდუალური მეურნეობის სოციალისტური განვითარების საქმეს.

მემარჯვენე ოპორტუნისტების პესიმისტური შეხედულებები ჩვენი განვითარების ტემპის მიმართ, სავსებით დაგმო პარტიამ და პარტიის ცეკას გენერალური ხაზის სისწორე-სინამდვილემ უკვე გაამართლა.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები იწონებდენ ცეკას ნოემბრის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს.

დასასრულ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

თათბირი პარტგანათლების საკითხებზე

27 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან გაიხსნა ამიერ-კავკასიის ფართო თათბირი პარტგანათლების საკითხების შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკანური, საოლქო, სამაზრო და სარაიონო პარტორგანიზაციების აგიტპროპგანყოფილებების წარმომადგენელნი.

ადგილებზე პარტგანათლების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს—სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან ამხ. დასტაკიანმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტიდან ამხ. ვედიამ და აჭარისტანის საოლქო კომიტეტიდან ამხ. ანასტასიადიმ (ადს).

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება
შაბათს, 28 დეკემბერს, დილის სრულ 9 საათზე პროფმუშაკის კაბინეტში
(შ-ავალი ჯორჯიაშვილის ქუჩიდან)
იწვევს
კავშირების ცენტრალურ გამგეობათა კულტგანყოფილებების გამგეთა, კლუბების გამგეობების თავმჯდომარეთა, კლუბების ინსტრუქტორთა, ახალგაზრდათა სექციების თავმჯდომარეთა, კულტკომისიების განთავისუფლებულ მუშაკთა და საბიბლიოთეკო მუშაკთა
თათბირს
თათბირზე მოწვეულნი არიან ყველა გაზეთების რედაქციები და ინჟინერ-ტეხნიკოსთა ბიუროები.
თათბირის დღის წესრიგშია საკითხი:
„გამომგონებლობის დათვალიერების შესახებ“ დაუგვიანებლივ გამოცხადება სავალდებულოა
2—2 ნ. 3613. საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მელითონეთა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია
საშეფო საზოგადოების თბ. საბჭოს მე-3 პლენუმი
საშეფო საზოგადოების რაიონულ საბჭოებთან, უჯრედების ბიუროებთან, რწმუნებულებთან და სექციების ბიუროებთან ერთად.
დღის წესრიგი:
1. საშეფო საზოგადოების მონაწილეობა გაზაფხულის სასოფლო სამ. კამპანიაში.
2. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადება თბილის-როსტოვს შორის.
3. საორგანიზაციო საკითხები.
ნ. 3 07. საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს სამდივნო

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის გარდაცვალების გამო

ძველი ბოლშევიკის ხსოვნას

საქ. კომუნისტური პარტიის რიგებს ულმობელმა სიკვდილმა გამოსტაცა რევოლიუციის ვეტერანი, მუშათა კლასისათვის თავდადებული მებრძოლი, პარტიის უძველესი წევრი ამხ. მ. ჩოდრიშვილი.

ამხ. მ. ჩოდრიშვილი რევოლიუციონერთა იმ პირველ თაობას ეკუთვნის, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მთელი სუსხი. იგი მუშათა კლასის იმ მოწინავე რაზმში იდგა, რომელიც ათეული წლების მანძილზე შეუპოვრათ ანგრევდა ძველი ქვეყნის ჯოჯოხეთურ მანქანას.

გამოსული ულარიბესი მუშის ოჯახიდან, ამხ. მ. ჩოდრიშვილს არა ადამიანურ პირობებში უხდებოდა არსებობისათვის ბრძოლა. 8 წლის მიხას, გაზვეულს ნაფლეთებში შეუბრალებლად მიერეკება „თოვლით დაბარდნილ“ სიღნაღის მიდამოებში დურგალი ყაზაზოვი. დაუსრულებელი ცემა, წამება და აუტანელი შეურაცყოფა —ასეთია მიხას ბავშობა.

„...ბევრს ვარამში და ჭარცეცხლში გამომივლია, ბევრჯელაც მიწყევლია ჩემი გაჩენის დღენი....“ ასეთი სიტყვებით იწყებს ის თავის „თავგადასავალს“.

13—14 წლის მიხა ველარ უძლებს ოსტატ-დურგლის ვერაგულ მოპყრობას და მიიპარება თბილისისაკენ. ამ უცნობ, „ზღვათ ოდენა ქალაქში“, მას არავინ ჰყავს ნათესავი, ნაცნობი, მეგობარი. იგი მშიერ-მწყურვალი დაეხეტება ქუჩა-ქუჩად და სთხოვს მედუქნეებს, გამვლელ გამომვლელთ მოჯამაგირედ აუყვანას.

ხანგრძლივი ტანჯვის შემდეგ, მიხა შემთხვევით ეწყობა ერთ დურგალთან, რომელიც მას პირდება წელიწადში ორ თუმანს და ერთხელ ტანისამოსს“.

აქედან დაწყებული, მიხა გადადის ერთი ქარხნიდან მეორეში, თითქმის შემოივლის ყველა მთავარ სამრეწველო ცენტრებს. აქტიურად ებმება მუშათა მოძრაობაში, ხარბად ეწაფება არალეგალურ ლიტერატურას და ბოლშევიკების თითქმის ყველა პოლიტიკურ გამოსვლებში უახლოეს მონაწილეობას იღებს.

1891 წ. მიხა ბათომში განაგრძობს მუშაობას ზურაბოვის ქარხანაში. ბათომში იგი უმეგობრდება პირველ პროლეტარულ მწერალს —ეგნატე ნინოშვილს, რომელიც მაშინ მუშაობდა როტშილდის ნავთის ქარხანაში მუშების ზედამხედველად. რევოლიუციონური მუშაობისათვის მიხას ითხოვენ სამუშაოდან. ჟანდარმებისა და ფაბრიკანტებისათვის იგი უკვე საშიშარი და „მავნე“ პიროვნებაა. მეფის რუსეთის ციხის ჯურღმულებში არა ერთი თვე და წელი გაუტარებია მიხას. 1896—97 წლები მან მეტეხში გაატარა.

1908 წ. მიხა გადაასახლეს დონის როსტოვში ხუთი წლით, ქართველ მენშევიკებმაც იგი რამდენიმეჯერ დააპატიმრეს, როგორც აქტიური ბოლშევიკი.

მიუხედავად სასტიკი დევნისა ჟანდარმერიის მხრივ, მიხა შეუდრეკელი რჩებოდა, ვერაფერმა ვერ გატეხა ის.

მ. ჩოდრიშვილი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი წრის აქტიური წევრი იყო. კრებებზე, რომლებიც მის ბინაზე იმართებოდა ესწრებოდნენ ამხ. **ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ჯუღაშვილი, ს. შაუმიანი, მ. ტოროშელიძე, ვ. ნანეიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე** და სხვ.

მიხას ბინაზე ხშირად ეწყობოდა ბოლშევიკების არალეგალური კრებები, ინახებოდა იარაღი, ფული, იგი თავის სადურგლოში ამზადებს დაზგებს სხვადასხვა საგიტაციო ფურცლების დასაბეჭდათ, ტახტებს— ყუმბარების შესანახად.

„მე მონდობილი მქონდა კონსპირატიული საქმეები, მებარა პარტიული სალარო, ლიტერატურა, იარაღი, პასპორტის ბლანკები და სხვადასხვა საიდუმლო ნივთების შესანახი საწყობი. აგრეთვე ვაკეთებდი სახელდახელო ფურცლების საბეჭდ ხის დაზგებს. ასეთი დაზგების კეთება ხშირად მიხდებოდა. მშველოდნენ ამხ **სილიო ჯუღაშვილი, პროკოფი ჯაფარიძე, კამო, სერგო ალილუევი** და სხვები“, სწერს მიხა თავის მოგონებაში. ასეთი მრავალფეროვანობით და გმირული ეპიზოდებით ხასიათდება ამხ. მიხა ჩოდრიშვილის რევოლიუციონური მოღვაწეობა. ეს მოღვაწეობა ფართოდ იშლება მუშათა მოძრაობის ზრდასთან ერთად და უშუალოდაა დაკავშირებული მისი განვითარების ყველა საფეხურებთან.

მშრომელი ხალხის გულიდან გამოსული მიხა ჩოდრიშვილი, ბოლომდე ინარჩუნებს სწორ რევოლიუციონურ გეზს. მასში იმთავითვე ილვიძებს სწორი კლასიური ალღო და უკვე ერთხელ აღებული გადამწყვეტი ბრძოლის ხაზი არასოდეს არ გაუმრუდებია. ასეთი თვისება მხოლოდ ჭეშმარიტი ბოლშევიკის და ურყევი რევოლიუციონერის დამახასიათებელია.

რევოლიუციონური ბრძოლის ის რთული გზა, რომელიც მიხა ჩოდრიშვილმა განვლო, საუკეთესო სკოლას წარმოადგენს ჩვენი ახალი თაობის აღსაზრდელად. მის მაგალითზე უნდა ვისწავლოთ მუშათა კლასის ინტერესებისათვის უანგარო სამსახური და უსაზღვრო თავდადება.

მართალია, ჩვენს რიგებს გამოაკლდა რევოლიუციონურ ამბოხებათა საუკეთესო ოსტატი, და ეს დანაკლისი მეტად მძიმე და საგრძნობია, მაგრამ იმ საქმემ, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა მიხამ, გაიმარჯვა; საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები უკვე თავისი ხელით აშენებენ ახალი შრომის სამყაროს.

ამხ. მ. ჩოდრიშვილის სარდაფი - სადურგლო (მელანია ჩოდრიშვილის, ყოფ. პლეხანოვის შესახვევი № 1), რომელიც რევოლიუციონერთა თავშესაფარს წარმოადგენდა.

სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერება, ლენინური პარტიის გარშემო კიდევ უფრო მჭიდროთ დარაზმვა, საუკეთესო ძეგლი იქნება რევოლიუციის ვეტერანის მიხა ჩოდრიშვილის მარადიულ ხსოვნის აღსაბეჭდათ.

ლ. სუხიშვილი.
მოსე კვარაცხელია.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

კიდევ გამოაკლდა ჩვენს რიგებს რევოლიუციის ერთი ძველი ვეტერანი. აღარა გვყავს მიხა ჩოდრიშვილი. მიხა ჩვენთან იყო ნახევარი საუკუნეს მანძილზე. ის გაავთრებული ებრძოდა თვითმპყრობელობას, მდიდრებს, მუშების და გლეხების ყოველ ჯურის მჩაგვრელებს. ყველა მის თანამებრძოლ ამხანაგებს ის ძმურად, მეგობრულად გვიკავშირებდა ერთმანეთთან და გაბედულათ მიგვიძღოდა ბრძოლებში. ამხ. მიხამ განიცადა ტანჯვა-წამება, ციხე-გადასახლება, შიმშილი, მაგრამ არასოდეს ის არ დამფრთხალა. ამხ. მიხა მოესწრო ბედნიერ დღეებს, როდესაც იმ იდეებმა, რომლებისთვის ის იბრძოდა მრავალი წელი, ხორცი შეისხა, მუშებმა და გლეხებმა გაიმარჯვა და მიხა, უკვე ღრმა მოხუცი, გამარჯვებულ მუშებთან ერთად ახალგაზრდული ენერგიით ჩაება მუშური სახელმწიფოს მშენებლობაში.

ამხ. მიხა მშვიდობით, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას მსოფლიო ოქტომბრისათვის და ეს შენი ხსოვნისათვის საუკეთესო ძეგლი იქნება.

ვასო ცინცაძე.

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი კუბოში

მიხა ჩოდრიშვილი და მენშევიკები

1914 წელს მიხა ჩოდრიშვილი ბრუნდება გადასახლებიდან და იწყებს არალეგალურ პარტიულ მუშაობას. მასთან ერთად არიან მ. კვარაცხელია, ერმილე კაკაბაძე, ძმები ჩოდრიშვილები და სხვები. მიხას უშუალო ხელმძღვანელობით საძირკველი ეყრება ბოლშევიკურ მეორე რაიონის ორგანიზაციას თბილისში და ამ რაიონის პირველ უჯრედს.

1917 წლამდე ამ მუშაობაში დაცულია სასტიკი კონსპირაცია. თებერვლის რევოლიუცია საშუალებას იძლევა მუშაობის გაფართოებისათვის, თბილისის სხვადასხვა რაიონებში იმართება ბოლშევიკური კრებები, პარტიული ამხანაგები გამოდიან მოხსენებებით, სწარმოებს პარტიული საკითხების საჯარო განხილვა და სხვ.

მენშევიკებს, რომლებიც დაეპატრონენ ძალა-უფლებას საქართველოში, არ მოსწონთ ბოლშევიკების ასეთი საქმიანობა. მენშევიკური მთავრობის განკარგულებით იხურება მეორე რაიონი, ბოლშევიკებს იძლევათ წინადადება ყველა რაიონებს ერთად მოუყარონ თავი, რათა ამით გაადვილდეს თვალყურის დევნება მათ მუშაობაზე.

დიდ ხანს არ გაგრძელდა ბოლშევიკებისადმი ასეთი „ლმობიერი“ მოპყრობა ჟანდარმ ქედიას მხრივ.

1919 წელს კედიას ჟანდარმები უეცრივ დაესხნენ თავს მიხა ჩოდრიშვილის სახელოსნოს (ყოფ. ტატიანას ქუჩა, № 6) და დააპატიმრეს მიხა, თან წაიღეს დიდძალი ბოლშევიკური ლიტერატურა და ლენინის და მარქსის სურათები. მიხა ჩოდრიშვილი მოათავსეს მეტეხის ციხეში.

თავის მოგონებაში („ჩემი თავგადასავალი“ —ცალკე წიგნათაა გამოსული) მიხა ეხება ერთ შემთხვევას მეტეხის ციხეში ყოფნის დროს: „მენშევიკების იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ დაათვალიერა მეტეხის ციხეში პოლიტიკურ პატიმართა საკნები და სხვათა შორის ჩემი ნახვაც მოისურვა და კამერაში შემობრძანდა. შემოსვლის უმალვე დამინახა თუ არა, ვითომ გაუკვირდა შემეკითხა: „შენ აქ რაღათ მოგიყვანესო?“. მე ვუპასუხე: „მე რას მეკითხები? ნუ თუ იუსტიციის მინისტრმა არ იცის, ვის იჭერს და ვისა სჯის მისი მთავრობა“.

მეტეხის ციხეში მიხამ დაჰყო ხუთ თვეს.

1921 წელში მენშევიკები ხელმეორედ აპატიმრებენ მოხუც მიხას. თბილისიდან გაქცევის დროს მიხა თან მიჰყავთ მენშევიკებს და ათავსებენ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში. აქ მიხამ დაჰყო სამ კვირამდე. ქუთაისის ციხიდან მიხა გადაჰყავთ ბათომის ციხეში. წითელი ჯარი ანთავისუფლებს მიხას მენშევიკების ტყვეობიდან და აძლევს მას საშუალებას დაუბრუნდეს მუშაობას მისთვის ესოდენ სანატრელ მუშურ-გლეხური ხელისუფლების განსამტკიცებლად.

„ციხის კომისიის“ თავმჯდომარე

მიხა ჩოდრიშვილს, მის რევოლიუციონურ მუშაობაში, გვერდით უდგა და შველოდა მისი მეუღლე მელანია.

მელანია ეკუთვნის რევოლიუციონერ ქალთა იმ მცირე წრეს, რომელმაც დაისახა სამსახური მუშათა კლასისადმი და უშიშრად ამოუდგა გვერდით მამაკაცებს არალეგალური მუშაობის მეტად სახიფათო გზაზე.

მელანია ჩოდრიშვილს კარგად იცნობენ ის ძველი ბოლშევიკები, რომლებსაც უხდებოდათ მუშაობა მიხასთან ერთად. ყველას ახსოვს ის დიდი სიფრთხილე და მზრუნველობა, რომელსაც მელანია იჩენდა არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებისადმი. ბოლშევიკურ მომუშავეთა მეტად მნიშვნელოვანი კრებები იმართებოდა მიხას სადურგლო სახელოსნოში.

კრებების დროს მელანია ყარაულობდა ქუჩის კარებს და შეამჩნევდა თუ არა რაიმე საეჭვო მოძრაობას ქუჩებში, აცნობებდა კრების წევრებს.

მელანიას გადაჰქონდა საიდუმლო საწყობებიდან მუშათა რაიონებში არალეგალური ლიტერატურა, სტამბის ნაწილები, ასოები, ყუმბარები და ბომბები.

მელანია პატრონობდა გადასახლებულ და ციხეში მჯდომ რევოლიუციონერების ოჯახებს, აწვდიდა საზრდოს დაპატიმრებულ ამხანაგებს, უგზავნიდა პატიმრებს ციხეში ცნობებს არალეგალური მუშაობის მსვლელობის შესახებ და სხვა.

მელანია იყო რევოლიუციონურ წითელი ჯვრის რაზმის პირველი ორგანიზატორი. საიდუმლო კრებაზე, რომელიც შესდგა მიხას ბინაზე 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, მელანია—ამხ. მიხა ცხაკაიას წინადადებით—არჩეულ იქნა „ციხის კომისიის“ თავმჯდომარეთ და ამავე კრებაზე მას დაევალა მუშაობა ქალთა შორის. „ციხის კომისიის“ თავმჯდომარეობა გულისხმობდა დახმარებას და ზრუნვას დაპატიმრებულებისადმი.

მეფის ჟანდარმებს არ გამოეპარათ მელანიას რევოლიუციონური მუშაობა. იგი ბევრჯერ იყო დაპატიმრებული.

გუშინ ამხ. მიხა ჩოდრიშვილის ცხედარი ბინიდან (ყოფ. ტატიანას ქუჩა, № 10) გადასვენებული იქნა პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. ნაშუადღევის 4 საათისათვის განსვენებულის ბინაზე მოიყარეს თავი პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა და დიდძალმა საზოგადოებამ, რომელიც უმთავრესად მუშებისაგან შესდგებოდა.

ბინიდან კუბო გამოიტანეს ძველმა ბოლშევიკების წარმომადგენლებმა ამხ. ამხ. ლადო სუხიშვილმა, ვანო ბოლქვაძემ, კ. ხომერიკმა და სხვ. პროცესია პლეხანოვის პროსპექტით და ელბაქიძის დაღმართით გაემართა მუშათა სასახლისაკენ.

განსვენებულის კუბო მოთავსებული იქნა პროფსაბჭოს დიდ დარბაზში საგანგებოდ მორთულ კვარცხლბეკზე.

საღამოს ექვსი საათიდან დარბაზში იწყო დენა ხალხმა.

კუბოსთან იდგა, საპატიო ყარაული, რომელიც იცვლებოდა ყოველ 10 წუთში. საპატიო ყარაულში იდგნენ ამხ. ფ. მახარაძე, ვ. ბოლქვაძე, მ. ფილია, კ. ჩხენკელი და ძველი გვარდიის სხვა წარმომადგენლები.

—:—

დღეს, საღამოს, 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

საბჭოთა აპარატის წმენდის წინასწარი შედეგები

ვინ გაიწმინდა ა.-კ. შრომის კომისარიატიდან, ა.-კ. სოცდაზღვევის სამმართველოდან და ფოთის საბჭ. აპარატიდან

საქართველოს ტყეების დაცვის საქმე აწეწილია.--მიწსახკომის სატყეო სამმართველო ვერ უძლვება სატყეო მეურნეობას

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის და სოცდაზღვევის სამმართველოს წმენდის შედეგები

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის და სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს აპარატის გაწმენდა საუწყებათაშორისო კომისიამ დაამთავრა მუშაობა.

კომისიის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნილია სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს საფინანსო განყოფილების გამგე **ვ. სოკოლი**. მას არ ესმის სოცდაზღვევის ბიუჯეტის როლი და მნიშვნელობა, არ იცის რომ სოცდაზღვევის ბიუჯეტი არის ფინანსიური გეგმა, რომელიც აწესრიგებს და მიმართულებას აძლევს სოცდაზღვევის პოლიტიკას. სოკოლი სრულებით ვერ ხელმძღვანელობდა სოცდაზღვევის სარევიზიო კომისიების მუშაობას, რის გამოც სხვადასხვა ორგანიზაციებზე დაგროვდა დიდი დავალიანება. სოკოლი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი თავის მოვალეობას ასრულებდა ფორმალურ -ჩინოვნიკურად. იგი თავისი სპეციალობით (პედაგოგი) სრულიად არ შეეფერებოდა თავის თანამდებობას.

სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე ბ. ევანგულოვის მიმართ წაყენებული იყო ბრალდება, რომ იგი გაურბის საკანონმდებლო საკითხების კოლექტიურად დამუშავებას. სუსტად ჩაატარა მოჯამაგირეთა დაზღვევის მოსამზადებელი მუშაობა, არავითარი ზომები არ მიუღია სოცდაზღვევის ქსელის რაციონალიზაციის ჩასატარებლად, ხელს უწყობდა ცალკე განყოფილებებს შორის არა ჯანსაღ დამოკიდებულების შექმნას. მის მიერ გამოკვლეულ დამზღვევ სალაროებში, მთავარ-სამმართველოს ნებართვის გარეშე, ღებულობდა ავანსებს და ცდილობდა ამ ავანსების უკან არ დაბრუნებას.

ჩამოთვლილი ბრალდებები კომისიას დამტკიცებულად მიაჩნია, რისთვისაც საჭიროდ სცნო ბ. ევანგულოვის სამუშაოდან მოხსნა, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა, რომ ევანგულოვი დიდი ხანია მუშაობს სოცდაზღვევის დარგში და იჩენს ამ საქმით დაინტერესებას, ამიტომ შესაძლებლად სცნო მისი სამსახურში დატოვება და გამოუცხადა მას სასტიკი საყვედური.

საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის საორგანიზაციო-უფლებრივ განყოფილების საქმის მწარმოებელს რ. მაიგარს, რომელსაც დაუმტკიცდა თავის მოვალეობისადმი გულგრილობა და შრომის დისციპლინის დარღვევა —მიეცა გააფრთხილება.

გარდა ამისა, კომისიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ხსენებულ დაწესებულებათა აპარატის გასაჯანსაღებლად და გასაუმჯობესებლად. კომისია საჭიროდ სცნობს, რომ ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის და სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს სახელმძღვანელო თანამდებობებზე უახლოეს ხანში წამოყენებულ იქნეს 7 დაწინაურებული მუშა.

ტყის დაცვა უნდა გაუმჯობესდეს

(მიწსახკომის აპარატის წმენდაზე)

ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებით, მდიდარია ტყეებით, მაგრამ მით უფრო საჭიროა ამ ტყეების მოვლა-პატრონობა და მათი რაციონალური ექსპლოატაცია. ევროპის სახელმწიფოები ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტყეების ხელოვნურად მოშენებას, ვინაიდან ბუნებრივი ტყეები თითქმის ყველგან განადგურებულია. მართალია, ჩვენში ჯერ-ჯერობით ამას არა აქვს ადგილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს ტყეებს დაცვა არ ესაჭიროება და საჭირო არ არის ტყეების გაშენებაზე ზრუნვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სატყეო სამმართველოს მუშაობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ტყეების დასაცავად არავითარი ზომა არ არის მიღებული. ტყეების დაცვის რეალურად განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სოფლის მოსახლეობას შეგნებული ექნება ტყეების მნიშვნელობა და უშუალოდ ჩაებმება ტყის დაცვის საქმეში. ამისთვის კი საჭიროა, რომ გლეხებთან ხშირად სწარმოებდეს საუბარი ტყეების მნიშვნელობის შესახებ, ამავე მიზნით გამოიცეს პოპულიარული ლიტერატურა და სხ., რასაც ჩვენში არავითარი ყურადღება არ ექცევა. სატყეო სამმართველო ტყის დაცვას დღემდე განაგრძობს აპარატის (ტყის მცველების) საშუალებით. რასაკვირველია, ამ გზით ტყის სათანადოთ დაცვა შეუძლებელია, ვინაიდან იშვითია ისეთი ტყის მცველი, რომელსაც მთლიანად შეგნებული ჰქონდეს თავისი მოვალეობის დიდი მნიშვნელობა. უმეტეს შემთხვევაში კი ტყის მცველები გულგრილად ეკიდებიან თავის საქმეს (არიან ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ ბოროტად იყენებენ თავის მდგომარეობას). ამასთანავე ტყის მცველებს აბარიათ ტყის დიდ რაიონი, რომლის მთლიანად დაცვა ერთ. კაცს ფიზიკურად არ შეუძლია.

ამ მდგომარეობის შედეგი თვალწინ გვაქვს: თბილისის აღმასკომი დიდ თანხებს ხარჯავს, რომ თბილისის მიდამოებში გააშენოს ტყე. ამავე დროს თბილისის ახლო-მახლო მდებარე ტყეების მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულია. მაგალითად, საგურამოს, გლდანის და მარტყოფ-ნორიოს ტყეები განადგურების პირად არიან მიყვანილი. ამ ტყეებში წვავენ ნახშირს, სჭრიან საუკეთესო და სანაშენო ხეებს და შეშად ჰყიდიან თბილისში.

მდგომარეობა არც შორეულ ტყეებშია უკეთესი. მაგალითად, გლეხს მოეწონა რომელიმე ხის ერთი ტოტი. იგი თხოულობს ნებართვას, სჭრის მთელ ხეს, მიაქვს მას შერჩეულ ტოტს, დანარჩენს კი სტოვებს ტყეში. ამრიგად ტყეებში ლპება უამრავი ხე-ტყე, რომელიც ამასთანავე აადვილებს ტყის გამანადგურებელ ხანძრის გაჩენას. ამ გარემოების გამოსასწორებლად საჭიროა ხე-ტყის მოჭრის ნებართვის გაცემის სისტემის შეცვლა.

სატყეო სამმართველოში სპეციალისტების მიზანშეწონილად გამოყენებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ხშირად კანცელარიაში მუშაობენ სპეციალისტები, რომლებსაც გაცილებით მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლიათ თუ გამოყენებული იქნებიან თავისი სპეციალობის მიხედვით. ხშირია შემთხვევა, როცა სპეციალისტები ადგილებიდან მიდიან თბილისში და აქ უსაქმოდ ტკეპნიან ქუჩებს, რაიონი კი მიტოვებულია უპატრონოდ.

ტყის მეურნეობის გასაძლიერებლად გადადებული ფონდების დიდი ნაწილი იხარჯება არა პირდაპირი დანიშნულებით. სათანადო ყურადღება არ ექცევა ხე-ტყის საფასურის თავის დროზე აკრეფას. სხვადასხვა ორგანიზაციებზე ირიცხება 1 მილიონ მანეთზე მეტი ამგვარი დავალიანება.

საჭირო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მსწავლულ მეტყევეთა კადრის მომზადებას. სპეციალურ სატყეო ინსტიტუტში (უმაღლესი) სამმართველოს არ გაუგზავნია არც ერთი ახალგაზრდა.

სატყეოს სამმართველოს აპარატის შემოწმება გაგრძელდა ორი დღე. საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა ხნით შევჩერდეთ სატყეო სამმართველოს უფროსის ბაქრაძის წმენდაზე. სატყეო სამმართველოს მუშაკების და კომისარიატის ხელმძღვანელთა დახასიათების თანახმად, ბაქრაძე კარგი სპეციალისტია. მით უმეტეს უნდა აღინიშნოს, რომ მის საქმიანობაში ადგილი აქვს დაუშვებელ მოვლენას.

1925 წელს რკ. გზათა სამმართველომ განიზრახა კახეთის სატყეო რაიონის ეკონომიური გამოკვლევის ჩატარება. ამ საქმის შესახებ რკ. გზის ინჟინერმა ამაშუკელმა მოლაპარაკება აწარმოვა ბაქრაძესთან. მათ შორის, როგორც სჩანს, მომხდარა შეთანხმება და ბაქრაძეს უკისრია ამ საქმის შესრულება, რისთვისაც რკინის გზას მისთვის მიუცია 3.000 მანეთი. ამავე ხანში მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა კახეთის სატყეო რაიონის ტყის მოწყობას, რა მიზნითაც გამოყოფილი იქნა განსაზღვრული შტატი. როგორც ირკვევა, მოქ. ბაქრაძეს რკინის გზის დავალება შეუსრულებია მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის შტატის საშუალებით (შტატის შენახვა კომისარიატს დაუჯდა 10.000 მანეთამდე), ხოლო რკინისგზიდან მიღებული 3.000 მანეთი მიუღია თვითონ. მისი განცხადებით 3.000 მანეთი რკინის გზამ მისცა პირადად მას დავალების წარმატებით შესრულებისათვის. კომისიამ დაადგინა გამოიწვიოს რკ. გზის ინჟინერი ამაშუკელი და დაჰკითხოს იგი.

თბილისის აღმასკომის აპარატის წმენდა

საფინანსო განყოფილებაში

24 დეკემბერს აღმასკომის თანამშრომელთა კლუბში დაიწყო თბილისის საოლქო აღმასკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომელთა წმენდა. წმენდას დიდძალი ხალხი ესწრება. წმენდის პირველ დღეს საფინანსო განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **დოლიძემ**. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს როგორც მუშათა ბრიგადის წარმომადგენლებმა, ისე განყოფილების თანამშრომლებმა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ საფინანსო განყოფილებაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს და საქმეების გაჭიანურებას.

წმენდის მეორე დღეს დაიწყო აპარატის პირადი შემადგენლობის შემოწმება.

პირველად გამოიძახეს ბუღალტერის თანაშემწე **ქ. ხარიბავა**. მას ახასიათებენ როგორც კარგს, ბეჯით თანამშრომელს. ასევე დაახასიათეს ბუღალტერი **ვართანოვი** და **ალ. ხუბუა**.

საოლქო საგადასახადო კომისიის მდივანს **მიმინაიშვილს** წაუყენეს ბრალდება, რომ მან დაარღვია ვაჭრების განცხადების განხილვის არსებული წესი, (საგადასახადო კომისიაში ხელმეორედ დასვა ვაჭრის განცხადება გადასახადის შემცირების შესახებ იმ დროს, როცა არსებული წესის მიხედვით ეს განცხადება უნდა გადაეგზავნა ზემდგომ ორგანოში). მიმინაიშვილი არ უარყოფს თავის შეცდომას და აღნიშნავს. რომ მან ამის გამო საყვედური მიიღო ფინსახკომის ხაზით.

საოლქო-საგადასახადო კომისიის ბუღალტერი —**პავლე უკლება** „ბლაღოჩინის“ შვილია. თვითონ კომისრად იყო მენშევიკების დროს სხვადასხვა ადგილებში. —„როგორ განწყობილებაში ხართ თქვენს მეზობლებთან?“—ეკითხებიან მას. იგი ყვება გრძელ ისტორიას იმის შესახებ, რომ მეზობლის ძაღლები მას ძალზე აწუხებენ და შემდეგ დააბოლოვა: „მე განზრახვა მქონდა ძაღლის პატრონების მაგრად მიბეგვა“.

ეტყობა, უკლებას არ დავიწყებია კომისრული ჩვეულებანი.

ჟორდანია ბენედიქტე მენშევიკურ გვარდიაში ტელეფონისტად მსახურობდა. თავის ეხლანდელ თანამდებობისათვის ის მომზადებული არ არის, რადგანაც პასუხი ვერ გასცა იმ სპეციალურ კითხვებზე (ბუღალტერიიდან), რომლებიც მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

ფარნიევი გრიგოლი ამჟამად საბიუჯეტო სექციის ინსტრუქტორ-რევიზორია. მან აღიარა, რომ ირიცხებოდა მენშევიკურ პარტიაში. 1921—22 წ. წ. დაპატიმრებული იყო საგანგებო კომისიის მიერ. შეკითხვებიდან გამოირკვა, რომ 1918—19 წ. იგი დუშეთის ერობის გამგეობის წევრად ითვლებოდა და აღჭურვილი იყო ადმინისტრატიული უფლებებით. ერობაში მისი „მოღვაწეობის“ დროს დუშეთში დაპატიმრებული იყო ამხ. ლ. სუხიშვილი.

წმენდის შედეგები ფოთში

ფოთის ფინგანის, მიწადმოქმედების, სატყეო განყოფილებების და ფინინსპექციის წმენდა უკვე დამთავრდა. წმენდას, რომელიც მიმდინარეობდა ორი კვირის განმავლობაში, აუარებელი მუშა-მოსამსახურეები ესწრებოდა. მთელი რიგი მუშა-მოსამსახურეები გამოდიოდნენ ბრალდებებით ხსენებულ აპარატის თანამშრომლების წინააღმდეგ. განსაკუთრებული აქტიობა გამოიჩინა კომკავშირელ ახალგაზრდობამ. წმენდის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა თვით აპარატის საქმიანობას, მის სამსახურს მასისადმი, მოქნილობას და სხვ.

თვითეული განყოფილების წმენდას წინ უსწრობდა განყოფილების ხელმძღვანელის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ.

წმენდა დიდის წარმატებით დამთავრდა. გამწმენდი კომისიამ მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებაზე გამოაცხადა წმენდის პირველი შედეგები, რასაც დამსწრე მშრომელი მასა კმაყოფილებით შეხვდა.

კომისიის დადგენილებით გაწმენდილთა პირველ კატეგორიაში მოხვდნენ შემდეგი პირები:

ფაჩულია ათანასე, ფინგანის საქმის მწარმოებელი, როგორც ლოთი, გამფლანგველი, სამსახურის საათებში სამუშაოს სტოვებდა და ქეიფობაში ატარებდა დროს.

კოკაია კონდრატე—ფინგანის მოანგარიშე, ვაჭრებთან კავშირისა, კლასობრივი ხაზის დამახინჯებისა და სამსახურისადმი გულგრილობისათვის.

მესამე კატეგორიით მოხსნილია **შათირიშვილი კირილე**—როგორც მეფის დროის წარჩინებული პირი, ამჟამად საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

მეორე კატეგორიით გაირიცხა **გიგიბერია მეთოდე** —ყოფილი მენშევიკი, 1924 წ. ავანტიურის აქტიური მონაწილე, დაპატიმრებული იყო მრავალჯერ არალეგალური მუშაობისათვის, სამსახურს ასრულებს გულგრილად (თავისი ბნელი წარსული დაფარა).

წულეისკირი გრიშა, ყოფილი მენშევიკი, ავანტიურის აქტიური მონაწილე, დაპატიმრებული იყო მრავალჯერ არალეგალური მუშაობისათვის, ვაჭრის ოჯახის შვილი (წარსული დაფარა).

გ. ფოთელი.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხი

ობლიგაციების ღირებულების შეტანა ფინორგანოებში გვიანდება

სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული მათ წინააღმდეგ, ვინც საფრთხეში აყენებს საბიუჯეტო გეგმის შესრულებას

ამხ. რიკოვის დეპეშა

მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს

მოსკოვი, 27 დეკემბერი. ამხ. რიკოვმა მოკავშირე რესპუბლიკებს სახკომსაბჭოებს მიმართა დეპეშით, რომელშიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ფინსახკომის ცნობებით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან მიღებული თანხების შეტანა ფინორგანოებში საგრძნობათ გვიანდება.

„ეს მოვლენა, — ნათქვამია დეპეშაში, — ჩაშლით ემუქრება საბიუჯეტო გეგმის შესრულებას. სესხის ანგარიშში შეკრებილი თანხების შეტანის დაგვიანებას დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო. მიღებული უნდა იქნას სასწრაფო და გადამჭრელი ზომები და აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნას მეთვალყურეობა მესამე სესხის ანგარიშების გასწორებაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში და სოფლებში მუშა-მოსამსახურეებს და გლეხებს თავის დროზე შეაქვს ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების ღირებულება, ბევრი ორგანოები, რომლებიც ღებულობენ ამ თანხებს, თავის დროზე არ აბარებენ მათ ფინორგანოებს. სესხის გავრცელების დამხმარე კომისიები ამის წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობენ. ა.-კ. ფინსახკომის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ფონდში ფინორგანოებში შეტანილი თანხების ჯამი ამიერ-კავკასიაში არ აღემატება 5 ნახ. მილიონ მანეთს, იმ დროს, როცა შეტანილი უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 15 მილ. მანეთისა. ეს მდგომარეობა საფრთხეში აგდებს საბიუჯეტო გეგმას. ამის გამო გუშინ ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა თათბირი. თათბირმა გადასწყვიტა ჩაატაროს ყველა იმ წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევა, სადაც თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს სესხს. გამოკვლევა შეეხება სოფლებსაც. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ ყველა ის მიზეზები, რომლის გამო გვიანდებოდა სესხის ანგარიშში აკრეფილი ფულის წარდგენა ფინორგანოებში. გამოკვლევა ჩატარდება მუშათა ბრიგადების, „მსუბუქი კავალერიის“ და საბჭოს წევრთა დახმარებით. მაზრებში გამოკვლევაზე მეთვალყურეობა ევალება მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულებს. გამოკვლევა დაიწყება 5 იანვარს და გასტანს არა უგვიანეს 20 იანვრისა. 25 იანვრამდე გამოკვლევის ყველა მასალები წარდგენილი უნდა იქნეს დანიშნულებისამებრ.

სოფლად სესხის რეალიზაციაში გარდატეხა მოხდა

მთელ რიგ ოლქებსა და მაზრებში საკონტროლო ციფრი გადაჭარბებით არის დაფარული

საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო განყოფილების ცნობით, 20 დეკემბრისათვის მთელ საქართველოში გასაღებული იყო ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 15.324.430 მანეთის ობლიგაცია.

საბოლოო საკონტროლო ციფრების მიხედვით, საქართველოში გათვალისწინებული იყო 13.200.000 მანეთის ობლიგაციის გასაღება. ასე რომ 20 დეკემბრისათვის საკონტროლო ციფრი დაფარული იყო 16.09 პროც. გადაჭარბებით.

სექტორების მიხედვით რეალიზაციის კამპანიაში პირველი ადგილი უჭირავს კოლექტიურ სექტორს, სადაც 20 დეკემბრისათვის გასაღებული იყო 12.572.390 მანეთის ობლიგაცია, საკონტროლო ციფრი (10.200.000 მ.) დაფარული იყო 23,3 პროცენტის გადაჭარბებით. ამ სექტორში პირველი ადგილი უკავია ახალქალაქის მაზრას, სადაც საკონტროლო ციფრით გათვალისწინებული 45 ათას მანეთის ნაცვლად გასაღებულია 64.360 მან. ობლიგაცია (საკონტროლო ციფრი დაფარულია 43 პროც. გადაჭარბებით), შემდეგ—სენაკის მაზრას—165 ათას მანეთის ნაცვლად გასაღებულია 225.470 მან. ობლიგაცია (36.6 პროც. გადაჭარბებით); სამხრეთ-ოსეთს—55.000 მანეთის ნაცვლად—74.300 მანეთის ობლიგაცია (35.2 პროც. გადაჭარბებით) და კახეთის ოლქს, სადაც 300.000 მანეთის ნაცვლად გასაღებულია 399.060 მანეთის ობლიგაცია (საკონტროლო ციფრი დაფარულია 33 პროც. გადაჭარბებით).

კერძო სექტორში 20 დეკემბრისათვის გასაღებული იყო 458.480 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის (480.000 მან.) 95,5 პროც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები სესხის რეალიზაციაში გლეხთა შორის. 20 დეკემბრისათვის საქართველოს გლეხთა შორის გასაღებული იყო 2.293.660 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს საკონტროლო ციფრის 91 პროც. მართალია, არის რაიონები და მაზრები, სადაც რეალიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო სასურველი ტემპი (მაგ. აჭარისტანში დაფარულია საკონტროლო ციფრის-46 პროც. და ახალქალაქის მაზრაში 41,87 პროც.), მაგრამ მთელ რიგ მაზრებსა და ოლქებს საკონტროლო ციფრი დაფარული ჰქონდათ საგრძნობი გადაჭარბებით. მაგალითად, სენაკის მაზრას საკონტროლო ციფრი დაფარული ჰქონდა 12,18 პროც. გადაჭარბებით (50.000 მანეთის ნაცვლად გასაღებული იყო 56.090 მანეთის ობლიგაცია), ქუთაისის ოლქს—11,39 პროც. გადაჭარბებით (300.000 მან. ნაცვლად გასაღებული იყო 334,190 მან.), სამხრეთ ოსეთს—11,12 პროც. გადაჭარბებით (45.000 მანეთის ნაცვლად 51.005 მან.), აფხაზეთის—8,2 პროც. გადაჭარბებით (170.000 მანეთის ნაცვლად 183.980 მან.) და კახეთის ოლქს—7,48 პროცენტის გადაჭარბებით (580.000 მანეთის ნაცვლად გასაღებული ჰქონდა 623.390 მანეთის ობლიგაცია).

თუ ორი-სამი კვირის წინედ გლეხობა სესხის რეალიზაციაში დიდათ ჩამორჩენილი იყო, ეხლა, უნდა აღინიშნოს, ეს ნაკლი საესებით გამოსწორებულია და გლეხებს შორის სესხის რეალიზაცია უკანასკნელი კვირეების განმავლობაში იმდენად გაიშალა, რომ თამამად შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამ სექტორის საკანტროლო ციფრი არა თუ მთლიანად, არამედ საგრძნობი გადაჭარბებით იქნება დაფარული.

შირაქის ნავთი

შვიდი ჭა-ბურღილი იტალია-ბელგიის სააქციო საზოგადოების ყოფილი კონცესიის ტერიტორიაზე

თბილისში დაბრუნდა აზნავთის, საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს და ახლად შემდგარი ტრესტის—„საქნავთი“-ს წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია; კომისიამ შირაქის ველზე დაათვალიერა საბურღავი სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებდა იტალია-ბელგიის ყოფილი სააქციო საზოგადოება „შირაქის ნავთი“.

სამუშაოების ყოველმხრივ დათვალიერებისა და ადგილმდებარეობასთან (წითელი წყარო, მირზაანის რაიონი) გაცნობის შემდეგ კომისიამ რამდენიმე თათბირი გამართა შემდგომი მუშაობის საკითხზე.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში კომისიის წევრმა, ტრესტ „საქნავთი“-ს მმართველის თანაშემწემ ამხ. **კალაშნიკოვმა** შემდეგი განაცხადა:

ჭაბურღილის № 1-ის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ იქ გრძელდება ნავთის ნელი დენა და გაზების გამოყოფა. შემდეგ დათვალიერებულ იქნა ხეობაში ნავთის შემცველი ფენების გამოსავალი ადგილები. შირაქის ველის უახლოეს სამუშაოთა საკითხის გულდასმით განხილვის შემდეგ, გადასწყდა დაიდგას შვიდი ჭაბურღილი. ყველა ეს ჭაბურღილები დაიდგმება პირველი ჭაბურღილის რაიონში, დაახლოებით 4 კილომეტრ დიამეტრის მქონე მოედანზე. რაც შეეხება პირველ ჭაბურღილს გადასწყდა მოხდეს ფენის გამოცდა და ჭაბურღილის გაწმენდის შემდეგ დაიწყოს ნავთის საცდელი ამოღება. კონცესიონერის მიერ წარმოებული მუშაობის ჟურნალის ჩანაწერებიდან სჩანს, რომ კონცესიონერი სამი დღის განმავლობაში აწარმოებდა ნავთის ამოღებას, ჭაბურღილის დებეტი პირველ დღე-ღამეში უდრიდა 50 ფუთს, მეორე დღე-ღამეში—100 ფუთს, ხოლო მესამე დღე-ღამეში—150 ფ.

უნდა აღინიშნოს, რომ შირაქის ველზე ჭაბურღილის დადგმას მთელი რიგი დაბრკოლებები ელობება. ეს არის მთაგორიანი ადგილი, არ არის გზები, ამიტომ გზატკეცილების სამმართველო რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა შეუდგეს გზის გაყვანას, იმ ანგარიშით რომ გზის გაყვანა მაქსიმალურად მოკლე ვადაში დამთავრდეს.

ჭაბურღილების დასადგმელად მუშაობის დაწყებას ვაპირებთ დაუყოვნებლივ, იმ ანგარიშით, რომ გაზაფხულისათვის 4 ჭაბურღილი უკვე მზად იყოს. დანარჩენი 3 ჭაბურღილიც აუცილებლად მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა დაიდგას. მუშაობისათვის საჭირო მასალა მზადდება და მალე დაიწყება მასალის გაგზავნა სამუშაოთა ადგილზე.

წალკის გლეხების საჩუქარი

შორ. აღმოს. არმიის მებრძოლებს

გუშინ საქ. თავდაცვა-ავიაქიმში გამოცხადდნენ წალკის რაიონის გლეხების წარმომადგენლები ფლორა მოსესოვი, დესპინე კელოსოვი და ხარლამპი დანილოვი, რომლებმაც მოიტანეს საჩუქარი შორეული აღმოსავლეთის არმიის მებრძოლებისათვის—143 წყვილი ხელთათმანი და 1942 წყვილი თბილი წინდა.

გლეხების წარმომადგენელმა ფლორა მოსესოვამ სთქვა: „წალკის რაიონის ულარიბესი გლეხობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შორეული აღმოსავლეთის არმიის მებრძოლების მოქმედებას. გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ ამ არმიას ჰქონდა რამოდენიმე შეტაკება ჩვენს მტერთან საზღვრების დაცვის დროს.

წალკის ულარიბესმა გლეხობამ თავისი სურვილით დაამზადა ეს ხელთათმანები და წინდები და დაგვავალა ჩვენ ჩამოგვეტანა თბილისში შორეულ აღმოსავლეთის არმიის მებრძოლებისათვის გადასაგზავნად.

ეხლა, თუმცა კონფლიქტი ჩინეთთან მოგვარებულა, მაგრამ ჩვენი წითელი არმია ფხიზლად უნდა იყვეს, რადგან მტერი ბევრი გვყავს. ჩვენ, ულარიბესი გლეხებიც, ყოველთვის მზად ვიქნებით, რითაც კი შეგვეძლება დავეხმაროთ ჩვენს წითელ არმიას“.

—:—

შორეულ აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთათვის საჩუქრების შესაძენად საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო: ქუთაისის ავიაქიმისაგან —300 მანეთი, რკინის გზის დაცვის რაზმის რაზმელებისაგან—514 მან. 53 კაპ. და ქაღალდის პარკების დამამზადებელ კოლექტივის წევრებისაგან—20 მან. 30 კაპ.—სულ 834 მან. 83 კაპ.

მუშკორზე თავდამსხმელი

სასტიკად უნდა დაისაჯოს

რამდენიმე თვის წინ ჩვენი მკითხველები აღშფოთებით წაიკითხავდნენ ცნობას იმ ვერაგული თავდასხმის შესახებ, რომელიც ხულიგანმა და ანტისაბჭოთა ტიპმა **ელიზბარ ნიკოლოზის ძე კობახიძემ** მოახდინა რკინისგზელ მუშკორ **ალექსანდრე ტერტერაშვილზე**.

ა. წ. 28 აგვისტოს, ბათომის ქუჩაზე კობახიძემ ოთხჯერ ესროლა რევოლვერი **ალექსანდრე ტერტერაშვილს** და მძიმედ დასჭრა იგი.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა. დადასტურდა, რომ ელიზბარ კობახიძე ტერტერაშვილს სთვლიდა მის წინააღმდეგ გაზეთ „მუშა“-ში დაბეჭდილ კორესპონდენციის ავტორად.

კორესპონდენციაში, რომელსაც ხელს აწერდა მუშკორი „შანთი“, ჩამოთვლილი იყო კობახიძის ხულიგნური გამოსვლების შემთხვევები მის გვერდით მცხოვრებ მუშათა ოჯახების წინააღმდეგ. აღნიშნული იყო, რომ კობახიძე მენშევიკების დროს სამილიციო უბნის კომისრად მსახურობდა, რომ მას ეხლაც არ გაუნებებია თავის ძველი ყოყოჩობისათვის, რევოლვერით უვარდება მდგმურებს და აწიოკებს მათ.

ამ კორესპონდენციის გამოქვეყნებისთანავე კობახიძეს განცხადება შეაქვს თბილისის სამაზრო პროკურატურაში, თავი მოაქვს უდანაშაულოდ, უმართებულოდ გალანძღულად და ითხოვს მისი „პატიოსნების“ შემლახველის ე. ი. მუშკორის პასუხისგებაში მიცემას.

განცხადება პროკურორის რეზოლიუციით გაეგზავნა მილიციას გამოძიების მოსახდენად.

გამოძიებით დადასტურდა ყველა ბრალდება, რომელსაც მუშკორი „შანთი“ უყენებდა კობახიძეს. საქმე განსახილველად გადაეგზავნა მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს.

რაკი კობახიძემ ვერ დაამტკიცა თავისი პატიოსნება, გადასწყვიტა მოეძებნა წერილის ავტორი. მას ეჭვი ჰქონდა აღებული, რომ წერილს დასწერდა რკინის გზელი ტერტერაშვილი, რომელსაც არა ერთხელ მიუცია მისთვის გაფრთხილება წესიერად მოქცევის შესახებ.

კობახიძე ეძებს საბაბს, რომ წაეჩხუბოს ტერტერაშვილს, გამოიწვიოს საჩხუბრად და შემდეგ რევოლვერით გაუსწორდეს მას, როგორც მის წინააღმდეგ დაბეჭდილ კორესპონდენციის ავტორს.

ტერტერაშვილი გამოდის თავის ბინიდან და სამსახურში მიდის. ამ დროს კობახიძე დერეფანში სდგას და ორ მოქალაქეს ელაპარაკება

—ყმაწვილო, ფრთხილად გაიარეთ,—მიმართავს კობახიძე ტერტერაშვილს ყოვლად უმიზეზოდ.

— ტერტერაშვილი ჰმ!.. ტერტერაშვილი!.. —განაგრძობს ირონიით კობახიძე, შენ ტერტერაშვილი კი არა მეწვანილე ტერტერიანცი ხარ.

— თქვენ არაფერს გიშლით, რაცა ვარ,— უპასუხებს ტერტერაშვილი.

ამის შემდეგ კობახიძე იღებს რევოლვერს ჯიბიდან და ზედიზედ ოთხჯერ ესვრის ტერტერაშვილს. მძიმედ დაჭრილი ტერტერაშვილი მიჰყავთ საავადმყოფოში, სადაც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ რჩება.

გამოძიებით დადასტურებულია აგრეთვე, რომ კობახიძე არაერთხელ გამოსულა საბჭოთა ხელისუფლების გინებით: „ის დღე დაიქცეს, რა დღესაც ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება. მას შემდეგ კარგი ცხოვრება აღარ მღირსებიაო“,—ხშირად იტყოდა ნაკომისრალი კობახიძე სხვების გასაგონად.

საკვირველია, რა საბუთით, რა მოტივით, რა დამსახურებით იღებდა ეს „დამსახურებული“ ხულიგანი და ანტისაბჭოთა ტიპი პენსიას.

კიდევ უფრო საკვირველია რკინის გზის მთავარ სახელოსნოს რამდენიმე მუშის შუამდგომლობა რესპუბლიკის პროკურორის წინაშე, რომ თავიდებს ქვეშ გაუშვას მუშკორის სიცოცხლის დამღუპველი კობახიძე.

საქმე განსახილველად გადაეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მუშკორზე თავდამსხმელი სასტიკად დაისჯება.

ვ.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ანარიცხები

ადგილობრივი სამეურნეო და კულტურული საჭიროებებისათვის

10 პროც. ანარიცხების განაწილების და გამოყენების წესი

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. 28 ივლისის სსრკ სახ. მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მესამე სახელმწიფო შინაგანი სესხის გამოშვების შესახებ გამოცემული დადგენილების საფუძველზე (სსრკ კანონ. კრებული 1929 წ. № 49 მუხ. 442) და თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 3-ის დადგენილებისა იმავე სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხების ადგილობრივი სამეურნეო და კულტურული მშენებლობისათვის განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის განაღდებიდან ანარიცხის სახით მიღებული თანხები. იმ თანხების გამოკლებით, რაც მიღებულ იქნა აღნიშნული სესხის მუშათა და გლეხთა წითელ არმიის ნაწილებში და დაწესებულებებში განაღდებიდან, ჩაირიცხება საქართველოს სსრ 1929—30 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში იმ ჯამის 10 პროცენტის რაოდენობით, რაც მიღებულ უნდა იქნეს მის ტერიტორიაზე განაღდებული სესხიდან და აგრეთვე მთლიანად გატარდება იმავე ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის საზანადო დანაყოფში: „ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადასაცემი სახსრები“.

2. ტრანსპორტზე, განაღდებული სესხის 10 პროცენტიან ანარიცხებს ცალკე ადმინისტრატიულ ტერიტორიალურ ერთეულებს შორის ანაწილებს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი იმ თანხებთან შეფარდებით, რაც მიღებულ იქნება თვითეულ ადმინისტრატიულ- ტერიტორიალურ ერთეულზე, ტრანსპორტებს შორის ხელის მოწერით განაღდებული სესხიდან (შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 3-ს დადგენილების მუხ. 2.).

3. იმ თანხების 10 პროცენტიანი ანარიცხები, რაც მიღებულ იქნება სესხის განაღდებიდან მუშათა და გლეხთა წითელ არმიის ნაწილებსა და დაწესებულებებში გადაირიცხება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში წითელი არმიის კულტურული და საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის მოსახმარებლად (მუხ. მესამე შრომ. და თავდაცვის საბჭოს ოქტომბრის 3-ს დადგენილებისა).

აღნიშნული ანარიცხები სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ჩაირიცხება განსაკუთრებულ ფონდში და იხარჯება არსებული წესისამებრ უწყების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვით.

4. ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გადაცემული 10 პროცენტიანი ანარიცხები ჩაირიცხება საქალაქო და სარაიონო ბიუჯეტებისა და აგრეთვე იმ სოფლის საბჭოების ბიუჯეტის შემოსავალში, რომელთაც აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, იმ თანხების ჯამებთან სწორი შეფარდებით, რაც მიღებული იქნება უწყებულ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ფარგლებში განაღდებული სესხიდან.

იმ სოფლის საბჭოების ტერიტორიაზე განაღდებული სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხი, რომელთაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვთ, ჩაირიცხება სარაიონო ბიუჯეტის შემოსავალში, რომელიც შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს ამ დადგენილების მე-6 მუხლში ჩამოთვლილი ღონისძიებათა განსახორციელებლად ამ სოფლებში, სადაც სესხი იქნა განაღდებული.

5. 10 პროცენტიანი ანარიცხების უფრო ხელსაყრელად და მიზანშეწონილად გამოყენების მიზნით და ცენტრიდან განსაკუთრებით დაშორებულ და ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონებში საგზაო მშენებლობის გასაძლიერებლად, ქალაქებში განაღდებული სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხის თანხიდან, რომელიც საერთო წესით საქალაქო ბიუჯეტის კუთვნილებას შეადგენს, 35 პროც. უნდა გადაირიცხოს რესპუბლიკანურ საგზაო ფონდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის საჭიროებისათვის მოსახმარებლად.

6. ინდუსტრიალიზაციის სესხის 10 პროცენტიან ანარიცხებს აქვს მიზნობრივი დანიშნულება, ამიტომ ასეთი ანარიცხები უნდა მოხმარდეს კულტურულ და სამეურნეო მშენებლობის შემდეგ საჭიროებებს: 1) სასკოლო საქმეს, 2) სამკურნალო საქმეს, 3) სოფლის მეურნეობას, 4) ადგილობრივ მეურნეობას, 5) კომუნალურ მშენებლობას, 6) საგზაო საქმეს, 7) ადგილობრივ ტრანსპორტს.

შენიშვნა: 10 პროცენტიანი ანარიცხის დახარჯვა შეიძლება აგრეთვე სხვა ღონისძიებებზედაც, უკეთუ აღნიშნულ ღონისძიებებს აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის ხასიათი.

7. როგორც საერთო წესი, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხი უნდა მოხმარდეს მე-6 მუხლში ჩამოთვლილ ერთ რომელიმე ღონისძიებათაგანის მთლიანად განხორციელებას, სხვა ადგილობრივი სახსარის დაუხმარებლად, მაგრამ უკეთუ ეს ადგილობრივი პირობების მიხედვით შეუძლებელია, მაშინ ინდუსტრიალიზაცის 10 პროცენ. ანარიცხი მხოლოდ მონაწილეობას ღებულობს ამ დადგენილების მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ერთ რომელიმე ღონისძიების განსახორციელებელ ხარჯებში.

8. სოფლის ადგილებში საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ, რომელ მიზნობრივ დანიშნულებაზე უნდა დაიხარჯოს 10 პროცენტიანი ანარიცხი, წინასწარ განსახილველად უნდა გადაეცეს ადგილობრივი მოსახლეობის საერთო კრებას; კრების გადაწყვეტილება,— სარაიონო აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მოწონების შემდეგ, დასამტკიცებლად წარედგინება სარაიონო აღმასკომის პლენუმს.

9. ქალაქებში ამ დადგენილების მე-8 მუხლში აღნიშნული საკითხი წინასწარ განსახილველად უნდა დაისვას პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და აგრეთვე პრესაში.

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი, გაუწევს რა ანგარიშს საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ გამოთქმულ სურვილებს, სწყვეტს საკითხს, თუ რა საჭიროებას უნდა მოხმარდეს 10 პროცენტიანი ანარიცხი და თავის გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად უდგენს საქალაქო საბჭოს პლენუმს.

10. დაევალოს ფინსახკომს თვალყური ადევნოს აგრეთვე კონტროლი გაუწიოს ამ დადგენილების სწორად ასრულებას ადგილების მიერ, კერძოდ კი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად დახარჯვას.

11. დაევალოს ფინსახკომს ამ დადგენილების ადგილების მიერ სწორად გამოყენებისათვის გამოსცეს სათანადო ცირკულიარი.

12. ეთხოვოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აღძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის ცაკის წინაშე, რათა გაუქმებულ იქნეს მისი დადგენილება სახელმწიფო სესხების ანარიცხების ნაწილის რესპუბლიკანური საგზაო ფონდში მოქცევის აკრძალვის შესახებ.

ქრონიკა

უქმე და დასასვენებელი დღეები

განუწყვეტელ საწარმოო კვირის შემოღებასთან დაკავშირებით, შრომის კომისარიატმა შეიმუშავა უქმე და დასასვენებელ დღეების ახალი ცხრილი.

ცხრილის მიხედვით იმ წარმოებებში მომუშავეთათვის, სადაც შემოღებულია განუწყვეტელი საწარმოო კვირა, ჩვეულებრივ დასასვენებელ დღეებს გარდა დაწესდება 5 უქმე დღე —22 იანვარი (ლენინის ხსოვნის დღე), 1 და 2 მაისი (ინტერნაციონალური დღეები) და 7—8 ნოემბერი (ოქტომბრის დღესასწაულები).

ხოლო იმ წარმოებებში მომუშავეთათვის, რომელნიც არ არიან გადასულნი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, დაწესდება 14 უქმე და დასასვენებელი დღე—1 იანვარი, 25 თებერვალი, 12 მარტი, 18 მარტი, 1 და 2 მაისი, 7—8 ნოემბერი და 20 სექტემბერი. ამასთანავე ზაფხულში მუშა-მოსამსახურეები ისარგებლებენ 4 დასასვენებელი დღით.

ჯანმრთელობის დაცვის გასაძლიერებლად

საკავშირო სამკურნალო ფონდიდან უახლოეს წლებში საქართველოს სამრეწველო ცენტრებში მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმის გასაძლიერებლად დაიხარჯება 1,273.538 მანეთი.

ჯანმრთ. კომისარიატში

— **ახალი საავადმყოფო.** ჯანმრ. კომისარიატმა გადასწყვიტა ტყვარჩელში აგოს ახალი საავადმყოფო 25 საწოლით.

— **ღამის სანატორიუმი.** ჯანმრთელ. კომისარიატი თბილისში აწყობს ღამის სანატორიუმს.

მესაქონლეობა ზემო-სვანეთში

ზემო-სვანეთში მესაქონლეობის გასაძლიერებლად სახ. კომისართა საბჭომ მიწადმოქმ. სახ. კომისარიატს დაავალა ადგილობრივ მოაწყოს ჯიშიან საქონლის მოსაშენებელი საცდელი პუნქტი.

ამასთანავე ზემო-სვანეთშივე მოეწყობა საძროე ფერმა. ამ მიზნით გადადებულია 20.000 მან.

სხვადასხვა

— **ელსადგური.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა ზემო-სვანეთში აგებული იქნეს ელსადგური.

— **განათლების მუშაკთა სახლში შაბათს,** 28 დეკემბერს, საღ. 7 საათზე შესდგება პროფ. ბოლოტნიკოვის მოხსენება „შობის დღესასწაული რელიგიის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით“.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **მოწაფეთა კონცერტი მე-2 სახ. სამუსიკო მუშფაკში.** კვირას, 29 დეკემბერს, დღის 12 საათზე შესდგება მოწაფეთა მეორე ღია კონცერტი მე-4 შრომის სკოლის მოწაფეთათვის.

— **პლეხანოვის სახ. კლუბში, კვირას,** 29 დეკემბერს, კლუბთან არსებულ ქართულ დრამ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ს. შანშიაშვილის 3 მოქ. პიესა „ამბოკარი“.

სასამართლო

ამბავი ერთი თავადის შესახებ, რომელსაც თაფლი უყვარდა

მას უყვარდა თაფლი. თუმცა მარტო თაფლი კი არ უყვარდა. საერთოდ კეთილი ცხოვრება უყვარდა. ცხოვრობდა კიდეც განცხრომით, თაფლიც ბევრი ჰქონდა, კარაქიც, ნაზუქებიც, კარ-მიდამოც, მამულებიც, ჰყავდა მოჯამაგირეებიც, მოურავებიც და ბევრი სხვა.

ეს იყო წინად, ეს იყო რევოლიუციამდე. ოქტომბრის ქარიშხალმა დაჰბერა საქართველოშიც და ძველ თავად ნიკოლოზ დავითისძე ერისთავს მხოლოდ მოგონება ღა დარჩა ძველ ცხოვრებაზე. მამულები ჩამოერთვა და დაურიგდა ღარიბ გლეხებს. ერისთავს დაუტოვეს მხოლოდ ნორმა.

მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ეს ძველი ფეოდალი, გლეხების ნაოფლარით ცხოვრებას შეჩვეული, რაღაც ოინებით იკავებს ს. ახალგორის (სამხრეთ-ოსეთშია) საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობას.

ღარიბი გლეხები ისევ ერისთავის გავლენის ქვეშ ექცევიან. ერისთავი ენაწყლიანი კაცია. შეთვისებული აქვს ხერხი, თუ როგორ მოინადიროს გლეხების გული და როგორ დაუგოს მათ მახე.

ახალგორში საერთოდ მეფუტკრეობა ვერ ხეირობს. ამ აზრის იყვნენ ადგილობრივი გამოცდილი გლეხები, მაგრამ თაფლის მოყვარულმა ნათავადარმა დაიჟინა, რომ გლეხებს მოეწყოთ მეფუტკრეობის არტელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთ გლეხს, რომელსაც არტელში ეპატიჟებოდა ერისთავი, არც ერთი სკა არ გააჩნდა, არცერთმა მათგანმა არ იცოდა ფუტკრის მოვლა, მაგრამ თავადს უყვარდა თაფლი და კიდევ სხვა რამ... ამან გადასჭრა არტელის ჩამოყალიბების საკითხი.

12 გლეხმა დაუჯერა ერისთავს. ერთისთავმა მათ სახელზე გამოსწერა საკრედიტო ამხანაგობიდან კრედიტი, თითოზე 50—60 მანეთის რაოდენობით. 900 მანეთამდე გამოიტანა სალაროდან.

ერისთავმა გლეხების ფულით შეისყიდა 40 ძირი სკა, მოაწყო თავისთვის საფუტკრე, რომელსაც ფიქტიურად არტელი ეწოდებოდა, ხოლო ფაქტიურად კი ერთისთავის შემოსავლის წყაროს შეადგენდა.

გლეხები მოუთმენლად უცდიდნენ არტელის ჩამოყალიბებას. ერისთავი ტკბილად სჭამდა თაფლსაც და თაფლიდან შემოსულ ფულსაც.

— კაცო, როდის მოეწყობა ჩვენი არტელი, —ეუბნებიან გლეხები ერისთავს.

— ჯერ, კაცო, საერთო კრება უნდა მოვიწვიოთ. უნდა გამოვიმუშაოთ წესდება... ეს წესდება უნდა დაამტკიცოს მიწადმოქმედების კომისარიატმა და სხვ... ასე ადვილი საქმე როდია!— „თაფლიანი“ ენით ისტუმრებდა გლეხებს ერისთავი.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. არ შემდგარა არც საერთო კრება, არც წესდება. ერისთავი, როგორც სოციალურად არა სანდო პიროვნება რაღაც სხვა დანაშაულის ჩადენისათვის მოხსნეს საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან და გაისტუმრეს ახალგორიდან.

გლეხებს, რომელთა სახელზე გატანილი იყო თანხა „მეფუტკრეების არტელის ჩამოსაყალიბებლად“, საკრედიტო ამხანაგობამ მოსთხოვა ვალის დაფარვა. გლეხებს არც არტელი უნახავთ თვალით, არც სკა და არც ფული. მათ კატეგორიული უარი განაცხადეს ფულის გადახდაზე და საჩივრით მიმართეს სამხრეთ-ოსეთის ცაკს.

ამის შემდეგ მოხდა ის, რომ ერისთავს ციხეში უკრეს თავი. საკრედიტო ამხანაგობამ თავის თანხა გაიაღდა ერისთავის მიერ გლეხების ხარჯზე მოწყობილ საფუტკრით, ხოლო საქმე გადაეცა სასამართლოს.

სამხრეთ-ოსეთის მთავარმა სასამართლომ ერისთავის საქმე გაარჩია 6 დეკემბერს. ერისთავს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 ნახ. წლით სასტიკი იზოლიაციით.

საქმე კასაციის წესით შემოვიდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ვერ.

გაფიცვა კერძო სავაჭროებში

თბილისში მსხვილ საალაფოს მეპატრონე კერძო ვაჭრებმა ოგანოვმა და პოპოვმა უარი უთხრეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ცენტრალური გამგეობას კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე.

ამის გამო კავშირის ცენტრალური გამგეობის წინადადებით ხსენებულ სავაჭროებში მომუშავეებმა გაფიცვა გამოაცხადეს, გაფიცვის სახელმძღვანელოთ გამოყოფილია საგაფიცვო კომიტეტი.

ამ სავაჭროებში, რომლებიც მოთავსებულია მუხრანის ხიდის ბაზრის ეზოში, მუშა-მოსამსახურეების გაფიცვა დაიწყო 26 დეკემბერს დილით. სავაჭროების წინ მორიგეობენ გაფიცულთა პიკეტები და გაკრულია პლაკატები სათანადო წარწერით.

ყველა ორგანიზაციებმა, რომლებიც სამსახურს უწევენ გავლოევისა და ოგანოვ-პაპოვის სავაჭროებს (მტვირთავთა არტელები და სხვ.) შესწყვიტეს მუშაობა, მათთან. გაფიცვის განმავლობაში მათ სავაჭროებში არავინ შესულა საქონლის სასყიდლათ.

კავშირის ცენტრალურ გამგეობის დადგენილებით გაფიცულ მუშა-მოსამსახურეებს მიეცემა დახმარება.

სახელგამში

სახელმძღვანელოების ირგვლივ. ვინაიდან განათლების კომისარიატის მეთოდბიურო დასაბეჭდათ აგვიანებს სახელმძღვანელო წიგნების გადაცემას სახელგამისათვის. სახელგამმა განათლების კომისარიატის წინაშე დასვა საკითხი, რომ ამ თავითვე იქნას მიღებული ზომები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად 1930 წლისათვის.

ამ მიზნით სახელგამმა განათლების კომისარიატი გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების ძირითადი პირობები შემდეგია: განსახკომი იწყებს სახელმძღვანელოების გამოცემას პირველ იანვრიდან და ამთავრებს პირველ ივნისისათვის. სახელგამი დაბეჭდავს და გამოუშვებს ყველა სახელმძღვანელოებს 1930 წლ. 15 აგვისტომდე. აღსანიშნავია, რომ 1930 წლისათვის სახელგამს თითქმის აღარ დარჩა ძველი სახელმძღვანელოები, რის გამო მას მოუხდება სექტემბრისათვის დაბეჭდოს 100 მეტი ახალი სახელმძღვანელო.

კლასიკოსების გამოცემა

კლასიკურ მწერლობის სექციის სხდომაზე, რომელიც მოხდა ამ დღეებში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით დადგენილ იქნა შეტანილ იქნეს 1930 წლის საგამომცემლო გეგმაში და გამოიცეს წლის ბოლომდე: „კალმასობა“ (პირველი წიგნი); დავით გურამიშვილი—სრული კრებული ერთ წიგნად; დანიელ ჭონქაძე—ერთ წიგნად; ეგნატე ნინოშვილი—პირველი ტომი; გიორგი წერეთელი—პუბლიცისტური წერილები (პირველი ტომი); იროდიონ ევდოშვილი—სრული კრებული ერთ ტომად; რაფიელ ერისთავი—პირველი ტომი (მხატვრული ნაწერები); ხალხური პოეზია (მთა), პროფ. აკ. შანიძის მიერ შეგროვილი.

შემდეგ სხდომაზე გაირჩევა, თუ რა გამოიცეს თარგმნილი ლიტერატურიდან. თარგმნილი ლიტერატურის ქვე-სექცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. შ. ნუცუბიძე, შ. რადიანი, ნ. მიწიშვილი, ბ. ბუაჩიძე.

სასურველად იქნა ცნობილი ხაიათნოვას აკადემიური გამოცემა ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 28 დეკემბერს საღ. 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, სარევიზიო კომისიის წევრებთან, კ. პ. (ბ) უჯრედების ბიუროს წევრებთან და მდივნებთან, კავშირების ცენტრალურ გამგეობის ფრაქციის წევრებთან, ფაბ.-ქარხ.-ადგილკომებთან, კოოპერატიული აქტივის წევრ კომუნისტებთან ერთად.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 2) მუშათა მომარაგების მდგომარეობა და პერსპექტივები.

ყველა ზემოთ ხსენებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

—:—

ს. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ქალაქის რაიონის ს. კ. პ. (ბ) წევრ-კანდიდატთა დამატებითი წმენდა შესწყდება ა. წ. 30 დეკემბერს.

წინადადება ეძლევა ყველა ამხანაგებს, რომელთაც არ გაუვლიათ წმენდა, გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომში (აღმასკომის ქ. № 7, ოთახი № 5) ა.-წ. 28 დეკემბერს დილის 10 საათზე.

ის ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან, ჩაითვლებიან მექანიკურად გამორიცხულებათ პარტიიდან.

—:—

შაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის 21, 3 სართ.) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „ერთმმართველობა და საძკუთხედის მუშაობა“.

საწარმოო უჯრედების მდივნების, საწარმოების დირექტორების და ფაბკომების თავმჯდომარეების დასწრება აუცილებელია.

—:—

ა.-კ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ალექსანდრე დიმიტრისძე მზეიძეს გამოცხადდეს ა.-კ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიაში (ოთახი № 7).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომი იტყობინება. რომ რაიკომის პლენუმის გაგრძელება უჯრედის ბიუროს წევრებთან ერთად შესდგება დღეს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახ. კლუბის შენობაში.

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება შესდგება დღეს, 28 დეკემბერს საღამოს სრულ 5 საათზე სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის შენობაში (რუსთაველის 21). დღის წესრიგშია ამხ. ახუნდზადეს მოხსენება საკ. ა. ლ. კ. კ; ც-კ-ის პლენუმის შედეგებზე.

—

საქ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ; საოლქო კომიტეტის. საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ.-ის და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები ბილეთებით, რომლებსაც გაანაწილებენ სათანადო რაიკომები.

—:—

დღეს, დილის 10 საათზე, მოწვეულია სოც. ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა კომკავშირის ორივე ბიუროებთან და პროფკომის ფრაქციასთან ერთად

—:—

დღეს, დღის 12 საათზე, მოწვეულია სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის პარტიის და კომკავშირის წევრთა სასწრაფო კრება.

—:—

ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ქიმიურ-ტეხნოლოგიურ დარგთან არსებული ა. ლ. კ. კ. მერვე უჯრედის კრება შესდგება სამშაბათს, 31 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სოფლად მუშაობის განყოფილება, დღეს, 28 დეკემბერს, 3 საათზე იწვევს თათბირს, რომელსაც უნდა დაესწრონ ამხ-ბი გუგუშვილი (ვაჭრობის კომისარიატი), დღეყდარიანი (მესაქონლეობის კავშირი), გეგამია (სოფლის კავშირი), ლომთათიძე (ფინსახკომი).

—:—

ს. ს. პ. ი. სამთო-ქიმ-ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედში შემავალ კ. პ. (ბ) წევრ-კანდიდატებს ევალებათ გამოცხადდენ ბიუროში 28 და 30 დეკემბერს საღამოს 5—7 საათამდე და თან უნდა იქონიონ ჩათვლის წიგნაკები.

—:—

დღეს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიისა და კომკავშირის წევრ და კანდიდატთა საერთო კრება.

ნარევი

ავტომობილების რაოდენობა გერმანიაში

1929 წლის 1-ლი ივლისისათვის გერმანიაში ითვლებოდა 1.185.000 ავტომობილი და მოტოციკლი. მათგან— 433.000 მსუბუქი მანქანა, 144.000 საბარგო ავტომობილი და 608.000 მოტოციკლი. 1928 წელთან შედარებით მსუბუქი მანქანების რიცხვი გაიზარდა 23 პროცენტით, საბარგო ავტომობილების— 18 პროცენტით, ავტომობილების რაოდენობის მხრივ გერმანიის ქალაქებიდან პირველი ადგილი უჭირავს ბერლინს (95.000), შემდეგ — ჰამბურგს (24.000). კიოლნს, მიუნხენს და სხვ.

„კონტროლი ბავშთა დაბადებაზე“ შეერთ. შტატებში

ნიუ-იორკში შესდგა „ბავშთა დაბადებაზე კონტროლის განმხორციელებელი ლიგის“ წლიური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ლიგის საექიმო ნაწილის გამგემ ექ. კუპერმა გააკეთა მოხსენება ფეხმძიმობის წინააღმდეგ ახალ საშუალებათა ძებნის შესახებ. კუპერმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ცდებს ახდენენ შრატზე, რომელიც 9 თვის განმავლობაში იცავს ქალს დაორსულებისაგან. ამ შრატის შეშხაპუნებამ ცხოველებისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. ამგვარივე ცდები სწარმოებს შეერთ. შტატებშიც. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ევანსმა აღმოაჩინა ვიტამინი „E“, რომელიც მისი სიტყვით, ხელს უწყობს ბავშის ჩასახვას, ვიტამინ „E“-ს უქონლობა საჭმელში წარმოადგენს გარანტიას ფეხმძიმობის წინააღმდეგ. ეს ვიტამინი უმთავრესად ფქვილიდან დამზადებულ პროდუქტებში მოიპოვება. ევანსის ცდებმა ცხოველებზე კარგი შედეგები გამოიღო.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და თბილისის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველ რევოლიუციონერ-ბოლშევიკის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 25 ნაშუადღევის 2 საათზე მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მედგარი რევოლიუციონერი და ძველი ბოლშევიკი ს. ს. ცაკის წევრი

მიხა ჩოდრიშვილი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო აუწყებს საზოგადოებას ძველი ბოლშევიკის, მედგარი რევოლიუციონერის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული ქალაქის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველ ბოლშევიკ-რევოლიუციონერის, ქალაქის რაიონის ორგანიზაციის უძველესი და აქტიური წევრის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება მედგარი რევოლიუციონერის, ძველი ბოლშევიკის და თბილისის მ/გ. და წ/არ. დეპუტატების საბჭოს წევრის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მუშათა სასახლიდან კვირას, 29 დეკემბერს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე – ხუდადოვის ტყეში. ნ. 3625 1—2

ღრმად დამწუხრებულნი ლუკა, ცოლი ოლღა და დედა ეკატერინე ხელაშვილები და მარო რობიტაშვილი, ნინა ხელაშვილი-ბიჭინაშვილისა, სიძე ვანო ბიჭინაშვილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას და დაუვიწყარ ბიძის

მიხეილ იოსების ძე ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. (ე)

ძველი ბოლშევიკები: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, შალვა ელიავა, ს. თოდრია, მ. ფილია, კ. ხომერიკი, დ. ნასარიძე, ა. დოლიძე, ვ. ბოლქვაძე, ვ. სტურუა, გ. სტურუა, ლ. სუხიშვილი, მ. ტოროშელიძე, თ. დოლიძე, მ. კვარაცხელია, ს. მეგრელიშვილი, გ. ჩხეიძე, ვ. იტრიევი, ვ. გოგიბერიძე, თ. ჟღენტი, ვ. ვაშაკიძე, ნ. კიკნაძე, ან. ფირცხალავა, გ. რთველაძე, ტ. მგალობლიშვილი, გერ. მგალობლიშვილი, გ. ვაშაძე, ა. ვაშაძე, ს. ჟულელი, შამშე ლეჟავა, გრიგოლ მგალობლიშვილი, კ. ჩხენკელი და კ. მოდებაძე ღრმა მწუხარებით აცხადებენ, რომ გარდაიცვალა თანამებრძოლი ძველი ბოლშევიკი-რევოლუციონერი

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

რემედასის საქართველოს ცენტრალური და თბილისის საოლქო კომიტეტების პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. დეკემბრის 25, ნაშუადღევის 2 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შეუდრეკელი მებრძოლი, ძველი ბოლშევიკური გვარდიის წევრი, რემედასის საქ. ცეკას პირველი თავმჯდომარე

ამხ. მიხა ჩოდრიშვილი

5032

ეკლოკია ანტონის ასული ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებსა და მეგობარ ნაცნობებს ძველი ბოლშევიკის, ძვირფასი ქმრის

მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული სანდრო, მეუღლე სოფიო, შვილები: თამრო, ვასო, ლადო და სიძე მიშა ჯოვანი აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი ძმის და ბიძის

მიხა იოსების ძე ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული ძმა ვანო, შვილებით სოსო, ნინა და მანია, რძალი მარო და შვილიშვილები ნატელა თამარა, შოთა და ბიჭიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი ძმის, ბიძის და პაპის

მიხა იოსების ძე ჩოდრიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

მ. ბოჭორიძე, ბ. ბოჭორიძე. ბ. ჭ რბენიძე, გ. ელისაბედაშვილი, ვ. ქურდაძე, გვარამია, პ. ცინცაძე, ი. ხიორაძე, ს. მამულია, დ. აფციაური, ი. ჯორბენაძე. ნიჟარაძე, ა. გეორგაძე და მ. ბაქრაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ძველ ბოლშევიკ-რევოლიუციონერის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას.

სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს სალაროს წევრებს და ფართო საზოგადოებას რევოლიუციისათვის თავდადებულ, ძველი ბოლშევიკის და შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირის „თვითმშრომელთა საზოგადოების“ დამფუძნებელის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. ნ. 3621 2—1

საქ. „სარეწაო კავშირი“-ს გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ძველ რევოლიუციონერ-ბოლშევიკის

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას, ნეშტის გამოსვენება მოხდება ა. წ. დეკემბრის 29-ს, დილის 11 საათზე, პროფსაბჭოს დარბაზიდან. 503

სრ. საქ. სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროს, როგორც პარტიული, ისე უპარტიო თანამშრომლები: გ. ლაფანაშვილი ა. ბედუკიძე, გ. კაციევი, ნ. ოგანეზოვი, მ. მელიქოვა, ლ. მხარეულიშვილი. კ. შავლაძე, ვ. [illegible], დ. ჩიხლაძე, ანტ. ტყეშელაშვილი, დ. როდონაია, თ. ქართველიშვილი, [illegible] და სხვ. ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს ბოლშევიკური პარტიის უხუცეს წევრის და საქართველოს რევმოძრაობის პირველ მედროშეს—

ამხ. მიხა ჩოდრიშვილის

გარდაცვალებას. ნ. 3602 2—1

მეუღლე აპოლონი (მიშა) ჯაფარიძე, შვილები: ვალიკო, მარო და აპოლონა, დები: ანა, ნინო, ვარო, ლიზა და ოლია ქმარ-შვილით, მაზლი ნიკო ჯაფარიძე და რძალი სონა ჯაფარიძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ უდროოდ და უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ აბრამის ასული ჯაფარიძისა

გამოსვენება დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ ბინიდან არგუტინის ქ. № 22; დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 3

ღრმად დამწუხრებული და ნინო შვილებით სონია, არკადი და ნინო მეულით კირიაკი, მაზლი ფოტი ცოლით ვარვარა გეკუშევები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასი და საყვარელი

თამარა ჩიკვაიძე-ჯაფარიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, საკუთარ ბინიდან—არგუტინის ქ. № 22, დღის 4 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. (ე)

დამწუხრებულნი ნინო და რაფიელ მამულაშვილები შვილებით მარგარიტა, იზაბელა, აგნესა და კლარათი იუწყებიან მათთვის საყვარელი მეგობრის

თამარ ჯაფარიძის

უეცრად გარდაცვალებას. (ე)

თბილისის ოლქის აღმასკომის სამიწათ-მოქმედო განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამხ. მიშა (აპოლონ) ჯაფარიძის მეუღლე

თამარის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

თბილისის ოლქის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამხ. მიშა (აპოლონ) ჯაფარიძის მეუღლე

თამარის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

უღრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ ძვირფას მეგობრის

თამარა ჯაფარიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. უახლოესი მეგობრები: მარო ხუნდაძე, ლიზა და ქეთო კობიაშვილები და სონა ცქიტიშვილისა. 5025

გულდათუთქულნი დედა ქსენია მამა არტემი, ბაბუა ივანე, ბებია ქეთო, ბიძა პარძენი, ძმა შოთა ჭილაები ბებია ვერა სანადირაძისა, დეიდა ლიუბა ქმრით დომენტი სულავათი ბიძა გრიშა და დეიდა მარო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარ

ცაცა არტემის ასულ ჭილაიას

უდროვოდ გარდაცვალებას გამოსვენება შაბათს, 28 დეკემბერს, მაგისტრალის ქუჩიდან № 65 დღის 3 საათზე

ქ. თბილისის „ზაკტპოს“ ბუფეტის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგ არტემ ჭილაიას ქალიშვილის

ცაცას

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლენინის რაიონი, მაგისტრალის ქუჩა № 65, 28 დეკემბერს, 3 საათზე. 5021

მიიღება ხელის მოწერა „კომუნისტი“ 1930 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით . . .	1 მან.—კ.
3 „ . . .	3 „ —„
6 თვით . . .	6 მან.—კ.
ერთი წლით . .	12 „ —„

დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით . . .	1 მან. 30 კ.
3 „ . . .	3 „ 90 „
6 „ . . .	7 მან. 80 კ.
ერთი წლით . .	15 „ 60 „

საზღვარ-გარეთ

1 თვით. . . .	3 მან.
3 „	9 მან.
6 „	18 მან.
1 წლით . . .	36 მან.

ხელისმოწერა მიიღება 29 დეკემბრამდე.

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—6

რუსთაველის თეატრი

1 იანვრისათვის 1930 წლ. უნდა იყოს დაფარული აბონემენტების ყველა სერიის მე-5 შემოსატანი

დაუფარავი აბონემენტების ადგილები 1 იანვრიდან გაიყიდება თეატრის სალაროში.

თეატრის დირექცია. 5—1

„დროშა“

გამოცემის მე-2 წელი

სურათებიანი ჟურნალი

გაზ. „კომუნისტი“-ს გამოცემა

გამოდის თვეში ორჯერ

მიიღება ხელისმოწერა 1930 წლისათვის.

ჟურნალი ღირს:
1 თვით —30 კაპ.
3 თვით —90 კაპ.
6 თვით —1 მ. 80 კ.
1 წლით—3 მ. 60 კ.

ხელისმოწერა მიიღება: გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 34), ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში, გამომცემლობის რწმუნებულებთან და აგენტებთან, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

0—5 „კომუნისტის“ გამომცემლობა.

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა აცხადებს, რომ 1930 წლისთვის გაზეთზე ხელისმოწერის მიღებას მთელ ოზურგეთის მაზრაში აწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები და წერილების დამტარებლები.

0—4

ხელისმოწერას გაზ. „კომუნისტზე“ აწარმოებს

1) სამტრედიაში და მის რაიონში—ლ. გოგელია
2) საჩხერეში—ს. ქავთარაძე
3) მოძრაობის დარგში—მ. წულაია
4) დიდ-ჯიხაიშში—გ. ბიბილეიშვილი
5) საჭილაოში—ქარხნის სამკითხველო.

0—2 კომუნისტის მთავარი კანტორა.

პროფკავშირების საყურადღებოდ!

საქ. პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

„შრომა“

გამოვიდა და იყიდება.

1. პროფკავშირთა ამოცანები რეკონსტრუქციის ხანის პირობებში და მეთოდები მათ განსახორციელებლად . . . . ფასი 3 კაპ.
2. იგივე რუსულ ენაზე . „ 3 კაპ.
3. სრ. საკავშ. პროფკავშ. ცენტრ. საბჭოს მე-3 პლენუმის რეზოლიუციები ქართ. ენაზე . ფასი 15 კაპ.

ნ. 3618

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929-30 წ. სეზონი

შაბათი, 28 დეკემბ. მე-12 აბონემ. მე-2 წარმ. ალ. პიროგოვის მონაწ. **ტრილბი**

კვირას, 27 დეკემბერს, 1-ლი აბონ. მე-5 წარმოდგენა
ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**

ორშაბათს, 30 დეკ., მე-9 აბონ. მე-2 წარმ. დამს. მსახ. კ. გ. დერჟინსკაიას მონაწ. და რ. ი. ემელიანოვის პირველი გამოსვლა **პიკის ქალი**

ყველა საბონემ. წარმოდგენაზე ბილეთების ნაწ. დატოვებულია ხელზე გასასყიდად.
ტალონებით ბილეთები გაიცემა დღის 2 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე.

ნ. 3608

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929-1930 წ.

შაბათს, 28 დეკემბერს,
მეღსანშრომის კავშირის წარმოდგენა

ს. იანოვსკი **ყამირი**

დრ. 13 სურ. გადმოკ. ს. შანშიაშვილის მიერ.

დადგმა—აკ. ფასაძის.
მხატვარი —ირ. გამრეკელი.
მუსიკა—გრ. კილაძის.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი
დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.
ანონსი—შემდეგი—„ანზორი“— განახლებით.

ნ. 3622

აპოლო — მხატვრული ფილმი **2 ქალი** იაკოვლევას და ხოლნცევას მონაწილეობით

სოლეი — ჟენი პორტენი ახალ მხატვრულ სურათში

პალასი — **მარტინ ფალკჰაგენი** (6 წლის შემდეგ საპყრობილედან)

არფასტო — სეზონის საუკეთესო ფილმი **სამხრეთის ზღვათა შვილი მოანა**

მინიონი — ჟენი იუგო და ვერნერ კრაუსი სურათში **მინისტრის ცოლი**

დარ.აზი — საუკეთესო ფილმი **ცეცხლის კაცი** ძმ. ლავროვების გასტროლები, ახალი პროგრამა

მალე: „ძველი და ახალი“

0 23

კინო-არფასტო

დღეს და ყოველდღე

ბოევიკი
სამხრეთის ზღვათა შვილი
მოანა
პარამუნტ ფილმის ნაწარმოები

ნაწ. 1. შემთხვევები კუნძულზე.
„ 2. გარეულ მხეცთა კვალით.
„ 3. ტროპიკულ ტყეებში.
„ 4. მოანა—მონადირე.
5. ფოანგაზი—ულამაზესი ქალი.
6. მოანას კურთხევა მამაკაცად.
7. მოანას და ფოანგაზის ქორწინება.

ნ. 3626

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ.
ტელეფონი 8—94.

შაბათი, 28 დეკემბერი

დიდი სასპორტო წარმოდგენა

1) მხტომელთა კონკურსი საუკეთესო მხტომელის სახელწოდების მისაღებად. 2) გადახტომა ცხენებისა და აქლემების ჯგუფებზე, მონაწილეობს 20-მდე მხტომელი. 3) მთელ საღამოს ცირკის ასპარეზზეა

ჩარლი ჩაპლინი

კვირას, 29 დეკემბერს, წარმოდგენა დღისით მთელი დასის მონაწილეობით. დასაწყისი დღის 2 საათზე. სეზონური ბილეთებსა და კონტრამარკებს შაბათობით და კვირაობით ძალა არა აქვს.

დირექცია.

3—2 ნ. 3606

საქართველოს სატყეო ტრესტი

ყველა დაწესებულება, ორგანიზაციებისა და პირების საყურადღებოთ **აცხადებს,** რომ რწმუნებულობათა ახალი წესის შემოღების გამო დღეიდგან გაუქმებულად ითვლება ტრესტის სამმართველოს და ადგილობრივი ერთეულების მიერ თავის ფინაგენტებისა, ინკასატორებისა, მოლარეებისა, ექსპედიტორებისა და მიხდობილებათა აგენტებისათვის მიცემული მუდმივი რწმუნებები, რომლებითაც მათ დავალებული ქონდათ სატყეო ტრესტის კუთვნილი თანხების მიღება სხვა და სხვა დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და პირებისგან

მმართველი: იორამაშვილი
საქ. მმართველი: თოდუა

3—3 ნ. 3589

საქართვ. კომუნალურ ბანკის აჭარისტანის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სავადო გადასახადების და მათი პროცენტებისა და საურავების შეუტანლობის გამო, თანახმად ბანკის წესდების მე-37 მუხლისა, ქალ. ბათომში, განყოფილების შენობაში, ტროცკის ქ. № 14 1930 წლ. 13 იანვარს, დილის 10 ს.

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ მსურველმა უნდა შემოიტანოს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე 10 პროც. როგორც ძირითადი ვალისა, აგრეთვე დარიცხული პროცენტების, საურავის და საჯარო ვაჭრობით გამოწვეულ ხარჯების, ხოლო საჯარო ვაჭრობის დასრულების შემდეგ მთელი თანხა.

1) ს. კოპალეიშვილი, ქ. ოზურგეთი, ძირითადი ვალი 780 მან. 54 კაპ. ვადა გადაცილებული სავადო მან. 212 02 კ. სარგებელი ვადის გადაცილებისა 27 მან. 06 კ.
2 იოსებ მექვაბიშვილი, ძირითადი ვალი 185 მან. 15 კაპ. ვადა გადაცილებული გადასახადი 285 მან. სარგებელი ვადის გადაცილებისათვის 14 მან. 17 კაპ.
3) ყაისარ გორდელაძეს, მემკვიდრეები ვადა გადაცილებული სესხი 467 მ. 53 კ. სარგებელი 25 მ. 69 კ.
4) თეოფილე გობრონიძე, ვადა გადაცილებული 403 მან. 70 კ. სარგებელი 7 მ. 02 კ.
5) გრიგოლ კუნჭულია, ვადა გადაცილებული 360 მ. 55 კ. სარგებელი 6 მ. 70 კ.
6) ალექსანდრე [illegible]ოხაძე, ვადა გადაცილებული 5[illegible]0 მ. 18 კ. სარგებელი [illegible] მ. 08 კ.
7) იაკი მელიქაძე, ძირითადი დავალ. 790 მან. 74 კ. ვადა გადაცილებული 346 მ. 73 კ. სარგებელი 30 მან. 16 კაპ.
8) ევგენი ეზრალიძე, ლანჩხუთში ძირითადი 1034 მ. 03 კ. ვადა გადაცილებული 84 მ. 07 კ. სარგებელი 46 მან. 70 კაპ.
9) გიორგი გვარჯალაძე, ძირითადი 534 მ. 49 კ. ვადა გადაცილებული 246 მ.6. 49 კაპ. სარგებელი 13 მან. 52 კაპ.

ნ. 3614

მასწავლებელ

სპეციალისტებთან ხდება მომზადება საკონკურსო გამოცდებისათვის უმაღლეს სასწავლებელში, ტეხნიკუმში, სიმწიფის მოწმობაზე და სხვა, აგრეთვე ამზადებენ სუსტ მოწაფეებს.

კეცხოველის ქ. № 4, ბ. 2 (ყოფილი ლორის-მელიქოვის ქუჩა).

ქვ. 4884 5—2

ვასწავლი

ლამაზ წერას, ვასწორებ ხელს მოკლე ხანში.

კეცხოველის ქ. № 4, ბ—2
(ყოფ. ლორის-მელიქოვის ქუჩა).

5—2 4884

გაზეთი
„ახალგაზრდა კომუნისტი“
გამოდის ყოველდღიურად
1930 წლის პირველ იანვრიდან

ხელისმოწერის პირობები:

1	თვით .	— 50 კაპ.
3	„	1 მ. 50 „
6	„ .	3 „ —
12	„ .	6 „ —

ხელისმოწერა მიიღება: მთავარ კანტორაში (რუსთავ. პრ. № 20, ტელეფონი 23-05), ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულებთან, კონტრაგენტებთან და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა განყოფილებებში.

ნ. 3617

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის რესპუბლიკანური კომიტეტი იწვევს თბ. მომუშავე:

აგრონომების, ინჟენერ-მელიორატორების, მეტყევეების და მიწათ-მომწყობთა

ფართე თათბირს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) გაზაფხულის თესვის კამპანია და მოსავლიანობის ასაწევი ღონისძიებები.

თათბირი შესდგება დღეს, 28 დეკემბერს საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში.

ნ. 3614 რესპუბლიკანური კომიტეტი.

„სახკვება“-ს სასადილოების გაერთიანებული გამგეობა

ა. წ. 29 დეკემბერს **გადადის**

წინოსვლის ქ. № 10-დან პლეხანოვის პროსპ. № 165-ში

ნ. 3615 გამგეობა.

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— პურის წიგნაკი—პავლე მჭედლიშვილის სახელზე. 5017
— კავშირის წიგნაკი № 14304, გაცემული ქუთაისის აღმშ. ნებ. კავშირის მიერ, კალისტრატე ჩხენკელის სახელზე. 5016
— მუშკოოპის წიგნაკი № 106 8 ერასტი გორდელაძეს სახელზე 5018
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 187 0 შალვა ელიოზის სახ. 5019
— სამხედრო წიგნაკი გიორგი მიხეილის ძე ჯილაურის სახელზე. 5022
— მუშკოოპის წიგნაკი, № 23335 - ხინა შელიავას სახელზე. 5023
— უმუშევრობის წიგნაკი № 1866 გრიგოლ ნესტორიას-ძე ჯაფარიძეს სახელზე. 5020
— კოოპერატივის წიგნაკი № 929, გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ, ისიდორე ბოდოკიას სახელზე. 3615
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 19680, გაცემული „ზაკტპო“-ს მიერ, პორფილე ს დიმიტრის-ძე თავდუმაძეს სახელზე. ნ. 3615
— რუსთ. თეატ. პირველი აბონემენტები სერ. „ა“ № № 504, 505. 5024
— მუშკოოპის წიგნაკი № 49 (2-სულის) - ბესარიონ გრიგოლის-ძე ყაჭეიშვილის სახელზე. 5027
— კავშირის წიგნაკი № 109897 მოისეი ეჩეგოლევსკის სახელზე. 5029
— უმუშევრ. წიგნ. პოლიკარპე კონსტანტინეს-ძე დუნდუას სახ. 5030
— მარტყოფის საკრედიტო ამხ-ის ოქმები, წესდებები 5 ცალი, ბანკის ბლანკები 3 ც. შემოსავლის ორდ. 3 ც. და მივლინების მოწმობა სოლოღაშვილის სახელზე. 5028
— სვირის მთლიან კოოპერატივის წიგნაკი № 561 გიგო ლაზარეს-ძე ლილუაშვილის სახელზე. 5028
პროფკავშ. საწევრო წიგნაკი № 13/8422 კოლია ზარქუას სახ. 5028
— ეპოს წიგნაკი № 210—არტემ გვასალიას სახელზე. 5028
— ატესტატი, მიცემული ბათომის ქალთა პროფ-სკოლის მიერ—ოლია თევდორე კვარაიას ასული გაგუას სახელზე. 5028

ტირაჟი—43.000
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 6
მთავლიტი № 904